გიორგი
გოგოლაშვილი

თამაზ
ხმალაძე

K 234-264/3

ერთხელ საქართველოში...

გიორგი
გოგოლაშვილი

თამაზ
ხმალაძე



დიალოგები

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება

თბილისი
2000

654.195+894.631+494.631+9(479.22)

ББК 83.3Гр
УДК 894.631.09
З611

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ერთხელ საქართველოში“ საქართველოს რადიოს ლიტერატურულ გადაცემათა რედაქციის პროგრამის „ენად შემკული და კურთხეული“ რუბრიკა. ამ რუბრიკის პირველი გადაცემა 1999 წლის სექტემბერში გავიდა ეთერში. რუბრიკის ავტორებს იმედი აქვთ, საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის, საქართველოს რადიოს ხელშეწყობით ეს რუბრიკა კვლავაც გაგრძელდება... თუ რამდენად საჭირო, რადიომსმენელმა და ამ კრებულის მკითხველმა განსაჯოს...

სპეც-2000
გამოწმებულია

რედაქტორი
იოსებ ჯუმბურიძე

მხატვრული რედაქცია და დიზაინი
ირაკლი ავალიანისა

ISBN 99928-820-2-6

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამომავლო გაკვეთილები

ამ წიგნს ორი ავტორი ჰყავს: მწერალი თამაზ სმალაძე, რომელსაც საქართველოს რადიოში მიჰყავს პოპულარული პროგრამა „ენაჲ შემკული და კურთხეული“ და ენათმეცნიერი, ჟურნალის „ბურჯი ეროვნებისა“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორი პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი.

იმ დროს, როცა ეროვნული ნიჰილიზმი მოგვეძალა, როცა კოსმოპოლიტები და „მსოფლიო მოქალაქეობის“ მსურველნი მოგვიმრავლდნენ, როცა თვით დიდ ილიაზეც აგდებით საუბარი (?!) დაიწყეს, როცა პრესა, უპირატესად, სენსაციებს, ჭორებს გამოეკიდა, ხოლო ტელე და რადიოარხები - მდარე სერიალებსა და, ასევე, საეჭვო გემოვნების გასართობებს, საქართველოს რადიოს ხსენებულ პროგრამაში მოულოდნელად გაჩნდა ახალი რუბრიკა - „ერთჴელ საქართველოში“.

ამ რუბრიკამ, უპირველესად, სწორედ ილია ჭავჭავაძის უკვდავი აზრი შეგვახსენა: „ერის დაცემა, პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს“.

დიდი ილია იმასაც ამბობს, რომ ერის ისტორია მხოლოდ ომებისა და მეფეების ისტორია არ არის. მართლაც, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტს შეიძლება დიდი სამომავლო გაკვეთილის მნიშვნელობა ჰქონდეს.

უბედურება ისაა, რომ ხშირად ვერ ვხვავ-

K 234.264 3

ლობთ წარსულის გაკვეთილებზე და სხვადასხვა დროში ერთსა და იმავე შეცდომას ვუშვებთ.

ახალი რუბრიკა გულისხმობს დიალოგს, რომელშიც თამაზ სმალაძე და გიორგი გოგოლაშვილი დღევანდელ ქართველობას შეახსენებენ წარსულის ისეთ გაკვეთილებს, რომლებზეც ჭკუის სწავლა სწორედაც შეიძლება.

მაგალითად, ისინი იხსენებენ იმ ფაქტს, როცა არჩევნებში აკაკი წერეთელი გააშავეს და მას ვინმე სუსკივაძე ამჯობინეს.

მათთვის, ამ შემთხვევაში, არსებითია არა თავად ეს კურიოზული ფაქტი, არამედ დიდი მგოსნის შეგონება: „კენჭი სინდისისა და ჭკუის საქმეა“.

დღევანდელმა ქართველობამ ესოდენ გახშირებული არჩევნების ეპოქაში რომ ამ შეგონებას მიუგდოს ყური, ჩვენი საქმე ბევრად უკეთესად წავა.

წინამდებარე კრებულის წამკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რატომ იხსენებენ ავტორები ილიას ჩასვლას სოხუმში 1903 წელს, ბათუმის ქალაქის თავის არჩევნებს 1895 და 1898 წლებში, აკაკის ჩასვლას კახეთში 1897 წელს, იმპერატორ ალექსანდრე მესამის სტუმრობას საქართველოში 1888 წელს...

ვფიქრობ, გონიერი მკითხველი იმასაც ადვილად მიხვდება, რატომ უთმობს გაზეთი „თბილისი“ თავის ფურცლებს სხენებული რუბრიკით გადაცემულ ყველა დიალოგს და ერთ წიგნში მათი თავმოყრის საჭიროებას და აუცილებლობასაც ასევე ადვილად დაინახავს და მიხვდება.

იოსებ ჯუბაშვილიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კენჭი სინდისისა და ჭკუის საქმეა“...

1912 წელი. სოჩხერე. ეკეკი არჩევნებში მონაწილეობს და... მარცხდება. ეს ფაქტი სიდ-ღეისო გაუვეთილად გამოგვადგება?

თამაზ ხმალაძე: ბატონო გიორგი, დამეთანხმებით თქვენც და ჩვენი მსმენელებიც: იყო დრო, როცა არჩევნების მიმართ საზოგადოება ინტერესს არ იჩენდა. შეჯამდებოდა არჩევნები და ირკვეოდა, რომ 99, 99% ამომრჩევლებისა „ხალხის რჩეულს“ აძლევდა ხმას. არც წინასაარჩევნო კამპანია გვართმევდა საეთერო დროს და გვიშლიდა ნერვებს და არც არჩევნების შემდეგ გვაწუხებდა მავანისა და მავანის ვნებათა ღელვა. ეს იყო არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, კომუნისტური რეჟიმის პერიოდში და, რა დაგიმალოთ, არცერთ მათგანში პირადად მე მონაწილეობა არ მიმიღია. სტუდენტი ვიყავი და სტუდქალაქში ჩვენი კორპუსის კომენდანტი აძლევდა ჩვენს მაგივრად ხმას; მერე იყო და, შეიძლება ოჯახის რომელიმე წევრს მოესურვებინა წასვლა არჩევნებზე და ის ჩაყრიდა ყველას ნაცვლად ბიულეტენებს. ასარჩევი რომ არა იყო რა, ესეც ყველამ ვიცით -

ერთი იყო კანდიდატი...

გიორგი გოგოლაშვილი: ახლა ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რაც იმ პერიოდში დააკლდა ჩვენს საზოგადოებას, თითქოს, იმის ანაზღაურებას ვცდილობთ: თუ ჩვენთან შედარებით ათჯერ და უფრო მეტად დიდ ქვეყნებში 2-3 კანდიდატია პრეზიდენტობისა, ჩვენთან ათზე მეტი უნდა იყოს... თუ ტრადიციულ დემოკრატიულ ქვეყნებში 2-3 პარტიაა, ჩვენთან - ასზე მეტი და ა.შ...

თ.ხ.: კანდიდატებისა თუ პარტიების ურთიერთდამოკიდებულებასა და საზოგადოების ინტერესებზე ხომ აღარას ვამბობთ.

გ. გ.: ამაზე ფიქრმა საუკუნის დასაწყისი გაგვახსენა, კომუნისტური რეჟიმის წინა პერიოდი. იყო იმ დროში არჩევნები, რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობის დროს.

1912 წელს რუსეთის სათათბიროს არჩევნები გაიმართა. არჩევნები ორ ეტაპად ტარდებოდა: ჯერ ირჩევდნენ რწმუნებულებს, რომელთაც შემდეგ სათათბიროს დეპუტატი უნდა აერჩიათ. ამ არჩევნებმა ჩვენი ყურადღება იმით მიიქცია, რომ მასში აკაკი წერეთელი მონაწილეობდა.

თ.ხ.: უფრო ადრე, 1906 წელს ილიამ იყარა კენჭი. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე ილია ჭავჭავაძე და მიხეილ გედევანიშვილი აირჩიეს რწმუნებულად, რომელთაც პეტერბურგში მონაწილეობა უნდა მიეღოთ სათათბიროს დეპუტატთა არჩევნებში. მოგეხსენებათ, მაშინ ილია აირჩიეს სათათბიროს დეპუტატად.

გ.გ.: 1912 წელს კი არჩევნებში მონაწილეობს აკაკი წერეთელი. დავაზუსტოთ: აკაკი რწმუნებულთა არჩევნებში იღებს მონაწილეობას, დეპუტატად კი კენჭი უნდა ეყარა კიტა აბაშიძეს.

თ.ხ.: ეს არჩევნები საკმაოდ გახმაურებული და უცნაური იყო თავისი თანმდევი უცნაურივე შედეგებით.

გ.გ.: როგორც ვთქვით, არჩევნები ორ ეტაპად ტარდებოდა. ჯერ ირჩევდნენ წარმომადგენლებს, რომელთაც მერე უნდა აერჩიათ დეპუტატები.

არჩევნები, მოგეხსენებათ, საყოველთაო არ იყო, ეს არჩევ-

ნები - ასე იხსენიებენ - წვრილ მემამულეთა არჩევნები იყო. მოკლედ, 1912 წელს სექტემბერში აკაკი წერეთელი მონაწილეობს წვრილ მემამულეთა არჩევნებში საჩხერეში დაიჯერეთ, გინდ - არა, გააშავეს.

თ.ხ.: ერთი წუთით, გავიხსენოთ, ეს რა პერიოდია: ეს ხდება სექტემბერში, ცოტა ხნის წინათ, ივლისში, აკაკი მოგზაურობს რაჭა-ლეჩხუმში. ეს ის მოგზაურობაა, ლეგენდასავით

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში

რომ შემორჩა ჩვენში და, ჩვენდა საბედნიეროდ, კინოფირზეც აღიბეჭდა - ვასილ ამაშუკელის დოკუმენტურ ფილმს ვგულისხმობ.

გ.გ.: ისიც ცნობილია, რომ ამ მოგზაურობის შესახებ ქართული და არაქართული პრესაც ძალიან ბევრს წერდა. მაგალითად, ხარკოვის გაზეთი „Утро" ბეჭდავს ვინმე ანისიმოვის წერილს „შეხვედრა საქართველოს უდიდეს პოეტთან აკაკი წერეთელთან".

თ.ხ.: და ამ დროს, საჩხერეში აკაკი გააშავეს. არ იყო, ეტყობა, აკაკისთვის ეს ფაქტი იოლი შესაგუებელი, იოლად მოსაგონებელი...

გ.გ.: თუმცა კი ცდილობს, რომ არ შეიმჩნიოს. მოდით, თავად მოვუსმინოთ, როგორ აღწერს ამ ამბავს: „მე ავედი საჩხე-

რეს, რომ არავითარი მონაწილეობა არ მიმეღო სადეპუტატო არჩევნებში. როდესაც მეკენჭეები ამოვიდნენ საჩხერეში კენჭის საყრელად, სამივე პარტიამ მე დამასახელა. წინა დღეს რჩევაც ჰქონდათ, რომ მე ერთხმად უკენჭოდ ამოვერჩიეთ. ეს გადმომცეს მეც, - მე არც მაშინ მინდოდა წასვლა, მაგრამ სხვებმა მირჩიეს: ეგ უმადურობა იქნება შენის მხრითაო, გადადი, მადლი გადაუხადე და ისე მოშორდიო. მეც დავთანხმდი და გადავედი მეორე დღეს, მადლობის გადასახდელად. მოვიდნენ მოციქულები ჩემთან და რაღაც თვალების პრაწვით მითხრეს: გადი ამ კრებიდან, თორემ გაგაშავებთო. მე სულ სხვას ველოდი და მიტომაც გამიკვირდა, რად გავიდე-მეთქი?- ყუთის დადგმა არ გაბედო, რადგან კიტასათვის შავი გინდა, თორემ გადაწყვეტილია, უნდა გაგაშავოთო".

თ.ხ.: მოდით, ცოტა ხანს შევწყვიტოთ ამონარიდის კითხვა და დავაზუსტოთ: საუბარია კიტა აბაშიძეზე. კიტა აბაშიძეს კენჭი უნდა ეყარა სათათბიროს დეპუტატად. თუ გავიდოდა აკაკი ამ არჩევნებში, ის იქნებოდა მისი ამომრჩეველი. ეტყობა, ზოგიერთებს ჰგონიათ, აკაკი კიტა აბაშიძეს დიდად არ აფასებს... და ყოველნაირად ცდილობენ, მოიშორონ თავიდან, რომ კიტა აბაშიძეს პრობლემები არ შეუქმნას.

გ.გ.: აკაკი განაგრძობს: „მე არც ყუთის დადგმა მსურვებია და არც კენჭში ჩარევა!... არც არავისთვის შავი მდომებია, და, არც არავისთვის თეთრი!... მაგრამ ახლა კი, თქვენი სიტყვის შემდეგ, რადგანაც მემუქრებით, იძულებული ვარ, დავიდგა ყუთი, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ მე არავისთვის შავი არ მსურვებია. მაგრამ ახლა კი, თუ ამირჩევთ, კიტას შავს მივცემ მეთქი!... ამ სიტყვის შემდეგ წავედი შინ დარწმუნებული, რომ გამაშავებდნენ!".

თ.ხ.: ალბათ, საინტერესოა, კვლავ დავაზუსტოთ: აკაკი წერეთელს ხელისგულზე ატარებს ქვეყანა; გაცილებით ადრე ილია სწერდა მას: „სხვები სხვები არიან და შენ კი ერთადერთი აკაკი ხარო".

გ.გ.: იაკობ გოგებაშვილი ქართული პოეზიის ფეხადგმულ იალბუზს უწოდებს. ვიღაც-ვიღაცეები გულწრფელად სთხოვდნენ წარმომადგენელთა არჩევნებში მიიღე მონაწილეო-

ბაო და ამ დროს იყვნენ ისეთებიც, ვინც აკაკის ჩვეულებრივი რიგითი ამომრჩეველივით ექცეოდნენ.

თ.ხ.: შეიძლება, ვინმემ იფიქროს, ბატონი გიორგი, ილიაცა და იაკობიც აკაკის მეგობრები იყვნენ და აქებდნენ, აბა, რა იქნებოდაო, მაგრამ, არც ერთსა და არც მეორეს უსაფუძვლო ქება რომ არ ახასიათებდა, უეჭველია. მაინც ნათქვამის შესამაგრებლად ერთ მოგონებასაც გაგახსენებთ, როგორ უყვარდათ აკაკი მის მშობლიურ კუთხეში. აკადემიკოსი სერგი დურმიშიძე, რომელიც თვითონ მოესწრო ცოცხალ აკაკის, წერს: „აკა-

სხვიტორი. აკაკის სახლ-კარი.

კი წერეთლის ცხოვრებაში მის მშობლიურ საჩხერეს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ხალხს უსაზღვროდ უყვარდა თავისი მეგობარი. აქ ყველას და ყველაფერს აკაკის სული დასტრიალებდა. არ იყო ოჯახი, სადაც აკაკის წიგნი და სურათი არა ჰქონოდათ... ამოიდგამდა თუ არა ბავშვი ენას, აკაკის ლექსს ასწავლიდნენ. მოხუცები აკაკის პოემის ზეპირ ცოდნაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, აკაკის გამოჩენა საჩხერეში სახალხო ზეიმს ჰგავდა. ათასი ლეგენდა დადიოდა მისი ცხოვრების შესახებ.

ხუთი წლისა ვიყავი, ჩვენებისაგან გავიგე, აკაკი ავად არი-

სო. ყველა შეწუხებული იყო, ყველას ღმერთის იმედი ჰქონდა. დედამ ხატის წინ სანთლები აანთო და ძილისწინა ლოცვისას ("დავწვები დამეძინება, პირჯვარი დამეწერება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი სულ თავთან დამესვენება") მთხოვა, ღმერთს ბიძია აკაკის კარგად ყოფნა შესთხოვეო, შენ ანგელოზი ხარ და გაგიგონებსო...

რამდენიმე დღის შემდეგ ატირდა ჩვენი ოჯახი, ჩვენი ეზო, ჩვენი ქუჩა, საჩხერე და, როგორც შემდეგ გავიგე, სრულიად საქართველოც: გარდაიცვალა ხალხის უსაყვარლესი მგოსანი აკაკი.

იმ დღეებში მამა გვიან მოდიოდა შინ, დედამ გვითხრა, ბევრი ხალხია ჩამოსული, აკაკი თბილისში უნდა წაასვენონო.

დადგა ბიძია აკაკისთან გამოთხოვების დღეც. დედამ ჩვენი მეზობლის დათა დევიძის სახლში წამიყვანა. მეორე სართულის აივანი ხალხით იყო სავსე. ყველანი ქუჩას გადაჰყურებდნენ. დამიდგეს სკამი და მეც აივანს გადავეკიდე. რაც მაშინ დავინახე, ახლაც თვალწინ მიდგას: ქვაფენილი აღარ ჩანდა. ადამიანთა ურიცხვი თავები ერთმანეთს მჭიდროდ მიჯრილიყვნენ და, როგორც ერთი ადამიანი, ნელა მოძრაობდნენ, მათ ზემოდან ცასა და მიწას შორის მინის სახურავიან კუბოში მშვიდად ეძინა მამა-ღმერთს - აკაკის".

შედარებას ხომ დაუკვირდით, ბატონო გიორგი, მამა - ღმერთს და აი, ამ კაცს, სულ ცოტა ხნის წინათ, როგორ ატკინეს გული, როგორ გაამწარეს... ასეთი რამეც მოხდა ერთხელ საქართველოში.... თუმცა, ისიც ვთქვათ, რომ...

გ.გ.: დიახ, კარგად იციან, აკაკის წონა, ავტორიტეტი, მისი სიტყვის ძალა და მაგალითი... ამიტომაც საჭიროდ თვლიან, სახელი გაუტეხონ მას, უკადრებელი აკადრონ...

ეს სენი, როგორც ჩანს, ძველი სენია; ჩვენ დღეს გვიკვირს, დეპუტატობის სკამის მაძიებელი ულირსი ღირსეულ პიროვნებას ლაფში ამოსვრას რომ უპირებს; უპირებს კი არა, ათას უბედურებას რომ დასწამებს.

თ.ხ.: დიახ, ეს ძველი სენი ყოფილა, რომელიც ეპიდემიასავით იფეთქებს ხოლმე არჩევნების დროს; მერე უნდა გაისარჯოს ვილაც, შელახული ავტორიტეტი რომ აღუდგინოს

ღირსეულ კაცს...

გ.გ.: ისევ იმ ფაქტს დავუბრუნდეთ, და გავიხსენოთ, როგორც ავი მაგალითი: სილოვან ხუნდაძე წერილს აქვეყნებს აკაკის კანდიდატურის წინააღმდეგ. ეგ ბუნებრივი შეიძლება იყოს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ იქ არ არის ობიექტური მსჯელობა, რატომ სჯობია სხვა აკაკის, ანდა რატომ არ არის აკაკი შესაფერისი კანდიდატი, რატომ არ უნდა იყაროს კენჭი...

თ.ხ.: მაინც რით იწუნებს სილოვან ხუნდაძე აკაკის?

გ.გ.: რამდენადაც მოულოდნელია, სილოვანი უნდობლობას უცხადებს აკაკის „ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში". აკაკის უწოდებს „ქვეყნის ორგულს", „შინაურ მტერს", „ყოვლად უკულმართს"...

თ.ხ.: ფუჰ, კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება იმას ფიცულობს, „ჩემი ხატია სამშობლო სახატე მთელი ქვეყანა", ამ უბადრუკი არჩევნების გამო, მოღალატედ გამოაცხადეს. „განთიადის" ავტორს რალაც პარტიული თუ პირადი ინტერესებიდან გამომდინარე შინაურ მტერს დაუძახებენ და აკაკის თითქმის თავის მართლება სჭირდება: რამდენიმე წერილს აქვეყნებს, რომ განმარტოს, რატომ მოისურვა კენჭისყრაში მონაწილეობა.

გ.გ.: ზემოთ რომ ამონარიდი მოვიყვანეთ, სწორედ სილოვან ხუნდაძის საპასუხო წერილიდან იყო. არჩილ ჯორჯაძე დაუჭერს მხარს სილოვან ხუნდაძეს და აკაკი საოცრად გულდაწყვეტილია... „თქვენს გულწრფელობასა და სიმართლის მოყვარეობაზე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, - მიმართავს აკაკი არჩილ ჯორჯაძეს, - ამ უკანასკნელმა თქვენმა წერილმა, რომლითაც თქვენ ეთანხმებით ბ. სილოვან ხუნდაძეს, რომ მე „შინაური მტერი ვარ", „ქვეყნის ორგული", „მოღალატე", „მასხარა" და სხვანი, სხვანაირად ჩამაგულისხმა.- მე ახლაც კიდევ ვფიქრობ, რომ თქვენ მოტყუებული ხართ და ის დაუჯერეთ შინაურ მოყვრებს, რაც არ ყოფილა და სიმართლეს მოკლებულია" და აკაკი ისევ თავიდან იწყებს ამბის მოყოლას, როგორ გადაწყვიტა კენჭისყრა.

თ.ხ.: ასე, რომ, მავანსა და მავანს ჩვენში გამარჯვების სურ-

ვილი დიდად ღირსეულ მამულიშვილს მოღალატედ გამოაცხადებინებს.

გ.გ.: აქ ის პრინციპი მოქმედებს, როგორც ჩანს: რაც უფრო დიდ პიროვნებას შეეჭიდები და, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, გალანძღავ, ლაფში ამოსვრი, საქვეყნოდ შეარცხვენ, მით უფრო დიდი კაცი გამოჩნდები.

თ.ხ.: დიახ, ეს სვლა იმათზეა გათვლილი, ვინც მერე იტყვის: ნახეთ, ეს აკაკის ებრძვის, აკაკის მოღალატეს უწოდებს, ე.ი. აკაკიზე უკეთესიაო...

გ.გ.: საუბედუროდ, ეს მეთოდი, როგორც ჩანს, ძველია და არც ყავლგასული... ჩვენი ყოველდღიურობაა ამის დასტური...

ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ერის სასიქადულო შვილის ასე მოხსენიება, ასე გამეტება, ქართულმა საზოგადოებამ ძალიან მწარედ განიცადა. სილოვან ხუნდაძის წერილის გამო ქვეყნდება გამოხმაურებები და საპროტესტო წერილები, მწარე სინანულს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ასე უსამართლოდ მოექცნენ აკაკის. გაზეთ „თემის" ოთხ ნომერში (92-95). „სახალხო გაზეთის" რამდენიმე ნომერში (731, 734, 736, 739 და სხვა), უკვირთ, რატომ დათანხმდა აკაკი კენჭისყრაზე; წერენ: „ამისთანა დიდებულნი მამულიშვილნი უნდა იმყოფებოდნენ ყოველთვის პარტიათა, მით უფრო საპარლამენტო პარტიათა გარეშე, ასეთი პირნი მთელი ერისთვის სათაყვანებელნი არიან..." იმასაც ამბობენ: „რაკი წარჩინებულმა ქართველმა მოიწადინა კენჭი ეყარა რწმუნებულობაზე, ყოველი ჯგუფი, ყოველი მოკენჭე ზნეობრივად ვალდებული იყო, მისთვის „თეთრი" მიეცა... ვერ დავფარავთ, რომ მისი „გაშავება" მეკენჭეთა სწორედ პოლიტიკური სიბეცის და მეწვრილმანეობის ბრალია". ესეც ამონარიდია. აკაკის „გაშავების" ამბავი ისე თავზარდამცემი და დაუჯერებელი იყო, რომ რუსეთის გაზეთებში კორესპონდენტებმა გაგზავნეს დეპეშა - „ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი არჩევნებზე გააშავესო". გაზეთ „თემში" ერთ-ერთი კორესპონდენტი ამასაც წერდა: „სანუგეშოდ ისლა დაგვრჩენია, რომ არჩევნებში იღებენ მონაწილეობას მარტო შეძლებული მემამულენი, თორემ ნამდვილი მშრომელი ხალხი თავის ერთგულ აკაკის ვერასოდეს ვერ გააშავებდა"... მაგრამ

ეს მერე ხდება; არჩევნები უკვე ჩავლილია...

თ.ხ.: ყოველივე ეს მწარე გაკვეთილია წარსულისა და არცთუ უცხო რამ დღევანდელობისთვის. ანალოგიების დაძებნა არ გაგვიჭირდება...

გ.გ.: ამ ისტორიის გახსენება, ყველაზე მეტად, იმითაა საინტერესო, თუ როგორ შეფასებას აძლევს აკაკი ამ არჩევნებს.

ჯერ ის გავიხსენოთ: რომ შეუტყვია შედეგები, აკაკის გაუცინია. რა გაცინებსო? - ჰკითხეს თურმე. უპასუხია: „როგორ არ გავიცინო, მთელ ჩემს სიცოცხლეში ისა მსურდა, კარგი ვყოფილიყავ და ყველა ქართველი მჯობნებოდა. და ახლა სიბერის დროს მოვესწარი, რომ მთელი საწერეთლო მჯობნებია, აბა, როგორ არ გავიხარო". ვერ გეტყვით, ამ თქმაში რა დოზითაა ირონია წარმოდგენილი, მაგრამ დამთავრებულ არჩევნებს ამგვარი ირონია რომ უხდება, ფაქტია, ამგვარი ირონია რომ სჯობია ქვისა და ლაფის სროლას, ესეც ფაქტია...

და ისიც გავიხსენოთ, იმდროინდელ არჩევნებს, ზოგადად, როგორ შეფასებას აძლევს აკაკი. გავიხსენოთ და დავფიქრდეთ, რა შეიცვალა და როგორ. 1913 წლის 11 თებერვლის გაზეთ „თემში" იბეჭდება „აკაკის წერილი" (სათაურია ასეთი). ეს ძალზე საინტერესო წერილი აკაკის თხუთმეტტომეულის XIV ტომში იბეჭდება. დაინტერესებულ მსმენელს შეუძლია გაეცნოს. ჩვენ კი რამდენიმე ადგილს ჩავიკითხავთ: წერილს აკაკი ძველ საქართველოში გავრცელებული ლელოსა თუ ყეენობის აღწერით იწყებს; თუ როგორ გადასცდებოდა ზოგჯერ ზღვარს ყოველივე და რა სავალალო შედეგები მოჰქონდა. ეს იყო ძველად. ახლა, - წერს აკაკი, - „კენჭობიას მიეგება ქართველობა! ეს სენი ზემოხსენებულ ორივე სენზე უარესია - ის სხეულს მაინც ავარჯიშებდა და ერთმანეთის წინააღმდეგობა თამაშობის გათავებისთანავე თავდებოდა და ეს კი, კენჭობია, ჰრყვნის საზოგადოების სულსა და გულს და სთესავს საშვილიშვილო მტრობას... ყოველ მოკენჭეს და არა მარტო კენჭოსანს, ასე უბრალო მოენესაც მხოლოდ საპირადო აქვს სახეში და არა საზოგადო საქმე „აქამდი ამას უჭამია და ახლა იმან სჭამოსო". „ეს ჩემი ნათესავია და ქვეყნის ფეხის მომჭმელიც რომ იყოს, როგორ ვუღალატებ და სხვაზე უკან დავაყენებ,

შავს როგორ მივსცემო". „ეს მეგობარია", „ამისგან დავალებული ვარ", „იმან სადილად დამპატიჟაო", და ამგვარად, სულ პირადობა და პირადობა, ამომრჩევლები საპირადოსა და საკუჭოს ვერ ასცდებიან. რომ უსაყვედუროთ, თავს მართლულობენ: რა ვუყოთ მერე, სადაც კენჭია, იქ ყველგან შეხლა-შეტაკებაა"... - ასე ახასიათებს აკაკი იმ სენს, არჩევნები რომ ჰქვია.

თ.ხ.: ამ წერილში ერთი საგულისხმო ადგილიცაა. „შეგნებული კენჭისყრა, ქვეყნისთვის დიახ სასარგებლოა და ამ შეგნების მაგალითს უნდა ინტელიგენცია აძლევდეს ქვეყანას!... მაგრამ ვაი რომ ვერა!... ისიც სცდება და უმეცრებას ასუქებს უნებურად"...

გ.გ.: რომ არ ვიცოდეთ, რომ ეს ყოველივე საუკუნის დასაწყისში დაიწერა, შეიძლება დღევანდელი ნიჭიერი პუბლიცისტის შეფასებად მივიღოთ...

და ისიც მინდა გავიხსენო, როგორ ახსნა აკაკიმ არჩევნებში თავისი დამარცხება. აკაკის აფორიზმებსა თუ ფრთიან გამოთქმებში ამანაც უნდა დაიმკვიდროს ადგილი. „მე რომ გავიგე, მხოლოდ გავიღიმე, - კრინტიც არ დამიძრავს! კენჭი სინდისისა და ჭკუის საქმეა; ყველამ თავის ნებაზე უნდა იმოქმედოს".

თ.ხ.: დიახ, უნდა გვახსოვდეს, რომ კენჭი სინდისისა და ჭკუის საქმეა... და როცა სწორ არჩევანს ვერ ვაკეთებთ, ან სინდისი გვლალატობს და ან - ჭკუა...

გ.გ.: ან ორივე ერთად, რაც კიდევ უფრო უარესია.

თ.ხ.: და კიდევ, როცა აკაკი იყრის კენჭს, ვინმე ხუსკივაძე არ უნდა ვამჯობინოთ მას პირადული ინტერესების კარნახით და ვინმე ხუსკივაძის გამოსაჩენად, აკაკის მოღალატე და ქვეყნის მტერი არ უნდა ვუწოდოთ. ისტორიის გაკვეთილები ბეჯითად ვისწავლოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინათლე დასავლეთიდან მოდის

1903 წელი. ილია სოხუმში.

XX საუკუნის დასაწყისში მომხდარი ფაქტის აქტუალურობა XXI საუკუნის მიჯნასთან.

გიორგი გოგოლაშვილი: - ამ ფაქტზე, ბატონო თამაზ, ბევრი დაიწერა იმდროინდელ ქართულ პრესაში, მაგრამ, ალბათ, ყველაზე შთამბეჭდავია თვითმხილველის, იმხანად აფხაზეთის მკვიდრის, თედო სახოკიას მოგონება. აი, რას წერს იგი: „სოხუმის მკვიდრი ქართველობა განსაკუთრებით იჩაგრებოდა ცარიზმის აღვირახსნილი რეჟიმისაგან. ადმინისტრაციაში დიდი ადგილები სულ შავრაზმელებს ეჭირათ; შავრაზმელი იყო სასულიერო უწყების უფროსიც (ეპისკოპოსი), სასწავლებელში უფროსებად, მასწავლებლებად შავრაზმელები იყვნენ...“

თამაზ ხმალაძე: - ბატონო გიორგი, გთხოვთ თქვენც და

ჩვენმა მსმენელებმაც, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ, აქაც და შემდგომშიც: თითქმის არავითარი წინააღმდეგობა არ ჩანს იმ კუთხის ადგილობრივ მცხოვრებლებს - ქართველებსა და აფხაზებს შორის, არავითარი დაძაბული ურთიერთობა არ იგრძნობა, ორივეს მჩაგვრელად სხვა, უცხო იგულისხმება.

გ.გ.: დიახ, აგრეა. მაგრამ, ღღევანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, ისიც საგრძნობია, რომ ამ კუთხის მცხოვრებთ ცენტრიდან, დედაქალაქიდან, ყურადღება აკლიათ, არ არიან ამით განებივრებულები. აი, მივყვეთ თედო სახოკიას მოგონებას: „ასეთ ატმოსფეროში მყოფი ქართველობა სიხარულით აღივსებოდა ხოლმე, როცა ვინმე მოწინავე ქართველი, შემთხვევით, გზად გამოივლიდა სოხუმში. თავი მოჰქონდათ: აი, რა კაცები ჰყავს ჩვენს სამშობლოსო! გულში ათასნაირი იმედი ესახებოდათ.

მთელი ეპოქა იყო აქაურების ცხოვრებაში, როცა აქ განსვენებული პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი გამოივლიდა თავისი ნათესავების, გოგრიჩიძეების სანახავად!... ერთხელ ქართველი სტუდენტობა მოიყვანა აქ ოდესის უნივერსიტეტის პროფესორმა ვასილ პეტრიაშვილმა. ერთხელ ნიკო ნიკოლაძეც იყო. აკაკი ისე გარდაიცვალა, სოხუმი არ უნახავს. ილია ჭავჭავაძემ კი მხოლოდ 1903 წელს ინახულა სოხუმი და სოხუმის ქართველობა...“

თ.ხ.: არა გგონიათ, რომ თედო სახოკიას სიტყვებში, სინანულთან ერთად, საყვედურიც ჟონავს ჩვენი იმდროინდელი

ინტელიგენციის მისამართით: სათანადო ყურადღება არ ექეცოდა პერიფერიებსო?

გ.გ.: ეს აშკარად იგრძნობა, თამაზ, მაგრამ შორიდან ვინმეს გამტყუნება და საყვედურის თქმა იოლია, შეეძლოთ კი დაბეჩავებული, დაწიხლული ქვეყნის შვილებს იმაზე მეტი, რაც გააკეთეს?

თედო სახოკია

თ.ხ.: რა ვიცი, ასი წლის წინანდელი გულგრილობის ნაყოფს დღეს ხომ არ ვიმკით-მეთქი...

გ.გ.: ვერ დაგეთანხმებით. თუნდაც იაკობ გოგებაშვილი გავიხსენოთ, თითქმის ერთი თვე იცხოვრა სოხუმში, აფხაზებისათვის ანბანი რომ უნდა შეექმნა.

თ.ხ.: ეგ ჰო, ეგ ჰო, ეგეთი ფაქტები მახსოვს და სხვათა შორის ისიც მახსოვს, რომ, თუ არ ვცდები, ოსური ენის პირველი პრაქტიკული გრამატიკა დანიელ ჭონქაძემ დაწერა. ყოველ შემთხვევაში, „ნართების" ეპოსის პირველი ჩამწერი და პოპულარიზატორი ის რომ იყო, კარგად მახსოვს, თქვენ სხვა თქვით, თორემ, სამწუხაროდ, ბევრი „მადლის მატლად ქცევა" მახსოვს...

გ.გ.: ბატონო თამაზ, სანამ კონკრეტულად ილიას სტუმრობას შევეხებით, ისიც გავიხსენოთ, რა გახდა საბაბი ამ სტუმრობისა: 1903 წელს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებას ერთ-ერთ თავის სხდომაზე, საუბარი ჰქონდა იმ ამაგზე, რაც პრინცმა პეტრე ოლდენბურგელმა[1] დასდო აფხაზეთს გაგრის კურორტის დაარსებით, იქვე რეალური სასწავლებლის გახსნით და, საერთოდ, აფხაზეთის ამ კუთხის გამოცოცხლებით. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ დროს, როცა შავრაზმული პო-

1. გ. შარაძის აზრით უზუსტობაა: საუბარია ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგზე.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პრინცი ოლდენბურგელი

ლიტიკა ბატონობს ყველგან, გაგრაში ახალგახსნილ რეალურ სასწავლებელში ქართველი ბავშვებისათვისაც არის ადგილები დაჯავშნული.

თ.ხ.: ინტერესმოკლებული არ იქნებოდა, ბატონო გიორგი, პრინც ოლდენბურგელზეც, გერმანიის უძველესი საიმპერიო გრაფების საგვარეულოს ამ ღირსეულ წარმომადგენელზეც გვეთქვა ორიოდე სიტყვა. ამ საგვარეულოდან მომდინარეობს სამეფო დინასტია დანიაში, ნორვეგიასა და შვედეთში. რუსეთის უფლისწული ოლდენბურგელები ჰერცოგ გეორგ ლუდვიგ ოლშტაინის პირდაპირი ჩამომავლები იყვნენ. ისინი შესანიშნავ მამულებსა და სასახლეებს ფლობდნენ, მათ შორის - გაგრასაც.

ამ პიროვნებაზე საყურადღებო მოგონება დაგვიტოვა სამსონ ფირცხალავამ. აი, ნახეთ, რას წერს იგი: „...იმ დროს, ქუთაისში ცხოვრობდა ერთი ახალგაზრდა ოლდენბურგელი პრინცი, რაღაც დანაშაულისათვის გადმოსახლებული, დროებით პეტერბურგიდან. ამ პრინცს მოეწონა დადიანის ცოლი (იოსელიანის ქალი) და დაუწყო არშიყობა. ქალმა შორს დაიკავა თავი. პრინცს სიყვარული უფრო გაუძლიერდა და გათავდა იმით, რომ დადიანს დიდი ფული მისცა და ის ცოლს გაეყარა. მაშინ, პრინცმა ჯვარი დაიწერა ქალზე და რადგან იგი უბრალო ჩამომავლობისა იყო და არ შეეძლო საიმპერატორო ოჯახის წევრობა, მოუპოვა მას გრაფინია ზარნიკაუს სახელი და მათ შვილებსაც ეს გვარი დაერქვა“. ხედავთ, თურმე, ასე-

თი რამეც მოხდა, ერთხელ, საქართველოში!...

გ.გ.: ბატონო თამაზ, თქვენ იცით, რომ მე, ფაქტობრივად, ქუთაისში გავიზარდე, სკოლა იქ დავამთავრე და ყოველი ფაქტი ამ ქალაქის ცხოვრებისა ჩემთვის ძვირფასია. გრაფინია ზარნიკაუ იოსელიანის ქალი იყოო, წერს სამსონ ფირცხალავა, მე კი სხვა ვერსია ვიცი, უფრო სანდო მგონია ანა კალანდაძის მოგონება: „ბაბუას ერთხანს პრინც ოლდენბურგთან უმუშავია. პრინცის მეუღლე, მშვენიერი ქალბატონი, ჯაფარიძის ქალი ყოფილა, დადიანის ცოლყოფილი. ქუთაისში გავრცელებული ყოფილა, თურმე, ასეთი სტრიქონები: „აგრაფინა კისკისაო, დადიანმა პრინცს მისცაო“... აგრაფინა დედაჩემის ნათლია იყოო, - განაგრძობს ქალბატონი ანა, - „იმ ერთადერთ ფოტოზე, ჩვენსას რომ ინახება, მას ძვირფასი ხავერდის შლეიფიანი კაბა აცვია... შლეიფი ხალიჩასავით არის დაფენილი იატაკზე. სურათს უკანა მხარეს მხოლოდ ერთად-ერთი სიტყვა აწერია ფანქრით: „Кися“.

დედა მასთან დაკავშირებით ხშირად ახსენებდა გვარს „ზარნიკაუ...“-ს. აღარ მახსოვდა, რა კავშირი იყო ამ გვარსა და მშვენიერ ქალბატონს შორის. ახლახან, სრულიად შემთხვევით, გავიგე, რომ „პრინცობა“ აგრაფინას შვილებზე არ გადადიოდა, რადგანაც იგი უბრალო გვარის შვილი იყო, ამიტომ რუსეთიდან მისთვის „გამოუგზავნიათ“ წოდება - „ზარნიკაუ“, რომელიც გადაეცემოდა აგრაფინას შთამომავლობას“.

როგორც მოგახსენეთ, ამას ანა კალანდაძე იგონებს.

თ.ხ.: ეს ყველაფერი ფრიად საინტერესოა, ბატონო გიორგი, მაგრამ სათქმელს ძალიანაც ნუ დავშორდებით. ჩვენ ვსაუბრობდით, რომ პრინცმა პეტრე ოლდენბურგელმა, რომელსაც ქართველი ქალი ჰყავდა ცოლად, დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს, კერძოდ, აფხაზეთს და მისთვის მადლობის სათქმელად საგანგებო დეპუტაცია გაემგზავრა თბილისიდან გაგრაში. დეპუტაციაში შედიოდნენ: ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ორბელიანი (სიძე პოეტ ვახტანგ ორბელიანისა, თბილისის სამაზრო მარშალი თავადაზნაურთა) და სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი დიმიტრი ჩოლოყაშვილი.



სოხუმი, XIX საუკუნის ბოლო

მათ თავიანთი დავალება პირნათლად შეასრულეს, გაგრა საფუძვლიანად დაათვალიერეს და შემდეგ იქიდან სოხუმს ეწვივნენ.

გ.გ.: „ელვის სისწრაფით მოედო მთელს ქალაქს ილია ჭავჭავაძის მოსვლაო, - წერს თედო სახოკია, - ასეთი ადამიანების სტუმრობით სოხუმელები მაინცდამაინც განებივრებულები არ ვიყავით. წარმოგიდგენიათ, რარიგ უნდა გაგვხარებოდა მთელი საქართველოს სიამაყის, ილია ჭავჭავაძის, მოსვლა!

რომ ყველას შეძლებოდა ილია ჭავჭავაძის ნახვა, მისგან ცოცხალი სიტყვის გაგონება, გადაწყდა, სადილი გამართულიყო ძმათა შერვაშიძეთა სასახლის ვრცელ ეზოში ასწლოვანი მუხებისა და ცაცხვების ქვეშ... ასზე მეტმა ქალმა და კაცმა მოიყარა თავი. ყველას მოუხაროდა, როგორც დიდ და ბრწყინვალე დღესასწაულზე“.

თ.ხ.: და განა, მართლაც, დიდი ზეიმი და დღესასწაული არ იქნებოდა, ბატონო გიორგი?

გ.გ.: თედო სახოკია თვითმხილველი და მონაწილეა ამ ზეიმისა. მე შემოკლებით მოვიყვან ნაწყვეტს მისი მოგონებიდან „...საათის ოთხზე მობრძანდნენ სტუმრები, რომელთაც სუფრის თავში დააჭერინეს ადგილი. ილიას გვერდით მოუსვეს ღრმად

ილია სოხუმელებთან ერთად
შერვაშიძეთა ბალში

მოხუცებული გრიგოლ შერვაშიძის მეულლე ალათი დადიანის ასული. ძვირფასი სტუმარი რომ ყველასათვის დასანახი ყოფილიყო, მოსუფრალნი ორ რკალად შემოურიგდნენ სუფრას. თამადად აირჩიეს აქაური მოქალაქე, თეიმურაზ გაბუნია, ცნობილი თავისი ჭკუითა და სიდარბაისლით.

თამადამ პირველად ადღეგრძელა ილია ჭავჭავაძე, მიულოცა საქართველოს საუკეთესო შვილს სოხუმში მობრძანება. მადლობა მოახსენა, რომ თავის აქ მობრძანებით ყველასაგან დაჩაგრულთ ვაჟკაცობის სული შთაბერა.

გაძლევთ პირობას, თანახმად თქვენის მოძღვრებისა, ჩვენის ქვეყნისათვის ჩვენც ვიშრომებთ, ჩვენც შევიტანთ წვლილს საერთო სალაროში, მხოლოდ ერთსა გთხოვთ, ჩვენო ძვირფასო ბატონო: თქვენ და თქვენისთანები ნუ დაგვივიწყებთ ხოლმე, ათასში ერთხელ დაგვხედეთ, გაგვამხნევეთო...“

თ.ხ.: კარგია, ბატონო გიორგი, მოკლედ და სხარტად რომ მოგვითხრეთ ნადიმის მიმდინარეობაზე, მაგრამ როცა ილიას იქ წარმოთქმულ სიტყვას გაგვაცნობთ, ძალიან ნუ შეამოკლებთ, რადგან დღესაც აქტუალურად და ყურადსაღებად მიმაჩნია თითოეული ჩვენგანისათვის.

გ.გ.: აქ მე ძირითად ფრაგმენტებს მოვიყვან ილია ჭავჭავაძის სადღეგრძელოსას: „თქვენ რომ გიყურებთ, გულს იმედი და

სასოება ჩამესახა. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყანა წინ მიდის, მტერს ასე ადვილად არ დავეჩაგვრინებით. რომაელთა ერთ-ერთი თქმა მაგონდება: სინათლე აღმოსავლეთით გვევლინება, თქვენ რომ გიცქერთ, ეს თქმა ასე უნდა შევცვალო: სინათლე დასავლეთიდან მოდის, საქართველოსათვის მაინც-მეთქი! თქვენც მიხვედრილი ბრძანდებით, რომ დღევანდელ ცხოვრებაში სუფრის თავში ის ერი ზის, ვინც ირჯება, ვინც ცდილობს, ქონება შეიძინოს, ეკონომიურად წელში გამაგრდეს. ვინც ამას არა ფიქრობს, ვინც სხვას შეჰყურებს, აცა რამე გაჰვარდეს ხელიდან და მე ავიღოო, ის ხალხი ტყუილად ნუ ელის, შორი მანძილი გაიაროს ცხოვრებაში...

თქვენი მოძმენი, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები, იმითა ვართ შესაბრალისნი, რომ მეტად ტაატით მივდივართ ეკონომიური მოღონიერებისაკენ. იქ ყველანი ჩვენა გვჩაგრავენ, თავზე გვასხდებიან. აქ, თქვენ რომ გიყურებთ, გული მინათდება, სასოებით მევსება: მთელი ქალაქი თქვენს ხელშია, აქაურობის ბატონ-პატრონი თქვენა ხართ. გეტყობათ, დღესა და ღამეს ასწორებთ, ცდილობთ, უკვე შეძენილს კიდევ მიუმატოთ, თქვენი ქონება ერთი-ორად აქციოთ... თუ ეკონომიურად წელში გაიმართებით, ჩვენი სამშობლო, მამა-პაპათაგან ნაანდერძევი შეგვრჩება, ვერავინ წაგვართმევს... რომ მოგახსენეთ, საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, მიტომ მოგახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლისა, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგბაძონ, ერთობლივის ძალით მამა-პაპათაგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევირჩინოთ, სხვას მისი დაპატრონების მადა არ გავუღვიძოთ, მოსეულ ათასგვარ მტერსა და დუშმანს კრიჭაში ჩავუდგეთ, გავუმკლავდეთ, ხმალამოღებული დავუხვდეთ, ჩვენზე არ გავაცინოთ."

თ.ხ.: ილია ჭავჭავაძემ, სხვა ყველაფერთან ერთად, ისიც ბრწყინვალედ იცოდა, სად და ვისთან რა უნდა ეთქვა.

გ.გ.: კარგა შებინდებულზე ყველანი მხიარულნი და

სოხუმი, XIX საუკუნის ბოლო

ბედნიერნი დაიშალნენო, ამთავრებს თედო სახოკია, - მერე დიდხანს და დიდხანს ჰქონდათ სოხუმელებს ეს სადილი სალაპარაკოდ და სასიამოვნო მოსაგონებლადო.

თ.ხ. კარგია ყველაფერი, რაც კარგად მთავრდება, ბატონო გიორგი, და ვატყობ, თქვენც ასე გინდათ დაასრულოთ ჩვენი დღევანდელი შეხვედრა, მაგრამ მაპატიეთ, არ ეგების ასე დამთავრება, რადგან დღევანდელი გადასახედიდან, რაც უნდა გაგიკვირდეთ, ეს არა მგონია მთავარი, ოღონდ, აი, ის კი მიმაჩნია არსებითად, რაც ილიას უთქვამს სადილის შემდეგ.

გარდა ილიას იმ სადღეგრძელოსი, რომელიც სადილზე ითქვა - ზუსტად იქ, სადაც უნდა თქმულიყო, და დაიბეჭდა კიდეც იმავე წლის ოთხი ივნისის „ივერიაში", ნესტორ კალანდაძე „კოლოს". ფსევდონიმით აქვეყნებს სოხუმელთა დიდი სტუმრის სიტყვას, ეტყობა, შედარებით ვიწრო წრეში ნათქვამს: „ღმერთსა ვთხოვ, გიხსნათ თქვენ, აქაური ქართველობა, იმ საშინელი განსაცდელისაგან, რომელიც მე სულთამხუთავივით თვალთ ამეტუზა, რაც აქაურობა დავიარე და დავათვალიერე. დღეს აქომამდე ამ მშვენიერს აფხაზ-ქართველთა მიწაწყალს ხმლით ვინახავდით და ასე თუ ისე, შევინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარქაშში ჩაეგო. დღეს სხვა მტერი მოდის, როგორც ვხედავ, ისე გულდაგული და პირდაპირი კი არა, როგორც პატიოსანი ხმალი, არამედ - ჩუმად, ქურდულად, რო-

ორც მაცდური და მპარავი. იგი მტერი ფულია, გაიძვერა და მზაკვარი. იგი ლიმილითა და ალერსით მოგექცევათ და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზს, ტურფას, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანში იქნება მადლობელიც გაუხდეთ.

კიდევ ვიტყვი, ღმერთმა გიხსნათ ამ საშინელი მაცდურისაგან, ღმერთმა ჰქნას და თამამ ხმლისაგან უძლეველნი არ იძლივნეთ მხდალ და მშიშარ ფულისაგან და შეირჩინოთ ეს ქართველის სისხლით მორწყული მშვენიერი ქვეყანა თქვენდა სადღეგრძელოდ და თქვენთა შვილთა და მახლობელთა საბედნიეროდ და თავსმოსაწონებლად".

გ.გ.: ვაი, რომ ვერ შევირჩინეთ, ბატონო თამაზ, ჯერჯეროობით მაინც...

თ.ხ.: მეც მანდა ვარ, ჩემო გიორგი, და რატომ ვერ შევირჩინეთ? უწინარესად იმიტომ, რომ ერთპირად დგომა ვერ შეეძელით. აი, გაივლის სოხუმში ილიას სტუმრობიდან სულ ოთხიოდე წელი და ერთხელ საქართველოში, წიწამურთან, ერის სულიერი მამის სისხლს ღვრიან.. ამ დროს თედო სახოკია სოხუმის ციხეში ზის და გაციმბირებას ელოდება. იქაც შეიტყობენ ამ საშინელ ამბავს და პოლიტიკური პატიმრები გადაწყვეტენ, ერთობლივი სამძიმრის დეპეშა გაგზავნონ, მაგრამ სოციალ-დემოკრატები უარზე დადგებიან: პარტიული მოსაზრებით ვერ შემოგიერთდებითო...

გ.გ.: ვიცი, საითაც უმიზნებთ, თამაზ, მრავალპარტიულობა, ჰაი-ჰაი, რომ კარგია, მაგრამ სანამ ასე დაქსაქსულნი ვიქნებით, სანამ მარტო სიტყვით კი არა, საქმითაც არ გავერთიანდებით და შევრიგდებით, ჩვენი საშველი არ იქნება... მე მაინც მჯერა, რომ ილიას გზა მარადიულია და ჩვენს დღევანდელ საუბარსაც ამაოდ არ ჩაუვლია.

თ.ხ.: მაგისი რომ არა მჯეროდეს, ჩემო გიორგი, აბა ამდენს რა მალაპარაკებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქართველებს კაცი არ მოგეძებნებათ...“

1895 წელი. ბათუმი. ქალაქისთავის პირველი არჩევნები. მაშინ არც სინდისმა გვიმტყუნა და არც ქუჯამ.

თამაზ ხმალაძე: მაშ ასე, ბატონო გიორგი, ერთხელ საქართველოში, კერძოდ, ბათუმში ქალაქის თავის არჩევნები უნდა ჩატარებულიყო - პირველი არჩევნები ბათუმის ქალაქისთავისა, დღეს მერის სახელით რომ არის უფრო ცნობილი.

გიორგი გოგოლაშვილი: დიახ, ბატონო თამაზ, და ჩვენს მსმენელებს ისიც გავუმხილოთ, რომ გასული საუკუნის ქართული ყოფის ეს საინტერესო მომენტი ყველაზე უკეთ ჩვენს სასიქადულო მწერალს დავით კლდიაშვილს აქვს აღწერილი მოგონებებში „ჩემი ცხოვრების გზა“ და ჩვენი დღევანდელი საუბრის ძირითადი წყაროც ის იქნება.

თ.ხ.: ჰოდა, ბატონო გიორგი, ერთხელ საქართველოში, კერძოდ, ბათუმში და, კერძოდ 1895 წელს ჩატარდა ქალაქის

თვითმმართველობისა და ქალაქისთავის პირველი არჩევნები...

გ.ბ.: სანამ ამაზე ვისაუბრებდეთ, ალბათ, აუცილებელი იქნება, გავიხსენოთ იმდროინდელი ბათუმის სულიერი თუ მატერიალური ყოფა... რომელიც ასე ცხოველმყოფლად, თითქმის დოკუმენტური სიზუსტით გააცოცხლა ოთარ ჭილაძემ თავის შესანიშნავ რომანში „რკინის თეატრი“.

როცა 1882 წელს დავით კლდიაშვილი ბათუმში სამხედრო მოსამსახურედ ჩავიდა, ქალაქი ოთხიათასამდე მცხოვრებს ითვლიდა. თუკი შეიძლება მისთვის ქალაქი გვეწოდებინაო, ამბობს დავითი. ზღვის პირას იყო ბაზარი, პატარა დაბალი ქოხმახები - ვითომ მაღაზიები. ქალაქის გარშემო ადგილები ჭაობით იყო დაფარული, თითო-ოროლა სოფელი ეკრა და ისიც პატარები. რკინიგზა არ იყო დამთავრებული და მისვლა-მოსვლა ხდებოდა ზღვით - ორიოდე პატარა გემი დადიოდა ფოთიდან.

დავით კლდიაშვილი

1883 წლის ბოლოს რკინიგზის მშენებლობა დამთავრდა და ბათუმი თბილისს დაუკავშირდა... 1885 წელს კი პორტო-ფრანკოც გაუქმდა.

თ.ხ.: ბატონო გიორგი, დღეს ბევრმა უკვე აღარ იცის, რა არის პორტო-ფრანკო და ამის განმარტებაც გახდება საჭირო...

გ.ბ.: პორტო-ფრანკო იყო, დაახლოებით, დღევანდელი თავისუფალი ეკონომიკური ზონა რომ წარმოვიდგინოთ, მაშინ ის ერთეულთა ძარცვა-გლეჯისა და ფულის მოხვეჭის საშუალე-

ბათუმი, XIX საუკუნის ბოლო

ბას წარმოადგენდა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის კი ვაივაგლახისა და წვალების მეტი არაფერი იყო.

თ.ხ.: გასაგებია, ბატონო გიორგი, ბათუმში პორტო-ფრანკო გაუქმდა, რკინიგზა გავიდა, მრეწველობა განვითარდა და ახალი საარჩევნო დებულების საფუძველზე, ქალაქის თვითმმართველობისა და ქალაქისთავის არჩევნებიც უნდა გაიმართოს.

გ.ბ.: დიახ, და აი, ამ ვითარებას როგორ ახასიათებს დავით კლდიაშვილი: „საჭირო იყო მუშაობის გამოწყობა, რომ ქალაქის მმართველობისათვის ჩამოეშორებინათ ჭრელი ხალხი და ჩამდგარიყვნენ ისეთები, რომელთაც გული ეწვოდათ აქაურებისათვის და მათი ბედ-იღბალი აინტერესებდათ. მათ უნდა გაელვიძებინათ მოსახლეობის დაჩაგრული ნაწილი. ასეთ დაჩაგრულ ნაწილს კი სწორედ ქართველობა შეადგენდა, რომელსაც ყველგან გზას უღობავდნენ და უკან აყენებდნენ, რომელიც მეტისმეტ უპატივისცემლობაში იყო“.

თ.ხ.: ესე იგი, ქალაქში ვითარება თვალშისაცემად შეცვლილია, მაგრამ ამ ცვლილებებმა ადგილობრივ ქართველებს, აჭარის მცხოვრებლებს არავითარი შვება არ მოუტანა...

გ.ბ.: ნამდვილად, ბატონო თამაზ, ნამდვილად. აი, ისევ დავით კლდიაშვილს მოვუსმინოთ: „კაიანდრა, ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელი, რომელიც ქართველებს დაურიდებლად „გოლოვოტიაპებს“ ეძახდა, დარწმუნებული იყო, რომ არჩევნები მისი და მისი მომხრეების სასარგებლოდ

დამთავრდებოდა. სომხები კი ფიქრობდნენ თავისი კაცის გაყვანას ქალაქის თავად და ამისათვის კიდეც ჩამოიყვანეს ბათუმში სამსახურიდან გადამდგარი გენერალი ვილაც ბებუთოვი და დიდის ამბით ასეირნებდნენ ბულვარში ხალხის დასანახავად. მისი კანდიდატურის სიძლიერე ისე შეთვისებული ჰქონდათ, რომ ბათუმში ცნობილი დელი მაიორი (ე.ი. გიჟი) ტერ-ასატუროვი დაუფარავად, ხმამაღლა ამბობდა: - ბათუმში ქალაქის თავი ან სომეხი, ან ქართველი უნდა იქნეს, მაგრამ ამისათვის ქართველებს კაცი არ მოგეძებნებათ და არც უნარი გაქვთ საამისო, ამიტომ ჩვენ, სომხებს, გვრჩება სათავეში ჩადგომა. ამაზე უკეთეს კაცს თქვენ ვერ იშოვითო. თავხედურად გაიძახოდა ამას, რადგან ყველანი თამამად წიხლავდნენ ჩვენებს. ამას ბოლო უნდა მოჰღებოდა და ვოლსკიმ კიდეც მოულო...“

ბრიგოლ ვოლსკი

თ.ხ.: ბატონო გიორგი, ვინ იყო გრიგოლ ვოლსკი, შეიძლება, დღეს ყველამ არ იცოდეს და, მოდით, ამ ნამდვილ ქართველ მამულიშვილზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა: გულმხურვალე პატრიოტი, თავის დროზე ცნობილი პუბლიცისტი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ვოლსკი ქუთაისში დაიბადა. პროფესიით ექიმს დავით კლდიაშვილთან და ივანე მესხთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის აჭარის მოსახლეობის გათვითცნობიერებასა და კულტურულ პროგრესში. ხელმძღვანელობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აჭარის განყოფილებას. მისი

კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები, ლექსები და თარგმანები ხშირად იბეჭდებოდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში „უმწიფარიძის“ ფსევდონიმით. მელიტონ ბალანჩივაძემ გრიგოლ ვოლსკის ლექსზე დაწერა შესანიშნავი რომანსი „შენ გეტრფი მარად“. იგი ითვლებოდა რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად საუკეთესო მთარგმნელად.

გ.გ.: აი, სწორედ ეს გრიგოლ ვოლსკი შეუდგა გაცხარებულ მუშაობასო,- წერს დავით კლდიაშვილი, რათა მომავალი არჩევნებით ქალაქის თვითმმართველობაში რაც შეიძლებოდა მეტი ქართველობა მოექცია.

უიმედობა, თავის თავის უნდობლობა ძალზე გამჯდარიყო ქართველებში. ამის გასაქარწყლებლად საჭირო იყო ყოველი ღონე ეხმარათ. ყოველი ფეხის გადადგმაზე გესმოდა შიშის ხმა, რომ უარეს მდგომარეობაში არ ჩავვარდეთ, რომ უფრო არ გადავიმტეროთ სხვები, რაკი გაგვიგებენ, თუ რა მიზნები დაგვისახავსო.

თ.ხ.: რისა ეშინიათ, ხედავთ? არ გაგვიგონ, ქალაქის თვითმმართველობაში ქართველების არჩევაც რომ გვინდაო...

გ.გ.: ჰოდა, როცა თანამოაზრეთა საკმაო რიცხვი შეიქმნა, გადაწყვიტეს, შემოეერთებინათ ბერძენთა ამომრჩევლები... ბერძნები არჩევნებში შეუერთდნენ ჩვენებს იმ პირობით, რომ ქართველი ამომრჩევლები გაიყვანდნენ ხუთ ბერძენ ხმოსანს. საიდუმლო მუშაობა წარმატებით მიდიოდა. არჩევნების დღეს იმედიანად შეჰყურებდნენ და ეს იმედიც აღსრულდა.

ვოლსკისა და მესხის მიერ გამოწყობილმა არჩევნებმა გაიმარჯვეო, - ამბობს დავით კლდიაშვილი, - გამორჩეულ ხმოსანთა შორის უმეტესობა ქართველებს ეკუთვნოდა. გამწარებული კაიანდრა (ქალაქისთავის მოვალეობის შემსრულებელი) გადაემხო საარჩევნო ყუთს და სასოწარკვეთილი ლუღლუღებდაო:

- ეს პატივისცემა დავიმსახურე ჩემი მუშაობით?! ასე გადამიხადეს მაგიერი ჩემი მუშაობისათვის?!.

თ.ხ.: ეგრე იყო და ეგრე იქნება, დამპყრობელი ყოველთვის



გრიგოლ ვოლსკის სახლი მემორიალური წარწერით

იქით ადებს ვალს დაპყრობილს, შენი გულისთვის, თორემ, რა ჯანდაბა მინდა ამ შენს ღვთისგან დავიწყებულ მიწა-წყალზეო...

გ.გ.: მაგრამ დამაგვირგვინებელი სურათი ნახეთ, ბატონო თამაზ, როცა კაიანდრა ამას ლუღლუღებდა, საარჩევნო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას სავარძელში დაბრძანებულიყო და არჩევნების მსვლელობას თვალყურს ადევნებდა განგებ ამ შემთხვევისათვის თბილისიდან ჩასული ილია ჭავჭავაძე.

თ.ხ.: არც ჩვენა ვართ ობლები, ერის სულიერი მამა ჯერ ცოცხალია...

გ.გ.: ...მაგრამ ახლა საჭირო იყო ქალაქის თავის თანამდებობისათვის შესაფერისი კანდიდატის გამონახვა საქმის დასაგვირგვინებლად. სამწუხაროდ, ამ საკითხმა დიდი განხეთქილება გამოიწვია ისევ ქართველ ხმოსნებში. ზოგნი იმ აზრისა იყვნენ, რომ ქალაქის თავად უსათუოდ რუსი უნდა ყოფილიყო, რომ მთავრობის გული მოეგოთ, ზოგნი კი იმ აზრს დაადგნენ, რაკი ქართველობა ჩადგა თვითმართველობის სათავეში, ქალაქის თავიც ქართველი უნდა ყოფილიყო, ერთგული აღმასრულებელი დასახული მიზნებისა. ასეთ პიროვნებად დაასახელეს ქუთაისის ყოფილი ქალაქისთავი, იმხანად გუბერნიის სამმართველოს წევრი ლუკა ასათიანი. მისმა მომხრეებმა შეად-

გინეს მისადმი მიმართვა და მასთან დავით კლდიაშვილი გაგზავნეს.

თ.ხ.: მოსალაპარაკებლად, დასათანხმებლად, არა?

გ.გ.: რა თქმა უნდა. აი, როგორ იგონებს ამ ამბავს თვითონ დავით კლდიაშვილი: „როცა მე გადავეცი ბათუმელების თხოვნა ასათიანს, მისი პირველი შეკითხვა იყო: - რად ვუნდივართ ჩემისთანა დაღალული, მოქანცული მუშა. საჭიროა ახალგაზრდა ძალა, რომელმაც უნდა შეძლოს დაძლევა იმ დიდი საქმისა, რომლისთვისაც ხელი მოუკიდნიათ თქვენებს.

მე ვუთხარი, რომ მომმართველებს გათვალისწინებული, აწონილ-დაწონილი აქვთ ყველაფერი და დაბეჯითებით, სრული დანდობით მოგმართავენ, რათა თქვენი ცოდნით, გამოცდილებითა და შრომით მიეშველოთ ახალ მოღვაწეებს.

- თუკი მაგგვარ საიმედო პირად ვარ მიჩნეული, მადლობის მეტი რა მეთქმის და სულითა და გულით ვემსახურები, რამდენადაც ჩემი ძალღონე შემაძლებინებს“, - უთქვამს ლუკა ასათიანს.

ცხარე ბრძოლა გაიმართა ამ არჩევნებზე, კენჭისყრამ უამრავი ხალხი მიიზიდა ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში. ასათიანი გავიდა ერთი ხმის უპირატესობით, ორი სხვა კანდიდატი გააშავეს.

თ.ხ.: ასათიანის არჩევას, თქმა არ უნდა, დიდი აღტაცებით შეხვდებოდა ქართველობა...

გ.გ.: ჰო, რუსები და სომხები კი მეტად გაბრაზდნენ და იმუქრებოდნენ, შემდეგ არჩევნებში სამაგიეროს გადაგიხდითო.

გუბერნატორმა შალიკოვმა, რომელიც კარგად იცნობდა ლუკა ასათიანს და დიდადაც აფასებდა, დაუყოვნებლივ დაამტკიცა არჩევნები.

განახლებული ქალაქის თვითმმართველობაში გაჩაღდა მუშაობა სხვა ყაიდაზე, ვიდრე მანამდე. საქალაქო საქმეების მცოდნე, მუყაითი, მუშაობაში დაუღალავი ახალი ქალაქის თა-

ვი დაუზოგავად შრომობდა.

თ.ხ.: ეს გამარჯვება ქართველთა ერთობამ განაპირობა...

გ.გ.: და კიდევ იმან, რომ ამომრჩევლებს არც ჭკუამ უმტ-ყუნა და არც სინდისმა, როგორც აკაკი იტყოდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა შესძლებია ქართველთა ერთობას

1898 წელი. ბათუმი. ქალაქისთვის ახალი არჩევნები. „რუსობა და სომხობა შეერთებული ძალ-ღონით ეწინააღმდეგება ქართველობას“..

თამაზ ხმალაძე: ბატონო გიორგი, ისტორიის კუთვნილებად იქცა კიდევ ერთი საპარლამენტო არჩევნები საქართველოში. მეტ-ნაკლებად ჩაცხრა, მისუსტდა საარჩევნო ციებ-ცხელებაც. მაგრამ დღეს ამაზე არ ვილაპარაკებთ, მის ავ-კარგს მომავალი უფრო ობიექტურად და პირუთვნელად შეაფასებს. ყოველ შემთხვევაში, უყურადღებოდ ნამდვილად არ დატოვებს, ისე როგორც ჩვენც არა ვართ გულგრილნი საუკუნის წინანდელი მოვლენებისადმი. ამჯერად, ბათუმის თვითმმართველობისა და ბათუმის ქალაქის თავის პირველ არჩევნებს ვგულისხმობ, 1895 წელს რომ გაიმართა. ამ წარმატებულმა არჩევნებმა თავის დროზე დიდი როლი შეასრულა იმდროინდელი ბათუმის ცხოვრებაში. როგორც დავით კლდიაშვილი მოგვითხრობს, ხმოსნებმა დიდი უნარიანობა გამოიჩინეს, თურმე, და სამი წლის

ბათუმი, XIX საუკუნის ბოლო

მანძილზე ბევრი რამ სასიკეთო გააკეთეს ქალაქისა და ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის.

გიორგი გოგოლაშვილი: და ეს იყო მაგალითი იმისა, თუ რა სასიკეთო შედეგების მოტანა შეუძლია წარმატებით ჩატარებულ არჩევნებს.

თ.ხ.: საგულისხმო მაგალითია. მაგრამ გავიდა სამი წელი, მოახლოვდა ახალი არჩევნები და საჭირო გახდა ჩვენი საზოგადო მოღვაწეების, ჩვენი ერის ღირსეული შვილების კიდევ მეტი ძალისხმევა და მობილიზება.

აი, ამ ფაქტზე უნდა ვისაუბროთ, ბატონო გიორგი.

გ.გ.: სიამოვნებით, მზად ვარ კიდევ ერთხელ ვესტუმროთ XIX საუკუნის ბათუმს, ბატონო თამაზ... ცხადია, ახალ არჩევნებს მეტი ძალისხმევა დასჭირდება, რადგან მოწინააღმდეგეებმა უკვე იციან, რა ძალას წარმოადგენს შეერთებული ქართველობა...

თ.ხ.: რა თქმა უნდა, მაგრამ სანამ ძირითად საკითხზე გადავალთ, აჯობებს, ჯერ წინასაარჩევნო ვითარება გავაცნოთ ჩვენს მსმენელებს.

გ.გ.: როგორც თქვენ თქვით, ბატონო თამაზ, იმ დროისათვის, ჩვენი საუბრის თემად რომ ვაქციეთ, ბათუმის ქალაქისთა

ვის პირველი არჩევნებიდან სამი წელია გასული. დგას 1898 წელი. ბევრი რამ სასიკეთო საქმე გაკეთდა, მაგრამ მდგომარეობა მაინც არასახარბიელოა. „რუსობა და სომხობა შეერთებული ძალ-ღონით ეწინააღმდეგებოდა ქართველობას და მისი დაცემა სულითა და გულით სწადდა", - აღნიშნავს დავით კლდიაშვილი. მაგრამ ამაზე უფრო დიდი საფრთხე თვით ჩვენში იყო, რადგან ქართველები კვლავაც ვერ ახერხებდნენ ერთმანეთში საერთო ენის გამონახვას და ერთ მუშტად შეკვრას.

თ.ხ.: პირდაპირ ვთქვათ, პარტიათა შორის ქიშპი ღუპავდა, ეს დაპირისპირება ხრავდა ერის საკეთილდღეოდ წამოწყებულ ყოველგვარ საქმეს.

გ.გ.: დიახ, კერძოდ, ამ დროს ვერ ხერხდებოდა მესამედასელთა (ფაქტობრივად, ესენი მარქსისტები იყვნენ) და ფედერალისტთა მორიგება.

თ.ხ.: იყვნენ, რაღა თქმა უნდა, ისეთი მოღვაწეებიც, რომლებიც არც ერთ პარტიას არ ეკუთვნოდნენ და მათთვის უმთავრესი ეროვნული იდეალები იყო.

გ.გ.: რაღა თქმა უნდა, თუნდაც თვითონ დავით კლდიაშვილი, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა, დაერწმუნებინა იდეური მოწინააღმდეგეები, მცირე ხნით დაევიწყებინათ პარტიული ინტერესები და საერთო საქმეზე ეზრუნათ.

იყო შეხვედრები ცნობილი მოღვაწეებისა. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე, სადაც მიწვეულები იყვნენ გრიგოლ ვოლსკი, ივანე მესხი, ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, საშა წულუკიძე, ნიკო ჯაყელი და სხვები, დავით კლდიაშვილს მოუწია მოხსენებით გამოსვლა. მან ისაუბრა შექმნილ მდგომარეობაზე, აღნიშნა, რომ არ შეიძლებოდა დაეთმოთ ის სამართლიანობა, ის სიკეთე, რაც დამყარდა ქალაქის სათავეში ქართველების მოსვლით, რადგან თვალნათელი იყო, რომ ვერავინ ემსახურებოდა ხალხს ისეთი მაღალიდეურობით, როგორც ქართველთაგან არჩეული მოღვაწენი. „მდგომარეობის აღწერის დროს აღვნიშნე, - ამბობს დავით კლდიაშვილი, - რომ ის დავა, რომელიც ატეხილია ჩვენს პარტიებს შორის ეროვნული

საკითხის გარშემო, შესაძლებელია საზარალო იქმნას - ქართველებს ხელიდან გამოეცალოს ქალაქის საქმეების ხელმძღვანელობა, რაც არასასურველია. რადგან ქართველებმა თვალსაჩინოდ დაამტკიცეს თავისი საქმიანობა, თავისი სამართლიანობა ყველასთან, არჩევნების წაგება იქნებოდა ისევ ძველი უწესობისა და უსამართლობის დამყარება".

თ.ხ.: დავით კლდიაშვილმა აშკარად და თვალნათლივ განუმარტა შეკრებილთ, თანაც მარტივად, რად არის გაერთიანება საჭირო - არა მხოლოდ ქართველებისათვის (რასაკვირველია, ესეც იგულისხმება), არამედ სამართლიანობისათვის. გამგებს იოლად უნდა გაეგო, თუ ძალით არ დაიყრუებდა ყურს.

გ.გ.: რა გითხრათ... აი, მე განვაგრძობ თხრობას და თქვენც და ჩვენმა მსმენელებმაც თავად გამოიტანეთ დასკვნა, გაიგო თუ არა გამგებმა, ბატონო თამაზ, დავით კლდიაშვილის მერე, კარლო ჩხეიძემ ითხოვა სიტყვა და ვრცლად ისაუბრა, აღნიშნა, რომ „ეროვნული მიდგომით არ შეიძლება მოქმედება, ჩვენ დღეს უფრო დიდი საქმე გვაწევს - ეს არის თვითმპყრობელობის დაცემა სასტიკი ბრძოლით, რომლისთვისაც უნდა ყველა შევერთდეთო... ამასაც დ. კლდიაშვილი მოგვითხრობს. როცა საშა წულუკიძემ აიღო სიტყვის ნება, მან წარმოსთქვა, რომ ეს დღევანდელი ჩვენი ლაპარაკი უქმიაო, ჩვენ ვერ შევთანხმდებით, რადგან სხვადასხვა პოლუსზე ვდგავართო".

თ.ხ.: ვერაფერს იტყვი, რკინის ლოგიკაა! რატომ ვდგავართო სხვადასხვა პოლუსზე, რაო, ვითომ ბათუმის ქალაქის თვითმმართველობაში თუ ქართველები გავიდოდნენ, ამით მსოფლიო პროლეტარიატს სიმტკიცე მოაკლდებოდა და ველარ იბრძოლებდა მჩაგვრელთა კლასის დასამხობად?

გ.გ. მაგისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ სიტყვებს მოლაპარაკება რომ ჩაუშლია, ფაქტია. მაგრამ, საბედნიეროდ, ბატონო თამაზ, ჩვენი ერის ღირსეული შვილები, ასე ვთქვათ, ჯეროვნად გაისარჯნენ იმ პერიოდში და მაინც მოახერხეს ეჯობნათ პარტიული კინკლაობისათვის: არჩევნებმა ბრწყინვალედ ჩაიარა, ქართველების მიერ წამოყენებული ყველა კანდიდატი ხმის დიდი უპირატესობით გავიდა და ქალაქისთავადაც ლუკა ასათიანი აირჩიეს ხელახლა...

თ.ხ.: თუმცა, როგორც ცნობილია, ბატონო გიორგი, ეს შესანიშნავი მოღვაწე მოულოდნელად გარდაიცვალა და საჭირო გახდა მისი საქმის ღირსეული გამგრძელებლის გამონახვა.

გ.გ.: და ასეთი პიროვნება რომ მოენახათ, ილია ჭავჭავაძის შეწუხებაც კი გახდა საჭირო, მისი კონსულტაციები...

თ.ხ.: დიახ, ვითარება რთულია, რადგან არ იყო საკმარისი ქალაქისთავობის კანდიდატი მარტო შრომისმოყვარე, პატიოსანი, შემძლე და სანდო ყოფილიყო, იგი მთავრობასაც უნდა მოსწონებოდა, რადგან არჩევნების შედეგები მთავრობას უნდა დაემტკიცებინა.

გ.გ.: აი, სწორედ ამიტომაც ურჩია ილიამ მასთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილ ივანე მესხსა და მიხეილ ბეთანელს ივანე ანდრონიკაშვილის კანდიდატურა და დააიმედა, რომ იგი შესაფერისი იქნებოდა ამ საქმისათვის.

თ.ხ.: ჰო, როგორც ადრეც ვთქვი, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ცოცხალია ერის სულიერი მამა, ჯერ არც სიტყვა უსვრიათ და არც ტყვია, ჯერ არც სიტყვით მოუკლავთ და არც ტყვიით და საქართველოს ყველა კუთხეში მის ნათქვამს ძველებური გასავალი აქვს...

გ.გ.: მაგ საკითხზე, ერის სულიერი მამის სიტყვითა თუ ტყვიით მკვლელობას ვგულისხმობ, ალბათ, სამომავლოდ ცალკე ვისაუბრებთ, დღეს კი არ შემიძლია ერთი ვრცელი ამონარიდი არ წაგიკითხოთ დავით კლდიაშვილის მოგონებიდან.

თ.ხ.: ისიც ვთქვათ, სანამ ახალ ქალაქისთავს აირჩევენ ბათუმში, მთავრობამ მოვალეობის შემსრულებლად ვინმე ივანოვი დანიშნა.

გ.გ.: ეს ივანოვი ყოველნაირად ცდილობს, ვერ მოხერხდეს ქალაქისთავის არჩევა, ჩაშალოს იგი, რადგან თუ არჩევნები ორჯერ ჩაიშლება, მაშინ ივანოვი დაინიშნება ამ თანამდებობაზე. ამის გამო, ეს ივანოვი ზოგჯერ ნამდვილად ამაზრზენად, გამომწვევად იქცეოდა, აი, რას გვიამბობს დავით კლდიაშვილი:

„ერთხელ სხდომაზე რაღაც სერიოზული საკითხი უნდა განგვეხილა. როგორც მივიდა ჯერი, ამ საკითხს შესდგომოდა საბჭო, ივანოვმა აიხსნა ჯაჭვი და სხდომა დახურულად გამოაცხადა“...

თ.ხ.: ეტყობა, ეს ჯაჭვი თავმჯდომარის აუცილებელი ატრიბუტია...

გ.გ.: დიახ, ამ ჯაჭვის ფუნქციას მალე უკეთ შევიტყობთ, ივანოვის ასეთი საქციელი პირდაპირ გასალახანებას წარმოადგენდა დაწესებულებისასო, - განაგრძობს დავით კლდიაშვილი, - „ზოგიერთი ხმოსნები წამოდგნენ და საბჭოს დარბაზიდან გასვლას აპირებდნენ, ზოგნი კი, სახტად დარჩენილნი, ისხდნენ ისევ თავიანთ ადგილებზე გაოცებულნი, გაკვირვებულნი".

ამ დროს საბჭოს მდივანმა, ივანე მესხმა, ჩაუარა ვოლსკის და ჩაულაპარაკა.

- ჩამოიკიდე ჯაჭვი და განაგრძე სხდომა!

- ბატონებო, - გაისმა ვოლსკის ხმა, - ბატონებო, გთხოვთ, არ აიშალოთ, სხდომა გრძელდება! სხდომა გრძელდება - და ჩამოიკიდა თავმჯდომარის ჯაჭვი.

თ.ხ.: გიორგი, კიდევ ერთხელ შეგაწყვეტინებ ამონარიდს და მსმენელის ყურადღებას მივაპყრობ კვლავ გრიგოლ ვოლსკის პიროვნებას, მის თავგამოდებას ქართული საქმისათვის..

გ.გ.: ამიტომაც მოვიხსენიებთ მას ქართველ მოღვაწედ. მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება, ესაა თავდადება ქართული საქმისათვის... თუმცა, განვაგრძოთ ამონარიდის კითხვა: „ამან უარესად დააფრთხო ხმოსნები, ზოგიერთნი პირდაპირ გაშეშდნენ, არ იცოდნენ, რა ექნათ - გაჰყოლოდნენ ვოლსკის, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. წუთიერი ყოყმანის შემდეგ, რამდენიმე ხმოსნის გარდა, ყველამ დაიკავა თავისი ადგილი და სხდომა განაგრძეს, დაათავეს...

ამ ამბავმა მიიქცია გუბერნატორის ყურადღება და ქუთაისიდან შეკითხვა შეკითხვაზე მოდიოდა"...

თ.ხ.: ეგეთ რამეს გუბერნატორები ყოველთვის „დროულად" შეიტყობდნენ ხოლმე...

გ.გ.: ჰო, როგორც ყოველთვის, იყვნენ ისეთებიც, ვინც „ზრუნავდა" ამისთვის და, დაასმინეს ვოლსკი და ქართველობა... განვაგრძობ ამონარიდის კითხვას: „დაინიშნა გამოძიება - ატყდა ერთი ალიაქოთი. გახარებული მოწინააღმდეგენი გაიძახოდნენ, რომ ზემოაღნიშნულ სხდომაზე დარჩენილი ყველა



ბათუმი. გამგეობის შენობა.

ხმოსანი მოხსნილი იქნებაო და ვოლსკი და მისი ამყოლი ხმოსნები პასუხისგებაში მიცემულნი. ბევრი შეშინებული ამტყუნებდა ვოლსკის მოქმედებას. მაგრამ იგი მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე, თავისებურად იცინოდა და ამბობდა: „ნახავთ, თუ ჩვენი გამარჯვებით არ დამთავრდეს ეს აურზაური!"

მან გასწია ერთ დღეს თბილისში და იმდენი მოახერხა, რომ ინახულა მეფის მოადგილის თანაშემწე გენერალი მალამა. ეს მალამა ერთგვარად მოილიბერალებდა. საუბარი მასთან დამთავრდა ვოლსკის გამართლებით, რაც მალამამ წერილობით აცნობა ქუთაისის გუბერნატორს: ვოლსკის მოეხიბლა გენერალი და იგი გამარჯვებული დაუბრუნდა თავის სამუშაოს. ივანოვი გაამტყუნეს, მაგრამ თანამდებობას არ მოაშორეს...

თ.ხ.: გავიხსენოთ, ახალი ქალაქისთავის არჩევნები ორჯერ თუ ჩაიშლებოდა, ბათუმის ქალაქისთავად მთავრობა ივანოვს დატოვებდა.

გ.გ.: დიახ, ბატონო თამაზ, მაგრამ არჩევნები ჩატარდა და ივანე ანდრონიკაშვილი ქალაქისთავად აირჩიეს. ოლონდ, ეგ იყო, ქუთაისის გუბერნატორმა იგი არ დაამტკიცა. უშარა: სუსტი ცენზი აქვსო და სანამ არ მოუნახავთ სხვა ცენზს, მანამდე არ დავამტკიცებო.

თ.ხ.: რამდენადაც ვიცი, სამწუხაროდ, დავით კლდიაშვილი არ აზუსტებს, რა ცენზზეა საუბარი, ქონებრივ ცენზზე თუ სხვაზე...

გ.გ.: არა, მაგრამ მოვლენები მაინც ძალზე საინტერესოდ ვითარდება. თუმცა სჯობს, ისევ დავით კლდიაშვილს მოვუსმინოთ: „ცენზის მოსანახავად დეპუტაციამ დრო ითხოვა გუბერნატორისაგან და ისიც შეჰპირდა, რომ სანამ არ მონახავთ ახალ ცენზს, მანამდე ხელმეორე არჩევნებს არ დაგაძალებთო. დეპუტაცია ჩამოვიდა ბათუმში, ჩამოიტანა ერთგვარად დამამშვიდებელი ამბავი, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა მოწერილობა: დაუყოვნებლივ მოეხდინათ ქალაქისთავის არჩევნები. ამ ბრძანებამ, ამ დაუყოვნებლივი არჩევნების დანიშვნამ, თავზარი დასცა ყველას...“

თ.ხ.: ბატონო გიორგი, ხედავთ, როგორ ხლართავენ საქმეს? რას არ კადრულობენ, რომ თავისი გაიტანონ თუმცა, სხვას რას უნდა ველოდეთ... მაგრამ ჩვენი მოღვაწენიც არ არიან გულხელდაკრეფილნი.

გ.გ.: დიახ, და მე განვაგრძობ ამონარიდის კითხვას: „ანდრონიკაშვილის კანდიდატურის წამომყენებლებიც დატრიალდნენ. ივანე მესხმა თვალის დახამხამებაში გამოძებნა საჭირო ცენზი. ოღონდ გასაჭირი ის იქნებოდა, რომ ვისგანაც ცენზის მიღება შეიძლებოდა, იგი ამ დროს ბათუმში არ იყო, იმყოფებოდა აბაშის მახლობლად სოფელში და სოფლიდან უნდა ჩასულიყო ფოთში და იქაურ მომრიგებელ-მოსამართლეს უნდა დაემტკიცებინა ცენზის გადმოცემა და გადმოცემული ცენზი ჩამოეტანათ ბათუმში...“

თ.ხ.: დრო კი არ ითმენს..

გ.გ.: ჰო, სამ დღეში თუ ვერ მოასწრებდნენ, მერე ის ცენზი აღარავის აღარაფერში სჭირდებოდა. „ყველას თავ-თავისი ინსტრუქცია მისცა სტრატეგმა ივანე მესხმა, რომელიც უცაბედად ავად გაგვიხდა ამ დროს და ლოგინში მწოლიარე, მწარე შეწუხებული, საქმეს არიგებდა, თუ ვის რა და როგორ გაეკეთებინაო,- ამბობს დავით კლდიაშვილი,- გაემგზავრნენ დასაქმებულები. აბაშაში გაგზავნილი ჩიქოვანი ცხენის ჭიან-ჭიანით მიიჭრა სოფელში, აუხსნა იქ მყოფ ჯაიანს მისვლის მიზეზი

და ორთავენი დაუყოვნებლივ გაემართნენ ფოთისაკენ. ბათუმელები გულის ფანცქალით მოველოდით დეპეშას ჩხეიძისაგან ფოთიდან მესამე დღეს. დანიშნულია ქალაქის საბჭოს კრება და საქმეთა სიაში შეტანილია ქალაქისთავის არჩევა. თუ არ შედგებოდა არჩევნები - მთავრობა დანიშნავდა, ვისაც მოიპრიანებდა".

თ.ხ.: ერთი მცირე კომენტარიც, ბატონო გიორგი: ხედავთ როგორი დაწვრილებით აღწერს კლდიაშვილი ამ ამბავს. ცხადია: უმნიშვნელოვანეს ფაქტად მიიჩნევს მას...

გ.გ.: და სამომავლო გაკვეთილად, დღესაც უნდა ვსწავლობდეთ ამგვარი გაკვეთილებიდან... ჩავიკითხოთ: „საბჭოს დარბაზი სავსეა ხალხით. ხმოსნები უკლებლივ ყველანი არიან. დაიწყო სხდომა. მატარებელი, რომლითაც უნდა ჩამოსულიყვნენ ფოთში გაგზავნილები, მოგვიანოდ მოდის ბათუმში. დეპეშა მოვიდა - მოვდივართო. საჭირო იყო სხდომის რამერიგად გაგრძელება. ჯერი მოვიდა არჩევნების მოხდენაზე, რამდენიმე ხმოსანმა მოითხოვა სხდომის შეწყვეტა, რომ, სანამ არჩევნებს შეუდგებოდნენ, ხმოსნებს მოელაპარაკათ ერთმანეთში...

თ.ხ.: ხერხს ხმარობენ, რომ როგორმე დრო გააჭიანურონ და გაგზავნილებმა მოუსწრონ, არა?

გ.გ.: დიახ, საკითხი შეიძლება წუთებმა გადაწყვიტოს ჩვენდა სასიკეთოდ ანდა საუბედუროდ, „ქალაქის სამმართველოდან რკინიგზის სადგურამდე ცოცხალი ტელეგრაფი იყო გაბმული. დარბაზში შეიქმნა მხიარული მოძრაობა: - მატარებელი მოვიდა, ჩხეიძე ჩამოვიდა და მოაქვს ცენზი! მალე თავად ჩხეიძეც გამოჩნდა საბჭოს დარბაზში. ივანე მესხმა ჩაიბარა მოტანილი საბუთები, ხელად შეიტანეს სალაროში, რაც ფული იყო საურვოზე შესატანი და თამამად მოითხოვეს სხდომის გახსნა, რამაც მეტად გააკვირვა მოწინააღმდეგენი. გაიგეს ყველაფერი და მხიარულად ყოფნა მოეშალათ. შეუდგნენ არჩევნებს.

- გთხოვთ, დაასახელოთ კანდიდატები! - თქვა თავმჯდომარემ.

- ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი! - წამოიძახა რამდენიმე ხმოსანმა.

- აქვს სათანადო ცენზი?

- ყველაფერი წესიერად აქვს! - მიუგო ივანე მესხმა.

შეუდგნენ კენჭისყრას.

ანდრონიკაშვილი არჩეულ იქნა ხმის დიდი უპირატესობით, სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. არჩეული მთავრობისაგანაც სულ მოკლე ხანში იქნა დამტკიცებული".

თ.ხ.: ჩვენდა სასიხარულოდაც, ბატონო გიორგი, ილიას მიერ ხელდასხმულმა პიროვნებამ, ივანე ანდრონიკაშვილმა, გაამართლა იმედი: დიდხანს იყო ბათუმის ქალაქისთავი და დიდი წარმატებითაც უძღვებოდა დაკისრებულ მოვალეობას.

გ.გ.: ჰო, მაგრამ აქედან, ერთი საუკუნის მერე სათქმელად და მოსაყოლად იოლია, თუ რა გარჯა, რა ძალისხმევა იყო საჭირო, რამდენი წინააღმდეგობა უნდა გადაელახათ, რომ ყოველ ასეთ უთანასწორო დაპირისპირებისას გამარჯვებულები გამოსულიყვნენ. უკვალოდ არ ჩაივლის ყოველივე ეს...

თ.ხ.: ამიტომაც წერს დავით კლდიაშვილი მოგონებათა ამ ფრაგმენტის დასასრულს ნაღვლიანად: „მუდმივმა ღელვამ, დავიდარაბამ ბოლოს მოტეხა ვოლსკი და სრულიად აუშალა ნერვები, რის გამო იძულებული შეიქმნა ბათუმს გაშორებოდა. იგი გადავიდა თბილისში, ქართულ გიმნაზიაში იწყო მასწავლებლობა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა მალე გამოასალმა წუთისოფელს - რაღაც მიზეზით მოეწამლა სისხლი და გარდაიცვალა რამდენიმე დღის შემდეგ. ბათუმელებმა თბილისიდან იგი ჩამოასვენეს ბათუმში და აქ დიდი პატივისცემით დაასაფლავეს ქართული ეკლესიის შესავალ კარებთან".

გ.გ.: კიდევ კარგი, ამჯერად მაინც მოვახერხეთ და შესაფერისი პატივი მივაგეთ ჩვენი ერის ღირსეულ შვილს...

თ.ხ.: კიდევ კარგი. და ამას უნდა ვახერხებდეთ არაერთხელ საქართველოში...

გ.გ.: კვლავ ბათუმის ქალაქის თავის მეორე არჩევნებს რომ დავუბრუნდეთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულმა საქმემ კიდევ ერთხელ გაიმარჯვა. ქართველობამ კიდევ ერთი არჩევნები მოიგო. მიზეზი: პარტიულ ინტერესებზე მაღლა ეროვნული ინტერესების დაყენება.

თ.ხ.: და, საბედნიეროდ, არც ამჯერად უმტყუნა ამომრჩევლებს ჭკუამ და სინდისმა, როგორც აკაკი იტყოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე დროსა ვტირი...“

1897 წლის სექტემბერი. ვაჯი ეახეთში. ერთ ქიზიყელს უთქვამს ვაჯისთვის: „მე დროსა ვტირი და ვრა მარტო ჩემს თავსა“. ამ დატირებას ჩვენც უნდა მივაყურადოთ...

გიორგი გოგოლაშვილი: ბატონო თამაზ, სანამ უშუალოდ ჩვენს მთავარ თემას შევეხებოდეთ, ერთი ფაქტი მინდა გავიხსენო: ერთხელ აკაკი წერეთელს იმერლობა წამოაყვედრეს, იწყინა აკაკიმ და განმარტა: „იმერეთიც ისეთივე საქართველოა, როგორც ამერეთი და იმიტომაც იმერლობას ნურავინ მიკიჟინებს. ღმერთმა ნუ მომიშალოს იმერლობა, რომელიც იგივე ქართველობაა: ქართველი მწერალი წერის დროს ჩემიან-შენიანობით კი არ უნდა სარგებლობდეს. უნდა ყოველი კუთხე ჰქონდეს მოვლილი, შესწავლილი და გამოკვლეული და, თუ რამე ქართული ნახოს, ამოკრიბოს და იმითი კი არ უნდა იხელმძღვანელოს, რომ ეს ქართული არ არის და სხვა კუთხეაო“ - და აკაკი, ილია თუ იაკობი სტუმრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში...

თამაზ ხმალაძე: სტუმ-
რობენ, თუმცა, ეს არ არის
სტუმრის სტუმრობა,
სტუმრობა პირობითად
შეიძლება ვუწოდოთ ილიას
ჩასვლას იმერეთში, აფხა-
ზეთსა თუ სამეგრელოში,
აკაკის მოგზაურობას რაჭა-
ლეჩხუმში, ქართლსა თუ
კახეთში, იაკობის ჩაბრძანე-
ბას აჭარაში, აფხაზეთსა
თუ საქართველოს სხვა
რომელიმე კუთხეში.

გ.გ.: მართალია, სეჯობს,
ალბათ, ასე ვთქვათ - მამუ-
ლიშვილები მამულში
მოგზაურობენ; ოღონდ
ერთია: ეს არ არის გართო-
ბას მოწყურებული კაცის ჩასვლა ამა თუ იმ კუთხეში... ყვე-
ლა ამგვარ ჩასვლას თავისი მიზანი და დანიშნულება აქვს, თა-
ვად იმ კუთხისათვის აქვს ამას განსაკუთრებული მნიშვნელო-
ბა და მერე - სრულიად საქართველოსთვის.

თ.ხ.: დღეს გვინდა გავიხსენოთ აკაკი წერეთლის სტუმრო-
ბა კახეთში, კერძოდ, თელავში.

გ.გ.: ეს იყო 1897 წლის სექტემბერში, მეორე ათდღიურ-
ში; აკაკის სამოგზაურო პროგრამა საკმაოდ დატვირთულია: 14
სექტემბერს იგი ალავერდშია და ესწრება ალავერდობას, 15
სექტემბერს მის პატივსაცემად თელავში ნადიმი იმართება,
შემდეგ გაემგზავრა სიღნაღისაკენ და გზად მიმავალმა 18
სექტემბერს ღამე მღვდელ პოლიევქტ კარბელაშვილთან გა-
თია, 19-ში სიღნაღშია, ათვალიერებს ბოდბის მონასტერს, ჩა-
დის ქვემო მაჩხაანში.

თ.ხ.: ისიც ვთქვით, გიორგი, რომ ეს არ იყო აკაკის პირ-
ველი მოგზაურობა კახეთში. ის ჯერ კიდევ 1882 წელს ეწვი-

კახეთს. ამ ფაქტის გახსენება იმისთვისაც გვჭირდება, რომ ამჯერად, აკაკი იმ შთაბეჭდილებებს იხსენებს, პირველმა სტუმრობამ რომ დაუტოვა. ნანახს 15 წლის წინანდელ ყოფას ადარებს და პირუთვნელად, დაუფარავად გამოთქვამს თავის გულისტკივილს.

გ.გ.: ამ ფაქტშიც კარგად ჩანს მიზანი და მნიშვნელობა ამგვარი მოგზაურობისა. აკაკის სიტყვა, აკაკის შენიშვნა, აკაკის დარიგება ქართველობისთვის სხვა ფასისა იყო.

თ.ხ.: ამ მოგზაურობის თაობაზე აკაკი თავის კრებულში („აკაკის კრებული") ორ საგულისხმო მასალას გამოაქვეყნებს: ნოემბრის მესამე ნომერში იბეჭდება „სიტყვა თქმული თელავში, სადილზე" და მომდევნო, დეკემბრის ნომერში იბეჭდება, საკმაოდ ვრცელი „კახეთში მოგზაურობა".

გ.გ.: დაინტერესებული მსმენელი თავადაც გაეცნობა ამ წერილებს, ჩვენ კი იქნებ შევძლოთ და ძირითადი აზრი და მიზანი გავაცნოთ ჩვენს მსმენელებს ამ მოგზაურობისა. აი, ერთი ფრაგმენტი თელავში ნადიმზე წარმოთქმული სიტყვიდან: „იყო დრო, და მას აქეთ დიდ ხანსაც არ გაუვლია, რომ ჩვენი ხალხი, საერთოდ, ძილისაგან იყო წაღებული და გამოღვიძება ეჭირვებოდა. მესამოცე წლების ახალგაზრდობამ გამოაღვიძა ის, მართლა და ჩიჩინით, კიჟინითა და ჯანჯგალით. ეს ჩიჩინი იყო მაშინდელი მათი მჭევრმეტყველება, სიტყვაკაზმულობა და კეცა-კეცა, მრავალსართულიანი პატრიოტული სიტყვები. დღეს ესეები მაგდენად გამოსადეგი აღარ არის, რადგანაც, ცოტათ თუ ბევრათ, გამოღვიძებულ ერს სიტყვასთან საქმეც ეჭირვება და ეს რთული მოვალეობა კისრად აწევს დღევანდელ ახალ თაობას. მტერი მძინარეზე უფრო თამამად მიდის, ვიდრე მღვიძარზე, ფხიზელს თვითონაც უფრთხილდება, უფრო რთულ იარაღსა ხმარობს და თანვე ხერხს ეძალება, ამიტომაც დღევანდელი მტრის მოგერიება უფრო ძნელია ადრინდელისაზე და, რასაკვირველია, დღევანდელ ახალ თაობასაც უფრო მეტი სიფრთხილე და მეცადინეობა მართებს".

თ.ხ.: გიორგი, ბარემ ისიც ვთქვათ, ამ სიტყვაში როგორ უკეთებს გულს აკაკი ქართველობას: „აქ სიტყვამ „ძილი" მოი-

ტანა და უდროო არ იქნება, რომ ამ „ძილზე“... ქართველების ძილზე, ცოტა რამე ვთქვათ! ქართველებს, რომ თითქმის ერთი საუკუნეა, გვძინავს, ამის დაფიცვა აღარ მოხერხდება და ან კი რა საჭიროა?! მსოფლიო კანონი თანასწორად მოქმედებს ყველაზე! მისი კანონი დიდზე და პატარაზე ერთნაირად გარდაუვალია: რაც კი არსებობს და მოძრაობს ქვეყნად, იმან ხანდახან კიდეც უნდა შეისვენოს ხოლმე... ქართველების ძილიც კანონიერია და შემცდარი არიან ისინი, რომელთაც ეს ბუნებრივი მოვლენა სიკვდილის ნიშანი ჰგონიათ“.

გ.გ.: „ბაში-აჩუკიდან“ ის ადგილი მახსენდება, გველეშაპისაგან თავზარდაცემულ ხალხს ერთ-ერთი მეომარი რომ შესძახებს, სად ქართველი და სად გულგატეხილობაო...

თ.ხ.: და ის არის საგულისხმო, რომ მხატვრულ შემოქმედებაში, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ სიტუაციებში, ერთი ჰქონდათ საფიქრალი და სადარდებელი. კვლავ თელავის ნადიმზე წარმოთქმულ სიტყვას რომ დავუბრუნდეთ, იქ მრავალი რამ ითქვა ღირსსაცნობი და ყურადსაღები.

გ.გ.: ეს იყო ქადაგება, მოწოდება. ეს იყო შეძახილი დიდი კაცისა - შეხსენება იმისა, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რა უნდა ვაკეთოთ; კვლავ აკაკის მოვუსმინოთ, ერთი ადგილიც ჩავიკითხოთ ამ სიტყვიდან: „ისტორიული სიმართლე მალაპარაკებს და არა პატრიოტული გატაცება, რომ ჩვენ, ქართველები ვეკუთვნით რჩეულ ხალხს და ჩვენი წარსული გასაოცარია. უძველეს დროიდან დაწყებული მისთანა ხალხი არავინ გამოჩენილა, რომ ამ პატარა ქვეყანას არ მოზღვავებოდეს!... სულ ამ პატარა ქვეყანას ეძალებოდნენ... საქართველო იდგა, როგორც სალი კლდე ზღვის პირად, რომელსაც უზარმაზარი ტალღები ზედ ეხლებიან, მაგრამ დაუძლურებულნი და ქაფად ქცეულნი უკანვე იქცევიან... ჩვენმა მამა-პაპებმა გადიწერეს პირჯვარი, შესძახეს ერთმანეთს: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა“ და სარწმუნოებასთან ერთად შეხორცებული ეროვნება გაამტკიცეს. წმინდა ჯვარი ქრისტესი შეუბღალავად მოიტანეს XIX საუკუნის კარებამდე და სასოებით გადასცეს ერთმორწმუნე ერს... დღეს იღვიძებს ჩვენი ერი, რომ

კახეთის გზებზე. XIX საუკუნე.

კვლავინდებურად იმოქმედოს, გაუმკლავდეს გასაჭირს და ებრძოლოს მტერს".

თ.ხ.: გავიხსენოთ, დგას 1897 წელი, სადაც არის გასრულდება XIX საუკუნე, XX საუკუნის კარიბჭესთან კვლავ დაისაჭიროებს აკაკი, შეახსენოს ქართველობას, რა გზით გვივლია, როგორ დაგვიცავს ჩვენი ეროვნულობა და ეს შეძახილია სამომავლო ბრძოლებისათვის მხნეობის შესამატებლად.

გ.გ.: პირდაპირ, შეუფარავად ამბობს აკაკი, თუ ვინაა მტერი და რომ დღევანდელი მტერი უფრო ვერაგია; ამის გააზრება და ისტორიის გახსენება რას გვავალდებულებს. მოვუსმინოთ: „მართალია, ძველათ რომ მტრები გვყავდნენ, ისინი დღეს აღარ არიან, მაგრამ მაგიერათ უფრო ძლიერი და უფრო საშიში მტერი კარზე გვიდგია...

თ.ხ.: და ამ მტრის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებს ქართველობას: „საჭიროა ბრძოლა და, თუკი ჩვენი ძველები, ცალი ხელით რომ ფარ-ხმალი ეჭირათ, მაინც კიდევ აბერხებდნენ მეორე ხელით სამეურნეო იარაღის აღებას, ჩვენ წინ რა გვიდგას"?! ბატონო გიორგი, აქ იმას მივაპყროთ ყურადღება, რომ აკაკი ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერებას მიიჩნევს ერთ-ერთ მთავარ პირობად, სამშობლოს გადარჩენისა და წინსვლისათვის.

თელავი. 1864 წელი.

გ.ბ.: უაღრესად კომპეტენტურად საუბრობს აკაკი ამ თემაზე. ეს არ არის იმპროვიზებული საუბარი; დიდი ხნის ნაფიქრია და იგი დამაჯერებლად უსაბუთებს თავის თელაველ მსმენელებს, რომ საჭიროა ღვთითბოძებული სიკეთე რიგიანად მოიხმარონ, გამოიყენონ. ისტორიასაც ამისათვის მოიშველიებს და მათი ყოველგვარი პესიმიზმისაგან განთავისუფლებას ცდილობს; იმაზეც მსჯელობს და იმასაც ჩააგონებს მსმენელსა თუ მკითხველს, რომ ქვეყანას, თემ-სოფელს უნარიანი, რიგიანი, ჭკვიანი თავკაცი სჭირდება. უამისოდ ქვეყნის საქმე წინ ვერ წავა.

თ.ხ.: ეს ადგილიც ჩავიკითხოთ, გიორგი, და დავფიქრდეთ, რას გვასწავლის აკაკი. საოცარია, როგორ სადღეისოდ ჟღერს საუკუნისწინანდელი შეგონება დიდი მოღვაწისა. ვის უნდა დავდვათ ბრალი ჩვენს ასეთ ყოფაშიო, კითხვას სვამს აკაკი და უპასუხებს: „ვის და თავადებს,- შემდეგ განაგრძობს,- მე აქ თავად-აზნაურობაზე კი არ მოგახსენებთ, იმ მეთაურებზე მოგახსენებთ, რომელნიც საქმეს თავში უნდა ედგენ. დღეს დრო იცვალა, საქმეც სულ სხვაგვარია და მეთაურებიც, ე.ი. თავადები სულ სხვანაირი გვეჭირვება. ქვეყანა მზათ არის აღიაროს და მიენდოს მათ. ხალხისთვის სულ ერთია, რომელი წრიდანაც

უნდა გამოვიდნენ ის თავადები, ოღონდ კი მეთაურობა შეიმ-
ლონ".

ფ.ბ.: ჩვენს დღევანდელ ზედმეტად პოლიტიზებულ საზოგა-
დოებაშიც რომ დაიმკვიდრებდეს ადგილს ეს აზრი, არ იქნებო-
და ურიგო. პარტიული ნიშნითა თუ სხვა რაღაც საპირადო,
სუბიექტური მოსაზრებით არჩეულმა თუ დანიშნულმა „თავა-
დებმა", როგორც აკაკი იტყოდა, ქვეყანას რა სიკეთე მოუტა-
ნეს, ვნახეთ უკვე...

თ.ზ.: XIX საუკუნიდან გვაფრთხილებს აკაკი XXI საუკუ-
ნის ზღურბლზე მდგარ ქართველობას, რომ „გლეხობით და
მღვდლის შვილობით არავინ დაიწუნებს მათ (მეთაურებს)
მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ ვერსად ვხედავთ. დღევანდელი ჩვე-
ნი ინტელიგენცია სუსტია საზოგადოდ!... ქვეყნის წინ წაძღო-
ლა, მეთაურობა არ შეუძლია".

ბ.ბ.: ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა აკაკი ინტელი-
გენციის როლზე ამახვილებს ყურადღებას, ინტელიგენციის სა-
ზოგადო, ეროვნულ ფუნქციაზე მიანიშნებს. ამბობს კიდეც, თუ
რა ძირითადი უბედურება სჭირს ინტელიგენციას, რა თქმა უნ-
და, იმდროინდელს; თუმცა, ამ სენისგან არც დღევანდელი
ინტელიგენციის ნაწილია თავისუფალი, მოვუსმინოთ: „აბა,
მიბრძანეთ, რა მეთაურია და რა თავადი ხალხისა ის ინტელი-
გენტი, რომელსაც იმდენად უყვარს სამშობლო, რამდენადაც ის
მხოლოდ სასარგებლოა მისი პირადი კეთილდღეობისათვის და
თუ ველარას გამორჩა, წიხლსა ჰკრავს და ჩალა-ბზეზე
გაცვლის! აბა, ის ინტელიგენტია, რომელსაც გონება ჯიბეში
უდევს და გრძნობა კუჭში? ქვეყანას წინ ვერ წარუძღვება!"

თ.ხ.: ისიც მეფიქრება, გიორგი, დღევანდელ ინტელიგენტ-
თაგან, დღევანდელი ხელისუფალთაგან არავინ შემოგვწყრეს,
ეს ჩემზეაო თქმული... ისე კი, იმ სიტყვაში, რომელსაც წელან
ქადაგება ვუწოდეთ, სხვაც ბევრი რამ არის საგულისხმო.

ბ.ბ.: თუნდაც ის, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს აკაკი
ქართველ ქალს, როგორ აფასებს მის როლს ერის წინსვლისა
და გაჯანსაღების საქმეში. თავმდაბლობის ეს ფაქტიც სამაგა-
ლითოა: იგი ზედმეტად მიიჩნევს პატივისცემას, რასაც მის მი-

მართ, აკაკის მიმართ იჩენენ და ამბობს: „ჩვენ, ქართველებმა, საზოგადოდ, გადაჭარბება ვიცით ხოლმე. აი, თუ გინდა ეს დღევანდელი თქვენ მიერ ჩემი პატივისცემა გადაჭარბებულია, მე ამდენის ღირსად არ მიმაჩნია ჩემი თავი და მხოლოდ თქვენ-სავე მადლიერ გულუხვობას მივაწერ“...

თ.ხ.: აქ არსებითი ის არის, რომ ამ საუბარს აკაკი ილიას ქებას მოაყოლებს და ამით საოცარ მაგალითს იძლევა იმისას, თუ თავის თანამედროვე მოღვაწეს როგორ აყენებს წინ...

გ.გ.: ეს თემა ცალკე მსჯელობის საგანია, თამაზ, აქ კი ის ვთქვათ, რომ კახელებს არ შეშლიათ, იცოდნენ ვის ხვდებოდ-ნენ, ვის მიაგებდნენ პატივს, მიზანი თელავში აკაკის სტუმრობისა ამ სიტყვიდანაც კარგად ჩანს: ერში ეროვნული სულის გამოფხიზლება, ცხოვრებისეული პრობლემების წარმოჩენა, შეფასება ავისა თუ კარგისა, რაც სამომავლო პერსპექტივებისათვის აუცილებელია.

თ.ხ.: თელავის შეხვედრა და ეს სიტყვა არ ამოწურავს აკაკის კახეთში მოგზაურობის მიზანსა და მნიშვნელობას.

გ.გ.: კიდევ ერთხელ გავიხსენოთ: აკაკი მოინახულებს ალავერდს, ეწვევა სიღნაღს, ბოდბის მონასტერს... და ყოველ-ვე ამის თაობაზე, როგორც ვთქვით, საკმაოდ ვრცელ მასალას გამოაქვეყნებს თავის კრებულში... და იმას უნდა მივაქცია ყურადღება, რომ ეს სტუმრობა იმისთვისაც სჭირდება, რომ ნახოს, შეადაროს, რა შეიცვალა რით; მიდის წინ ქვეყანა თუ არა, უჩანს პირი უკეთესობას თუ არა. ასე რომ, არ იყო ეს სტუმრობა გართობა-დროსტარება. ეს კარგად ჩანს სწორედ ამ პუბლიკაციაში, „კახეთში მოგზაურობა“ რომ ჰქვია. აკაკი ჩვეული იუმორით თუ ირონიით იწყებს თხრობას: „კახეთისკენ მიმავალ დილიჟანში იარაღიანი კაცები ისხდნენ. ამან გამაკვირვა! ხოჯახნობა გადავარდა, შამილობა აღარ არის და ესენი რომ ასე საომრად გამოწყობილან, რას ნიშნავს მეთქი; „გზაში ყაჩაღების შიშიაო“- მიპასუხეს თანამგზავრებმა. დაგელოცოს ღმერთო, სამართალი! დიდებული რუსეთის მფარველობის დროს?! ეს ამდენი ჯარი, ამდენი პოლიცია, სამაგალითო კანონი და სამართალი...“

თ.ხ.: აშკარაა ირონია არსებული წყობილებისადმი და ამ განწყობით მიდის აკაკი კახეთის მოსანახულებლად... და მთელი გზა, თელავისკენ მიმავალმა, ამ ფიქრში გაატარა: რა დღეშია ქართველობა; მაგალითებიც საკმაო იყო. თუნდაც, გომბორის შესახებ მსჯელობა. აქ ჩამოსახლებულების დასახლება მიიქცევს აკაკის ყურადღებას, „პროსელენია" რომ ჰქვია და ამას მსჯელობას მოაყოლებს, რატომ ცხოვრობენ ჩამოსახლებულები უკეთ და ადგილობრივი მოსახლეობა - ცუდად. ქართველებს ზარმაცებს გვეძახიან და მაგალითად სწორედ ეს ჩამოსახლებულები მოჰყავთო"... იმ დალოცვილებს ავიწყდებათ, რომ ქართველ მკვიდრს ორი ან სამი დღიურის მეტი არა აბადია და ისიც კიდევ სხვისი საზიარო და ჩამოსახლებულებს კი ასი და ორასი დღიური უჭირავთ ხელში"... ეს კრიტიკაა იმ ეროვნული პოლიტიკისა, რუსეთი რომ ატარებდა და რის შესახებაც მსჯელობა მაშინ არცთუ იოლი იყო, არცთუ უხიფათო.

გ.გ.: „გულნატკენმა გავიარე გომბორი",- დასძენს ბოლოს აკაკი და განაგრძობს გზას თელავისკენ. ეს გულისტკივილი, ფიქრი და დარდი უათკეცდება, რა შეიცვალა ამ თხუთმეტი წლის მანძილზე, რაც აკაკი აქ არ ყოფილა? ბევრი რამ და, საუბედუროდ, უარესობისკენ. ალავერდისა და ალავერდობის ნახვა პოეტს ვერ დააყენებს სადღესასწაულო გუნებაზე. იკარგება ძველი ტრადიციები, იცვლება და დავიწყებას ეძლევა საუკუნეებგამოვლილი ადათ-წესები, თავზე გვენგრევა დიდებული ტაძარი და ჩვენ ვღრეობთ და დიდი სასმისებით ვსვამთ ალავერდისა თუ ქვეყნის სადღეგრძელოს... ეს დასკვნა უნდა გავაკეთოთ, როცა წერილის ამ მონაკვეთს ვკითხულობთ.

თ.ხ.: გიორგი, მე მაინც ჩავიკითხავ ამ ადგილს და ჩვენი მსმენელის ყურადღებას იმას მივაპყრობ, რა ადარდებს პოეტს საუკუნის წინათ და როგორ ეხმაურება თავისი დარდით, დღევანდელობას. ალავერდზე საუბრობს: „ძველი ხელოვნება მოშლილია, ნახატები აღარ სჩანან და საყდარი შიგნით და გარეთ თეთრად არის შეფეთქილი. ზედ მისასვლელ კარებთან, სადაც ადრე „საქალებო" უნდა ყოფილიყო, საყასბოა გამართუ-

ალავერდი

ლი. იქ მიაქვთ ზვარაკის მხარ-ბეჭი და ცხვრის ტყავები და იქვე ვაჭრობაა გაჩაღებული. ადრე,- განაგრძობს აკაკი, - ის ადგილი, სადაც საკლავი მიჰქონდათ, მოშორებით იყო ეკლესიაზე და დღეს კი ყველაფერი გადასხვაფერებულია, სახურავი გაფუჭებია ტაძარს, ადმოსავლეთის მხრით წვიმა ჩამოდის და შიგ ტაძარში ტბა დგება. გალავანს გარეთაც იმას ველარ ნახავთ, რაც ყოფილა"...

გ.ბ.: და როცა ამის თაობაზე საუბრობს, ბოლოს იტყვის: „იმ ღამეს დიდი ლხინი იყო ყველგან გამართული, მაგრამ მოლხენას კი არა, უფრო გლოვას ჰგავდა, აქა-იქ უსიამოდ ჭიჭყინებდა ზურნა, თითქოს ნაძალადევი".

თ.ხ: რა თქმა უნდა, ეს ლხინი ვილაცისთვის ლხინი იყო, მაგრამ აკაკისთვის და ამგვარად მოაზროვნეთათვის იყო გლოვა დაკარგული დიდებისა.

გ.გ.: გლოვა დავიწყებული სიკეთისა, გლოვა წაშლილი ისტორიისა... და დარდით ჰყვება: „დიახ, ყველაფერმა იცვალა ფერი და დაჰკარგა უწმინდესი ხასიათი! ჭიდაობა რა არის, ჭიდაობა? ისიც კი უბრალო ხორხოცად და ჯიგლიგანობად გადაქცეულა. მეორე დღეს გამართეს ჭიდილი და მაყურებლებმა ერთმანეთი ჯიგლიგით გაასივეს. სრულმა უზრდელობამ იჩინა თავი. აღარც ძველებური უმცროს-უფროსობა, აღარც დიდ-პატარობა და არც სქესობა".

თ.ხ.: - ერის ზნეობრივ-მორალური სახე უფრო მეტად აფიქრებს პოეტს, ვიდრე სხვა რამ... თუმცა, მაპატიეთ და, ასე არ დაყოფს აკაკი. ყველაფერი ადარდებს, ყველაფერს აქცევს ყურადღებას, ყველაფერი გულთან მიაქვს და მისეულ ანალიზს აკეთებს;

გ.გ.: - კვლავ დიდი გულისტკივილი: „ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ერი ყოველთვის ზრდილობით ყოფილა ქებული და დღეს კი ველური ხალხის უზრდელობას აღარ ჩამოუვარდება მათი უზრდელობა და სიტყვა-პასუხი, აქაოდა, თანასწორობა შემოვიდაო და აღარც მღვდელი იციან და აღარც ერი"...

თ.ხ.: ერთი წუთით, გიორგი: ასეთი გულისტკივილი აკაკისი სადღეისო უბედურებაც რომ არის, დამეთანხმებით, ერთი შემთხვევა გამახსენდა: ამას წინათ, წინა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე ერთ-ერთ კანდიდატს ბრალი წაუყენეს, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეო მავანს. თავი იმართლა, ირონიულად: დღეს ცენზურა აღარ არსებობს და ამიტომ უცენზურო სიტყვებიც აღარ არისო...

გ.გ.: ესე იგი, მორალური და ზნეობრივი კანონები აღარ არის, აღარც სჭირდებათ ასეთებს. ეს ჭირი დიდი ხნისა ყოფილა. საუკუნის წინათ სტკენდა გულს აკაკის და ამხელდა მისთვის სულზე უტკბეს ქართველებს...

თ.ხ.: მოკლედ ალავერდობამ ბევრი ფიქრი დაუგროვა პოეტს, ბევრი ტკივილი მიაყენა. იტყვის კიდეც თელავისკენ მიმავალი: „ამ სანახაობამ გული მომიკლა და მეც გამოვეშურე ისევ თელავისაკენ. გზაში ფიქრებმა წამიღო: ღმერთო ჩემო, ეს რა სილარიბე ვნახე ამ დღეობაში?! რამ დაჩაგრა და დააკნინა

ყოველგვარად ეს ხალხი? სად არის ის ადრინდელი კახელობა, მე რომ სიყმაწვილეში მინახავს? ჩოლოქის ომში რომ კახელობა დაესწრო, მის სანახაობას არა სჯობდა რა! თავადი, აზნაური, გლეხი - ყველა ერთი მეორეზე უკეთესი, მოხდენილად, მდიდრულად მორთულ-მოკაზმულები ძვირფას იარაღითა და ბედაურებით გამოწყობილები"...

გ.ბ.: ჩოლოქის ომში მონაწილე კახელთა ქებას აღავლენს აკაკი. არ არის შემთხვევითი ეს ფაქტი. კახელებს სხვა ომშიც უომიათ, უთვალავში, მაგრამ ამ ომის გახსენება მოისურვა აკაკიმ და არ მეჩვენება ეს ფაქტი შემთხვევითად...

თ.ხ.: ბარემ ჩავიკითხავ ბოლომდე: „კაცი იტყოდა, რომ ამათ მტერიც ვერ გაიმეტებსო! სადღა არიან?! ჩანს, რომ წასულან, იმავე ბედაურებით გასდგომიან გზას და თავის თავგადასავალიც იქ ზღაპრათ დაუგდიათ? ბევრ გვარად ვეკითხებოდი ჩემს თავს და მწარე პასუხი გულში მიკვდებოდა"...

გ.ბ.: და ამ მწარე ფიქრ-კითხვებით დამძიმებული პოეტი მიდის თელავში. მაგრამ ეს მოგზაურობა აქ არ დასრულებულა, არც იმ სიტყვის თაობაზე გვიმსჯელია ყოველმხრივ, თელავში ნადიმზე რომ ითქვა, არც პირველი მოგზაურობის დეტალები გაგვიხსენებია, რაც აუცილებელიც არის, ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები რომ გავიგოთ და გავიაზროთ...

თ.ხ.: ჩვენ ისიც ვთქვით, აქ, ამ და წინა სტუმრობის დროსაც, სრულიად საგანგებოდ წარმოჩნდა ილიას სახე, აკაკის თვალით დანახული... ასე რომ, კახეთში აკაკის მეორე სტუმრობამ ბევრ რამეზე დაგვაფიქრა, ბევრი რამ გვასწავლა. სამწუხაროდ, ყველაფერზე დღეს ვერ ვისაუბრებთ...

გ.ბ.: ბატონო თამაზ, დავარქვათ დღევანდელ საუბარს პირველი ნაწილი და განვაგრძოთ შემდეგ ეს თემა - „აკაკი კახეთში". რამდენადაც ვთვლით, რომ ეს, მართლაცდა, მნიშვნელოვანი მომენტი, სადღეისოდაც მრავალმხრივ საგულისხმოა, თუნდაც ის, რომ ჩვენ მიერ სამსჯელო წერილში აკაკიმ ერთ ქიზიყელს ათქმევინა: „მე დროსა ვტირი და არა მარტო ჩემს თავს". ამ დატირებას ჩვენც უნდა მივაყურადოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მე დროსა ვტირი...“

მეორე ნაწილი

თამაზ ხმალაძე: როგორც ვთქვით, ჩვენ აკაკი წერეთლის კახეთში მეორე - 1897 წლის - სტუმრობაზე გავამახვილებთ ძირითად ყურადღებას, თუმცა პირველ სტუმრობასაც გავიხსენებთ, რადგან ეს თხუთმეტწლიანი შუალედი, რაც პირველ და მეორე სტუმრობას შორის იყო, აკაკის შედარების საფუძველს აძლევდა - რა გაკეთდა ან ვერ გაკეთდა ამ ხნის მანძილზე, რა შეიცვალა და რანაირად, საით მიდის ქვეყანა, უჩანს კი სასიკეთო პირი ცვლილებებს?... - ეს იყო მთავარი საფიქრალი პოეტისა...

გიორგი გოგოლაშვილი: და ამიტომაც შეიძლება, ვინმეს ავადაც კი მოხვედროდა გულზე აკაკისეული საკმაოდ მკაცრი შეფასება ცალკეული ფაქტებისა თუ მოვლენისა...

თ.ხ.: მაგრამ, ღვთის მადლით, არ მომხდარა ასე. კახეთმა იცოდა, ვის მასპინძლობდა; კახელებმა იცოდნენ, რომ მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი საუკეთესო მამულიშვილი იდგა მათ წინაშე და ქება თუ დატუქსვა, შენიშვნა თუ

სურვილი, მისგან თქმული, საგულისხმო იყო...

გ.გ.: სწორედ ასე აფასებს ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებების გამოქვეყნებას აკაკის ცხოვრების მართალი მეისტორიე ლევან ასათიანი: „აკაკის სიტყვა შემდეგ „დროებამ", ხალხის საგულისხმოდ, ფართოდ მოჰფინა მთელ საქართველოს". ამით ისიც გაიხაზა, რომ ეს მოგზაურობა და მისი შთაბეჭდილებების გამოქვეყნება ეროვნული მნიშვნელობისა იყო...

თ.ხ.: როგორც ვიცით, 1897 წელს აკაკი თავისი „კრებულის" ორ ნომერში ორ მასალას აქვეყნებს ამ მოგზაურობის შესახებ. ერთია თელავში ნადიმზე წარმოთქმული სიტყვა და მეორე - წერილი „მოგზაურობა კახეთში".

გ.გ.: თავად აკაკი მოგზაურობას რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ამ პუბლიკაციებიდანაც ჩანს. ისიც გავიხსენოთ: პირველი სტუმრობა კახეთში, ამ კუთხის გაცნობა ასევე რამდენიმე წერილის თემად იქცა. 1882 წლის 17 აგვისტოს თელავში წარმოთქმული სიტყვა სექტემბერში გამოაქვეყნა გაზეთმა „დროებამ". შემდეგ, 1883 წლის თებერვალში გაზეთ „შრომაში" იბეჭდება წერილი სათაურით „სამგზავრო წერილებიდან" და იმავე წლის შემოდგომაზე - ნოემბერში, იმავე სათაურით „სამგზავრო წერილებიდან" იბეჭდება სხვა წერილი - გაზეთ „დროებაში". ორივე ამ წერილში კახური შთაბეჭდილებებია.

თ.ხ.: „დროებაში" გამოქვეყნებულ წერილს ასე იწყებს აკაკი: „ჩვენი მხარე სულ დავლილი მქონდა, მხოლოდ კახეთი კი არ მენახა. ბევრი რამ მქონდა გაგონილი მის ედემურობაზე, მაგრამ ნათქვამს ნახულმა გადააჭარბა".

გ.გ.: ბატონო თამაზ, ამ პუბლიკაციიდან ერთი საინტერესო პარალელი შევთავაზოთ მკითხველს: „ესპანიაში ერთი მაზრა არის, ისე მდიდრულად შემკული ბუნებისაგან, რომ უკეთესი მოუხერხებელია, მაგრამ ამ მშვენიერებასაც თავისი წუნი აქვს: საოცარი ცივება იცის, რომლის გამოც, შემდეგი არაკი დადის ხალხში: „ერთხელ, წმინდა იაგოს ღმერთმა უბრძანა: „რაც გინდა მთხოვე და აგისრულებო!" იმანაც იფიქრა, იფიქრა და მოახსენა: „მე ჩემთვის არასა გთხოვ, მხოლოდ ამა და ამ მაზრაში ცივება მოსპეო!" - ეგ კი არ შეიძლებაო, უბრძანა

ღმერთმა: „იმ მაზრაში თუ ცივებაც მოვსპე, მაშინ აქ ადგრა-ვინ დამიდგება და ზეციდან ყველანი იქ გადასახლდებიანო“...

თ.ხ.: გასაგებია; აკაკის სურს, წუნზე ისაუბროს; ამბობს კი-დეც: კახეთსაც რომ თავისი წუნი არ ჰონდეს, მაშინ რაღაც ზღაპრული იქნებოდაო.

გ.გ.: ამგვარ წუნად აკაკის ალაზანი მიაჩნია და წერს: „ძნელად სადმე მოიპოვება ამაზედ უხეირო მდინარე: უიმისოთაც ტყიან-ნოტიო მარცხენა მხარეს აწვება და აჭაობებს და მარჯვენა ნაპირი კი, ეს ამოდენა ტრიალი მინდვრები, უნაყოფოთ გამხმარან“.

თ.ხ.: როცა ალაზნის აუგს ამბობს პოეტი, ყურადღება მივაქციოთ, საით უმიზნებს: „ერთ დროს კი როდესაც ქართველს თავი ხელად ჰქონია, ეს მდინარეც დამონებული ჰყოლია: ჩაუყენებია ხელოვნურად კალაპოტში და მის ნებაზე არ უხტუნებია“.

გ.გ.: აკი წინა დიალოგში გავიხსენეთ, ერთ ქიზიყელს რომ ათქმევინა აკაკიმ, მე დროსა ვტირიო... და ალაზნის აუგიც დროის ტირილია აკაკისაგან. გლოვობს აწმყოს და მისტირის წარსულს. ამონარიდი ჩავამთავროთ: „დღესაც კიდევ შენიშნავს კაცი ძველს არხს, თამარის არხს რომ ეძახიან; ოდესმე მასზე უვლია ალაზანს და დედის რძესავით შერგებია მთელ მხარეს. - დღესაც რომ ისე მომდინარეობდეს ეს გიჟი, გულჩახვეული წყალი, კახეთს მეტი არა უნდა რა...“

თ.ხ.: ზოგჯერ გაგიკვირდება პირდაპირ, ისე უბოდიშოდ, მოურიდებლად მიახლის პირში სიმართლეს: „ალაზნის ისევ ძველ არხზედ გადაყვანას, მართალია, არც ღმერთი იწყენს და არც კაცი ვინმე დაუშლის, მაგრამ დავნაცარქექიავდით!...“ ალაზანი ერთი მაგალითია. მსგავსი სხვაც ბევრია; გამოფხიზლება, გამოღვიძება, გაბეჯითებაა საჭირო, თორემ...

გ.გ.: თორემ, მოვა უცხოელი, დაეპატრონება ამ ჩვენს სიკეთეს და ოდინდელ ბატონ-პატრონს დღიურ მუშად გაგვიხდისო,- ამას შეგვაგონებდა აკაკი საუკუნის წინათ...

თ.ხ.: ამას შეგვაგონებს იგი დღესაც, დიახ, მეცხრამეტე საუკუნიდან მოგვძახის ოცდამეერთე საუკუნის კარიბჭესთან

სიღნაღი. XIX საუკუნის ბოლო

მიმდგარ ქართველ ერს...

გ.გ.: ჩვენ რომ ზედმეტად არ ჩავერიოთ და არ გავაუფერულოთ აკაკისეული შეგონება, ამონარიდი ჩავიკითხოთ: „ბევრრამ არის გასაკეთებელი და გასამართავი კახეთში. ისინ ოდესმე თავს იჩენენ, მაგრამ ვაი, თუ უცხოელებს ჩაუვარდ ხელში და მაშინ დღევანდელი მეპატრონეები დღიურ მუშებად გადაიქცევიან. ეს, უთუოდ, ასე იქნება, მით უფრო, რომ ჩვენ ახალგაზრდობა მუშად არ არის მომზადებული და არ შემდეგისათვის ვინმე ამზადებს, მაგრამ თუ ღმერთმა ქნა დ მოემზადენ როგორმე, კახეთის უკეთესს კუთხეს კი ვერსად ნახავენ ჩვენს ქვეყანაში სამუშაოთ. აქ ხალხიც ისეთია, თუ ა დაეხმარება, ხელს მაინც არ შეუშლის სხვებსავით, რადგან კ ხელები, ზნეობითად, უფრო მაღლა დგანან“...

თ.ხ.: ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, აკაკი წერეთელი თავ დროს კი არ ტირის, ჩვენს დროს ეხმიანება და იმ პრობლ მებს გვიცნობიერებს, დღეს რომ დგას ჩვენს წინაშე...

გ.გ.: თამაზ, როცა აკაკის, ილიასა თუ იაკობის პუბლიცის ტურ წერილებს ვკითხულობ, ხშირად შიშის გრძნობა შემიპ რობს: საუკუნის წინანდელი პუბლიცისტიკა ასე სადღეისო რომ ჟღერს, ბევრი ვერაფერი გვისწავლია ისტორიის გან...წინსვლა სადღაა?

თ.ხ.: ერთ ადგილსაც წავიკითხავ, თუმცა, ამით, გულს კი ვერ გაგიკეთებთ, პირიქით... თქვენს ტკივილს შევეხმიანები. სხვამაც მოისმინოს, გაიხსენოს ამ დიდი პიროვნების შეგონება და ვიფიქროთ, როგორმე თავი დავიხსნათ ამ უბედურებისაგან! აბა, მოვუსმინოთ: „ეს, რასაკვირველია, ბევრს არ მოეწონება, მაგრამ მე კი, ჩემდათავად, ვიტყვი, რომ ქართველი მხოლოდ მაშინ არის საყვარელი, როდესაც მისი ქართველობა არ დაჰკარგვია... აბა, რაღა ქართველია ის, რომელიც დამპალ საქონელს დაუწყებს გასაღებას და ღვინოს წყლითა სწყმენდავს, რომ ორი გროში მოპარვით გამოვრჩეო. არა, ჯერ კიდევ იმდენზედ არ მივსულვართ, რომ წურბელაობა დავიწყოთ, სხვებსავით და სხვისი მოტყუებით ვისაზრდოოთ“...

გ.გ.: საუკუნის წინათ ეს საფიქრალი გაუჩინა აკაკის კახეთში სტუმრობამ; თუმცა, მაშინდელი მდგომარეობა არც მთლად უიმედოდ ეჩვენება პოეტს: ჯერ კიდევ იმდენზე არ მივსულვართ, რომ წურბელაობითა და სხვისი მოტყუებით ვისაზრდოოთო... ეს საუკუნის წინათ იყო...

თ.ხ.: და რას იფიქრებდა, რომ საუკუნის შემდეგ, ამ ამონარიდის ჩამკითხველს ამგვარი კომენტარი დასჭირდებოდა - ეს საუკუნის წინათ დაიწერაო... არ გეგონოთ, დღევანდელობაზე იყოს თქმულიო...

თ.ხ.: 1897 წელს თელავში ნადიმზე წარმოთქმულ სიტყვას აკაკი ასე იწყებს: „ბატონებო! ჩვენი ძველების სიბრძნემ რუსთაველის პირით გვიანდერძა: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“.

და ეს გადმონაცემი ავგაროზათ უნდა გვედვას გულზე დღევანდელ ქართველებს, მით უფრო, რომ კარგათ ვერა გვაქვს გამოკვლეული, სად რა უნდა ვთქვათ ხოლმე და როდის რა? აზრიანი ცხოვრება კი ყოველთვის მოითხოვს, რომ არა თუ საქმე, თვით სიტყვაც კი გარემოებასთან შენაწონი, დრო და ვითარების საკადრისი უნდა იყოს“...

გ.გ.: არ იყო შემთხვევითი ეს დასაწყისი. აკაკიმ მართალი სიტყვა უნდა უთხრას იმას, ვინც მას ენდობა და იჯერებს მისას; იმას, ვის სიკეთეზე ფიქრში გაუვლია პოეტს თავისი

ცხოვრების არცთუ მოკლე და არცთუ უეკლო გზა. იგი თავის მეორე სტუმრობისას ნანახს უდარებს ადრინდელს და ვერ მალავს გულისტკივილს: „მეორე დღესაც კიდევ თელავში დავრჩი, რომ ქალაქი დამეთვალიერებია და გამოვტყდები, რომ არ მეამა. ოცი წლის წინეთ რომ მინახავს, იმაზე თუ უკლია თუ არა, არა უმატნია რა!...“

თ.ხ.: განვაგრძოთ ეს ამონარიდი: „მთელი კახეთი ვაჭრებისა და ჩარჩების ყმებათ არის გადაქცეული. კახელების სიმდიდრე ვენახებია და ისინიც ხომ სომხებს აქვთ გირაოთ... არა თუ მარტო მამული, თვით მემამულეთა შრომაც - კი. პატრონები მუშაობენ და მოსავალი კი მევალეებს მიაქვთ!...“

გ.გ.: სამწუხაროდ, ხშირ-ხშირად გვიხდება შეხსენება, რომ ეს საუკუნის წინათ იწერება, საუკუნის წინანდელი დარდია მამულიშვილისა.

თ.ხ.: უფრო წინანდელს მივტიროდით, - მტერმა ვაზი აგვიჩეხაო და, თურმე, რა დღეში იყო კახეთი საუკუნის წინათ: „ვისაც ჯერ კიდევ შერჩენიათ მამული, ისინიც ველარ ასაღებენ ღვინოს: ჩარჩებს პირობა აქვთ შეკრული და როგორც უნდათ, ისე მიაქვთ. თბილისში გამართულმა ამხანაგობამ ცოტა-თი კი გამოიხსნა ამ გაჭირვებისაგან მემამულენი, მაგრამ ვინ იცის, ბოლო როგორი ექნება?... ვაი თუ, მერე, როდისმე, ქართულმა ჭირმა - იმ შეჩვენებულმა უთანხმოებამ - გამოუაროს და მაშინ კი მშვიდობით კახეთის მეღვინეობის საქმევ...“

გ.გ.: და გამოუარა ქართულმა ჭირმა, იმ შეჩვენებულმა უთანხმოებამ... ვაითუ აგვიხდეს აკაკის შიში - „მაშინ -კი მშვიდობით კახეთის მეღვინეობის საქმევ...“ თუმცა, სახვალიოდ გულს ის მიკეთებს, რომ საუკუნის წინანდელი შიშია აკაკის შიში, გაუძლო კახეთმა...

თ.ხ.: როგორც პირველი, ისე მეორე სტუმრობისას, აკაკიმ ქიზიყი მოინახულა. გავყვეთ მას ქიზიყისაკენ, ჩემი მშობლიური კუთხისაკენ და მისი თვალით დავინახოთ მაშინდელი სიღნაღი...

გ.გ.: რთველია კახეთში. თითქოსდა, უკეთესს რას ნახავს სტუმარი... მაგრამ აკაკი სხვა სტუმარია; მოვუსმინოთ: „თელა-

რთველი კახეთში. ფრანგული გრავიურა, XIX საუკუნე

ვიდან სიღნაღზე წამოვედი და გზაში ბევრი სასიამოვნო არა მინახავს რა. ყველგან რთველი იყო გამართული, მაგრამ ლხინი და სარგებელი კი სხვებისა იყო: თავზე მოვალეები ადგენ ყველგან და პატრონებს კი ყურძნის ჭამის ნებაც არ ჰქონდათ!...“ - მწარე გულისტკივილი ახლავს ამ სურათის აღწერას...

თ.ხ.: მწარეა ის სიმართლეც, სიღნაღზე რომ ამბობს, საეკლესიო კაპიტალიზმს დაუმონებია დაუმონებელი სიღნაღიო. აკაკის მოვუსმინოთ: „სიღნაღისთანა თავ-გასული და გაბრიყვებული ქალაქი სხვა აღარსად მეგულება. იქაურ ვაჭრებს ისე შეუკრავთ ერთმანეთში პირი, სექტანტებივით, რომ სხვას აღარავის იკარებენ. დღევანდელი გარემოებაც ხელს უმართავს მათ და ორიოდე მცხოვრები ქართველები მათში დიდ გასაჭირში არიან ჩავარდნილი და არა მარტო ეკონომიურადაც. მათი მონობიდან გამოსვლა თუ ვინმემ მოინდომა, იმას არ გაახარებენ“.

გ.გ.: ოციოდე წლის წინათ ასე არ იყო, ამას დარდობს

აკაკი და დარდობს იმიტომ, რომ წინსვლას ვერ ხედავს ქვეყნისას; პირიქით. მისი „სახატე“ სხვისი ნებასურვილით, სხვისი მცდელობით უკან მიექანება. ქართველები კი? ან ვერ ხვდებიანო, ანდა სხვა გზა არა აქვთო; ერთი მაგალითი: „ხშირად გვესმის სიტყვა „ეკონომიური ბრძოლაო“, მაგრამ განა შეიძლება იქ ეკონომიური ბძროლა, სადაც იარაღი და ხერხი სულ სხვადასხვანაირია?...“

თ.ხ.: და აკაკის ჩასვლა იყო საჭირო კახეთში, სხვისი ჩასვლაც იყო საჭირო, რომ შეჩვეული ჭირი ჭირად აღექვათ! დიდი კაცის შეძახილი იყო საჭირო, მაგ შარბათში საწამლავია შერეულიო... შეიბრალე თავი შენი, იცოდეო...

გ.გ.: ამიტომაც ნატრობდა შეგნებული ნაწილი ჩვენი ერისა პროვინციებში დიდი კაცების ჩასვლას. ერი უკვე გამოღვიძებულია და როგორც აკაკი თავის თელავურ სიტყვაში იტყვის, „იმას უნდა ვეცადოთ, რომ მღვიძარი სხვა გზაზე დავაყენოთ და საქმეზე მივუთითოთ“.

თ.ხ.: ისიც ვთქვათ, გიორგი, რომ მთელი ამ მოგზაურობიდან წმინდა ნინოს საფლავისა და მისი სახელობის მონასტრის ნახვამ გადაწონა ავი: სწორედ გულმკვდარი დავბრუნდებოდი კახეთიდან, რომ წმინდა ნინოს მონასტერი არ მენახაო, წერს და იწყებს იმ მშვენიერების აღწერას, თუმცა მის მართალ და დაკვირვებულ თვალს ისიც არ გამოჰპარვია, რომ დღეს სარწმუნოებაზე თანდათან გულგრილდება ქართველობა. „ამას, რასაკვირველია, მიზეზი აქვს და ამ მიზეზს რომ გამოიკვლევდნენ და ყურადღებას მიაქცევდნენ, მადლია“.

გ.გ.: და მიზეზსაც ასახელებს. უფრო სწორად, ერთი მაგალითი მოჰყავს და დასკვნა შენ გააკეთე, მკითხველო: „წრეულ კახეთში, ერთ სოფელში, ახმეტაში, აღდგომა, კვირის მაგივრად, სამშაბათს გაუთენებიათ!... მხოლოდ სამშაბათს შემოუვლიათ ლიტანია, „ქრისტე აღზდგაც“ მაშინ უთქვამთ და მაშინ გაუხსნილებიათ. ეს სამწუხარო და ამავე დროს სასაცილო საქმე ვისი ბრალია? მხოლოდ გარემოებისა და სხვისი არავისი...“

თ.ხ.: მხოლოდ გარემოებისაო, დაასკვნის აკაკი და, ცხადია, გარემოებაში რასაც გულისხმობს. გავიხსენოთ, რა ათქმევინა ერთ ქიზიყელს, - მე დროსა ვტირიო... თუმცა, დროის ტირილი სამომავლო იმედის მოცემაცაა და აკი იმედიანად გვამშვიდებს: „ჩვენი ეკლესიაც ისევ ძველებურად ამაღლდება, იმედია, და ხალხიც არ დაკარგავს სარწმუნოებას!“.

ბოდბე, წმინდა ნინოს მონასტერი

გ.გ.: ეს იმ წერილის, „მოგზაურობა კახეთში“ რომ ჰქვია, ბოლო ფრაზებია და უნდა ვიგულისხმოთ, რომ აქ საზოგადო იმედის მიცემაა, უკეთესი ხვალეს დაპირებაა. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სათქმელი. ბატონო თამაზ, მოდით, თელავში პირველი სტუმრობისას წარმოთქმულ სიტყვას მივუბრუნდეთ.

თ.ხ.: ჯერ სიტუაცია გავიხსენოთ: 1882 წლის 17 აგვისტოა. აკაკის პატივსაცემად წვეულება გაიმართა თელავში. ვიცით, რომ ეს პირველი შეხვედრაა პოეტისა კახეთთან:

გ.გ.: 29 აგვისტოს გაზეთი „დროება“ ასეთ ინფორმაციას მიაწვდის მკითხველს: „16 მარიამობისთვეს“...

თ.ხ.: გაზეთში მცირე უზუსტობაა გაპარული, უნდა იყოს 17 მარიამობისთვეს.

გ.გ.: „თელავის საზოგადოებამ გაუკეთა წვეულება ჩვენს პოეტს,- ვკითხულობთ „დროებაში“,- ხალხი მრავალი დაესწროო. ვახშამზე თამადამ, ბ. ვანო როსტომაშვილმა შემდეგი სიტყვებით მიმართა ჩვენს პოეტს. „ბატონო აკაკი! დღეს ჩვენი ქვეყნის ყველა ნამდვილმა მამულიშვილმა ზედმიწევნით იცის, ვინ არის აკაკი და რა სურს მას ჩვენი ქვეყნისათვის... ეხლა, ვსვამთ რა თქვენს სადღეგრძელოს, ჩვენო საყვარელო აკაკი, გისურვებთ, ღმერთმან მოგცეთ ძალა, რომ თქვენი სიცოცხლის უკანასკნელ წამამდის სრულის უზაკვრობით და ჩვენის დავრდომილის ქვეყნის სასარგებლოდ მოხმარებულ იქნეს თქვენ მიერ ეგ ზეცით მონიჭებული ნიჭი პოეტობისა! ვისურვებთ, რომ თქვენის ნიჭით, საქმით და შრომით მუდამ ელტვოდეთ კაცთა თანასწორობას!“...

თ.ხ.: ეგ სიტყვა, ალბათ, ერთ-ერთ სანიმუშოა ამგვარ სიტუაციაში წარმოთქმულ სიტყვათა შორის, და დასასრულსაც ჩავიკითხავ: „გისურვებთ, რომ ღმერთმან მოგცეთ სიცოცხლე გრძელი და ის, რომ ამ გრძელ სიცოცხლეში თქვენ მუდამ გვერდზედ ედგათ ჩვენს ხალხსა, - ლხინში ის მიგყავდეთ პირველი და ჭირში თვით წინაუძღოდეთ“.

გ.გ.: ბატონი ვანო როსტომაშვილი გულწრფელია აკაკის მიმართ და ცდილობს, საერთო აზრი გამოხატოს მასპინძლებისა. გრძნობს ამ სიყვარულს აკაკი... გრძნობს ამ მოვალეობასაც, რასაც თავისი მდგომარეობა აკისრებს მასპინძელთა წინაშე და ამიტომ მეტად მოზომილ, საქმიან, მართალ სიტყვას ეტყვის კახელებს; პირველ შეხვედრაზე ვამბობ; სიტყვა ასე დაიწყო: „როგორც მომეტებული ჯავრი და მწუხარება, ისე უზომო და გადაჭარბებული სიხარულიც ხშირად ენას უბამს კაცს და უნებურად ადუმებს. სწორედ ამ მდგომარეობაში გახლავართ ამჟამად და მადლობა ღმერთს, რომ ეს ასეა, თორემ მეასედიც რომ შემეძლოს მისი გამოთქმა, თუ რა სიამოვნება მაგრძნობინა კახეთმა, მაშინ თქვენ ან პირმოთნეობად მიიღებ-

დით ჩემს სიტყვებს, ან სიგიჟედ ჩამითვლიდით და ორივე შემთხვევაში კი შემცდარი იქნებოდით...“

თ.ხ.: მოდით, ეს სიტყვა ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის შესანიშნავ მკვლევარს ნიკოლოზ კანდელაკს შევაფასებინოთ: „აკაკის ერთი შესანიშნავი სამადლობელი სიტყვა, თქმული თელავში, სუფრასთან, ყურადღებას იქცევს ფართო თემატური დიაპაზონითა და გულწრფელი უშუალობით... ეს სიტყვა თავიდანვე იმორჩილებს მსმენელს მოხდენილად გამოთქმული და გამოცდილების სიბრძნით დამშვენებული აზრებით და ბოლომდე საკუთარი გავლენის ქვეშ ამყოფებს მას შეუნელებელი ზემოქმედების მეშვეობით. მთელი ნაწარმოები აზრთა ისეთ ერთობას წარმოადგენს, რომ ძნელდება რომელიმე ადგილის გამოყოფა...“

გ.გ.: ამ სიტყვის მნიშვნელობის გასააზრებლად, მარტო ისიც იქნებოდა საკმარისი, ილიასეული შეფასება გაგვეხსენებინა და მოგვესმინა; სექტემბრის დასაწყისში გამოდის „ივერიის“ მე-9 ნომერი (1882 წელია).

ილიას სიტყვით, კახეთში აკაკის „წინ დახვდა მისგან ფრთაასხმული და გალონიერებული სიყვარული საქართველოსი...“ ხოლო, რაც შეეხება სამადლობელ სიტყვას, ილიას თქმით, „ამაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულ ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ, არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს თუ აზრი სიტყვას, ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყოველი წესი, ორატორის ხელოვნებისა, დაცულია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუზრახავს და აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიაღწიოს დანიშნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებია...“

თ.ხ.: თუმცა, ილია, ამ შეფასების დროს, ერთ თემას არ შეეხება, კერძოდ იმას, აკაკი თავის უნიკალურ სიტყვაში ილიას სადღეგრძელოს რომ ამბობს, ილიას როლზე რომ მიანიშნებს, მოდით, სრულად ჩავიკითხოთ ეს მონაკვეთი: „ძველა-

დაც საზოგადო ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი წინაპრები თავისის თავგანწირულ მამულიშვილობით ქვეყანას აკვირვებდნენ, კახელები ყოველთვის მოწინავე რაზმში ყოფილან და მომავალშიაც, იმედია, თქვენი შვილები, თავის განთქმულ წინაპრებს არ ჩამოურჩებიან. ჩვენ დროსაც მეთაური და მოწინავე იყო თქვენივე შვილი. თ. ილია ჭავჭავაძე, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ყოველი თქვენგანი სიამოვნებითა და ამპარტავნობით იგონებს და რომლის სადღეგრძელოსაც ახლა მე გიახლები, იმედი მაქვს, თქვენივე თანხმობით, ვისურვოთ, რომ მალე გამრავლებულიყოს ჩვენში ნამდვილი მამულიშვილები...“

თ.ხ.: მამულიშვილობა ღვთითბოძებული ნიჭია, მაგრამ იმის თქმაც სურს აკაკის, რომ ეს ნიჭი რომ განვითარდეს, მამულს წაადგეს, ამისათვის დიდია ქართველი დედის მოვალეობა...

გ.გ.: ამგვარი მსჯელობა ილიას სადღეგრძელოს მოაყოლა აკაკიმ და ამით მათ უთხრა მადლობა, ვინც ილია ჭავჭავაძეში ღვთითბოძებული ნიჭი მამულიშვილობისა საქმედ აქცია; ეს ადგილიც ჩავიკითხოთ, ვნახოთ, ნამდვილად მამულიშვილთა გამრავლებას ნატრობს აკაკი და შემდეგ განაგრძობს: „და ეს ადვილად ასრულდება, თუკი ჩვენი დედები მოინდომებენ და თავის პაწაწა შვილებს, ერთად ძუძუსთან შეაწოვებენ მამულის სიყვარულს და ერთგულებას...“

თ.ხ.: დედის ძუძუსთან ერთად უნდა შეიწოვოს ქართველმა მამულის სიყვარული და ერთგულებაო, რომ გვმოძღვრავს აკაკი, ვისმინოთ უნდა... ცოტა ადრე ამ თემაზე უფიქრია და უდარდია ბარათაშვილსაც:

„ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარ გულს...
რის ქართველობა, რა ქართველობა“...

ეს ბარათაშვილის დროინდელი დედების აზრია და ეს უქადდა დაღუპვას ქვეყანას.

გ.გ.: ამიტომაც არა მხოლოდ აქ, მაგრამ აქაც, კახეთშიც ამაზე ამახვილებს აკაკი ყურადღებას. მამულიშვილის აღზრდა

მისი თვალის ახელიდან იწყება და ქართველი დედის უდიდესი მისიაც ესაა...

თ.ხ.: თუმცა, აკაკი იქვე დასძენს და განმარტავს, რომ თუ აკვანში შეთვისებულ მამულის სიყვარულსა და ერთგულებას შემდგომში არ მიეცა სწორი განვითარება, მამული მამულიშვილს დაკარგავს...

გ.გ.: ეს უკვე მამების ვალიაო, არა, ბატონო თამაზ?

თ.ხ.: დიახ, აკაკი მამის როლზე საუბრობს და კიდევ განათლების მნიშვნელობაზე.

გ.გ.: გაუნათლებელი თაობა ქვეყანას სასიკეთოდ ვერ წაადგებაო.

თ.ხ.: ზემოთ ნათქვამს რომ დავუბრუნდეთ, კახეთში აკაკის პირველი სტუმრობისას თქმული სიტყვის შეფასებისას, ილია ჭავჭავაძე, რა თქმა უნდა, დაინახავს ყველა პრობლემას, ყველა საკითხს, ეთანხმება აკაკის, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, თავად მის შესახებ თქმულს გვერდს აუვლის; უფრო მეტად აკაკის პიროვნებას წამოსწევს წინ, თითქოსდა, ერთმანეთის ქებაში ეჯიბრებიან ერთურთს.

გ.გ.: ილია იმ ფაქტს გაიხსენებს, აკაკის სადღეგრძელოში რომ უთხრეს: „ღმერთმა ჰქნას, შენ და შენისთანები მომავალშიც ბევრი გვყოლოდესო", რაზეც აკაკის, თითქოსდა, უკმაყოფილოს უპასუხია: „ღმერთმა ნუ გაამართლოს ეგ თქვენი სიტყვა, რასაცა დღესა ვსჯერდებით, ის ხვალ საკმაო აღარ არის ხოლმე"-ო.

თ.ხ.: მე დღევანდელი დროის კაცი ვარ, სახვალიოდ უკეთესი ეჭირვება ერსა და ქვეყანასო... ესა თქვა, კი არ შეიფერა ქება...

გ.გ.: დიახ, და ამას მოჰყავს ილია აღტაცებაში. ილიასა და აკაკისნაირი კაცებისათვის დაუმსახურებელი ქება ძაგებაზე უარესია, ხოლო დამსახურებული ქებაც არ არის საჭირო; საჭირო საქმეა.

თ.ხ.: დღევანდელი დღის ქებით სახვალიო პრობლემები არ მივივიწყოთ; დღევანდელმა თავმოწონებამ სახვალიო საქმე არ

გაგვიფუჭოსო...

გ.გ.: ამიტომ ამბობს ილია: „დიაღ, ბატონებო, ხვალე დღევანდელს უნდა სჯობდეს, მერმისი აწინდელს. კანონი განვითარებისა და ბედნიერების იმედისა ამაშია და სხვა არაფერში... რაც არიან აწინდელი მოღვაწენი ჩვენი ერისა - ღმერთმა ამრავლოთ, დიდი დღე და გამარჯვება მისცეთ, მაგრამ, აკაკისა არ იყოს, ნუ ვიკმარებთ მას, რაც დღეს არის! ჩვენა გვჭირია ამათზედ ბევრად ძლიერნი, ბევრად მოქმედნი...“

თ.ხ.: ბატონო გიორგი, ნუ შევწყვეტთ აქ ამ დიდებულ მსჯელობას, განვაგრძოთ ილიას აზრი: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“ - დაუგვირგვინებია თავისი სიტყვა ბ-ნ აკაკის. ასეც უანდერძნიათ ჩვენს მამა-პაპებს, რომელთაც ჩვენთვის თავი დაუდვიათ, რომელთა ძვლებით ჩვენს ქვეყანას ზღუდე შემოვლებია, რომელთა სისხლით ჩვენი ქვეყანა მორწყულა. თუ ის დევგმირნი, რომელთ საქმენი სწორედ რომ დაუჯერებელნი არიან, ამბობდნენ, რომ ის ურჩევნია მამულსაო, რომ ჩვენი შვილები ჩვენა გვჯობდნენო, ჩვენ რაღა გვეთქმის, ჩვენ, რომელნიც იმათ წინაშე ქონდრის კაცებად თუ ჩავითვლებით!“...

გ.გ.: ისევ სამაგალითო თავმდაბლობა...

თ.ხ.: ისევ სამაგალითო წარმოჩენა სხვისი დამსახურებისა...

გ.გ.: ისევ სამაგალითო დაფასება წინაპართა ღვაწლისა...

თ.ხ.: და ისევ სამაგალითო ხედვა მომავლისა!...

გ.გ.: როცა აკაკისა და ილიას ურთიერთოდამოკიდებულებას წარმოვაჩენთ აკაკის პირველ მოგზაურობასთან დაკავშირებული პუბლიკაციების მიხედვით, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ, მეორე სტუმრობის დროს, აკაკის მიერ თელავში წარმოთქმული სიტყვებიდან იმას, თუ როგორ გამოხატა აკაკიმ კვლავ მადლიერება ამ კუთხის მიმართ, რომ იქ იშვა და გაიზარდა ილია...

თ.ხ.: სამწუხაროდ, აკაკის ამ სიტყვის შესახებ ნაკლები ითქვა; არ მისცემია ისეთი შეფასება, როგორც პირველი მოგზაურობისას წარმოთქმულს. არადა, მხოლოდ ამ ადგილის

გამო შეიძლება ჩაითვალოს ეს სიტყვა ერთ-ერთ საუკეთესოდ აკაკის მიერ წარმოთქმულ სიტყვათა შორის.

გ.გ.: ნუ მოვახვევთ მსმენელს ჩვენს აზრს, თავად შეაფასოს: „პატარა ცისარტყელა ვერც ათბობს, ვერც ანათებს, მხოლოდ თვალს იტაცებს და სჭრის, მაგრამ მაინც გამოდარების ნიშნათ არის მიჩნეული. გვალვის დროს ერთი პატარა ღრუბლის ნაგლეჯიც, სადმე ცის კიდეში გამოჩენილი, ქვეყანას ახარებს. შეჩერებიან მუშები და ამბობენ: ღმერთო, შენს მადლს! კარგი ნიშანია: ამ პატარა ნაგლეჯს სხვებიც შეუერთდებიან, ცას დაფარავენ და მოგვევლინება წვიმა, ქვეყნის განმანედლებელიო. საკვირველია, მესამოცე წლებშიაც, როდესაც მამათა სქესის ახალთაობა გამოღვიძებას აპირებდა, ის პატარა ცისარტყელა კახეთში გამოჩნდა და ის ღრუბლის ნაგლეჯებიც აქეთ დავინახეთ, რასაკვირველია, მიხვდებით, რომ აქ იგულისხმება თქვენივე შვილი ბ-ნი ილია ჭავჭავაძე. ახლაც კიდეც სადედათ-სქესო ნიშნებსაც აქვე ვპოვებთ. ჩანს, რომ ეს საქართველოს ყოველ კუთხეზე მეტათ წამებული კახეთი ჩვენთვის ახალ-ბეთლემად დაუნიშნავს განგებას და ღმერთმა ინებოს... ვისურვებ მის ბედნიერებას საზოგადოთ და კერძოთ თქვენთვისაც, როგორც მის მცირე წარმომადგენლებისას“.

თ.ხ.: ასე დაასრულა აკაკიმ თელავში ნადიმზე წარმოთქმული სიტყვა. მართლაცდა, პირველი სტუმრობისას წარმოთქმული სიტყვის ილიასეულ შეფასებას თუ მოვიშველიებ, არ იცი კაცმა, აზრი დაამჯობინო სიტყვას, თუ სიტყვა დაამჯობინო აზრს. ეს ადგილი ხომ რამდენჯერმე მაქვს ჩაკითხული და მაინც პირველმოსმენის ამაღლებული განწყობილება მეუფლება, როცა ვისმენ... და კიდევ, სურვილი მიჩნდება, ილიას ალტაცებული შეძახილი გავიმეორო: „გაუმარჯოს აკაკი წერეთელსაც, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სახსოვრათ და რომლის მშვენიერის ლექსებით არაერთხელ დაიტკბობს ყურს და გრძნობას და არა ერთხელ გულს მოიცემს მამულის-შვილობისათვის...“

გ.გ.: ბატონო თამაზ, დიდად საგულისხმო ფაქტია: აკაკი

ილიას მაგალითით ესაუბრება ერსა და მამულს; ილია - აკაკის მაგალითით... ბედნიერები იყვნენ ისინი, რომ ასეთი მაგალითები ჰქონდათ;

თ.ხ.: და ჩვენი ბედნიერებაც ეგ არის, რომ ორივეს - ილიასა და აკაკის - მაგალითი შეიძლება დავიყენოთ წინ და ასე გავხედოთ მომავალს.

გ.გ.: გასული საუკუნის დასასრულს აკაკიმ კახეთში იმოგზაურა... ბევრი საფიქრალი გაგვიჩინა ამ მოგზაურობამ, ბევრი დარდი შეგვძინა და დიდი იმედიც ჩაგვისახა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიროვნების თავისუფლება იმპერატორის ვიზიტის ფონზე

1888 წელი. საქართველო. იმპერატორი ალექსანდრე მესამე „მამულში" მოგზაურობს...

თამაზ ხმალაძე: დღეს ყურადღებას მივაპყრობთ ერთ, თითქოსდა, უმნიშვნელო, ყველასაგან მივიწყებულ ფაქტს, რომელსაც ჩემი აზრით, განსაკუთრებული ღირსება აქვს.

გიორგი გოგოლაშვილი: კონსტანტინე გამსახურდია ერთგან ამბობს, მწერლობა მიჩქმალული გმირების გამოსარჩლებااო. გავკადნიერდები და ვიტყვი: ჩვენი საუბრების მიზანი მიჩქმალული ფაქტების გამომზეურებაა - ისეთებისა, რომელთა გახსენება „აროდეს გვიზამს ზიანსა".

თ.ხ.: ერთხელ საქართველოს, კერძოდ, 1888 წელს, ცოლშვილთან ერთად, ეწვია ალექსანდრე მესამე. თუმცა, სამწუხაროდ, სტუმრად ჩამოვიდაო, ვერ ვიტყვით - იმპერატორი თავის სამფლობელოში მოგზაურობდა... ოღონდ, ეს ვიზიტი ჩვე-

თბილისი. XIX საუკუნის ბოლო

ნი სათქმელის შესავლად დაგვჭირდება მხოლოდ, ძირითადი ამბავი კი სხვაა. ფაქტს მოვიხმობ თქვენთვის უაღრესად ახლობელი ნაწარმოებიდან - დავით კლდიაშვილის მოგონებათა წიგნიდან - „ჩემი ცხოვრების გზა".

გ.გ.: ფრიად სასიამოვნოა... თვითონ დავით კლდიაშვილსაც ხომ, როცა ამ მოგონებებს წერდა, სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდა; აქვე, წიგნის შესავალში, გვაუწყებს კიდეც: „ეს მოგონებები იწერება იმ მოსაზრებით, რომ რომელიმე მკვლევარმა ჩვენი წარსული ცხოვრების სურათის დასახატავად, შეიძლება ამ სტრიქონებშიაც იპოვოს გამოსადეგი რამ მასალა. თუ ეს ასე იქნა, მაშინ ამის დაწერაც გამართლებული იქნება და დამწერიც დიდად დაკმაყოფილებული".

თ.ხ.: მაშ ასე; დავიწყოთ. ერთხელ საქართველოში... ჩამოვიდა ალექსანდრე მესამე. იმ დროს უკვე მეფისნაცვლობა აღარ არის, მთავარმართებლობაა და კავკასიას მართავს დუნდუკოვ-კორსაკოვი. ჰოდა, ამ დუნდუკოვ-კორსაკოვმა ყველაფერი იღონა, რომ ეს მოგზაურობა იმპერატორისა და მისი ოჯახისათვის დაუვიწყარი ყოფილიყო. უნდა ითქვას, რომ, ამ მხრივ

ადგილობრივმა მოსახლეობამაც დიდად გამოიდო თავი...

გ.გ.: გვჩვევია ქართველებს. განა მე და თქვენ კი არ მოვესწარით, როგორ შეხვედრებს უწყობდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცეკას პირველ მდივნებს? ეს ყველაფერი მხოლოდ ჩვენი სტუმართმოყვარეობით აიხსნება, ვითომ?..

ალექსანდრე III

თ.ხ.: - მოკლედ, გვეწვია იმპერატორი და ატყდა, თურმე, დიდი ამბავი საქართველოში. დუნდუკოვს შეუდგენია თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ახალგაზრდებისაგან საპატიო ყარაული, ამოურჩევიათ უმშვენიერესი ქართველი ყმაწვილები, გამოუწყვიათ ქულაჯებში, აუკაზმავთ ძვირფასი თოფ-იარაღით, შეურჩევიათ საუკეთესო ცხენები, საპატიო ყარაული განუშორებლად თან დაჰყვებოდა იმპერატორს; იმასაც ძალიან მოსწონდა და ბოლოს ყველას პრაპორჩიკობა მიუბოძაო, წერს დავით კლდიაშვილი.

გ.ბ.: როგორც მახსოვს, ბატონო თამაზ, დავითი იმასაც წერს, რომ არანაკლები ამბები დატრიალებულა ქუთაისშიც. ასეთივე საპატიო ყარაული იქაც გამოუწყვიათ და ამალაში მოხვედრის მსურველთა შორის დიდი დავიდარაბაც ატეხილა - მოხუცებიც კი მრავლად გამოჩნდნენო. ყველას უნდოდა პრაპორჩიკობა, უკანასკნელ ქონებას ყიდდნენ, არავითარ ხარჯს არ ერიდებოდნენ, რომ სათანადოდ გამოწყობილიყვნენ, მაგრამ

ბოლოს ბევრი მათგანი იმედგაცრუებული დარჩა, რადგან ზოგს მისცეს პრაპორშჩიკობა და ზოგს კი - მხოლოდ იუნკრობაო.

თ.ხ.: ბატონო გიორგი, ახლა მანდილოსნები? ხანშიშესული კნეინებიც კი წაჰკიდებიან ერთმანეთს, რომ დედოფლის წინაშე ლეკურის მოთამაშეთა რიცხვში მოხვედრილიყვნენ და თავი მოეწონებინათ მისთვის.

გ.გ.: - რას ფიქრობთ, მაინც, რით შეიძლება აიხსნას ეს ყოველივე, ბატონო თამაზ?

თ.ხ.: ჯერ მთავარ სათქმელს ვიტყვი და მერე შევეცადოთ მცირეოდენი კომენტარის გაკეთებას: „მეფის მოგზაურობამ წინანდლისკენ, თავის უცხო სანახაობით მოლოდინს გადააჭარბა, - წერს დავით კლდიაშვილი,- საარაკო რამ იყო მეფის გართობა საბადურის მთაზე, ისეთი რამ უნახავი, რომ ჩრდილოეთის ყინულიც გალხვა და ერთი ბეწო აკლდა, რომ ლეკური ეთამაშნა. წინანდალში ხომ მოხერხებულად შედგენილ გასართობებს დასასრული არა ჰქონდა“.

გ.გ.: - ასე რომ, დიდიან-პატარიანად ყველა ცდილობს თავი მოაწონოს, ასიამოვნოს იმპერატორს.

თ.ხ.: ჰო, ასეა, და აი, ჩვენც თანდათან მივუახლოვდით მთავარ სათქმელს.

დავით კლდიაშვილი შემდგომში, ოციან წლებში, თვითონ ყოფილა წინანდალში და იქ უამბიათ, მისთვის ერთი უცნაური ამბავი: დღევანდელი სახალხო მამულის ეზოში შესასვლელი ჭიშკრის წინ კედელი იყო აშენებულიო, იხსენებს მწერალი. „არაფერს ეს კედელი არ იფარავდა. ვიკითხე, რა საჭირო იყო ასეთი უსარგებლო კედლის აშენება და მითხრეს რომ, როცა ალექსანდრე მესამე მოდიოდაო, ამ ჭიშკრის პირდაპირ ერთი გლეხის ქოხი იდგაო და სასახლის აივნიდან თვალში ეცემოდა აივანზე მყოფსაო. გლეხს შეაძლიეს ფული და წინადადება მისცეს, რომ აყრილიყო და თავისი ქოხი იქაურობისათვის მოეშორებინა, მაგრამ გლეხი ვერასგზით ვერ დაეყოლიებინათ - აქ გავიზარდე, აქ უნდა მოვკვდეო, - ამბობდა გლეხი. ვერ აყარეს ვერც მუქარით და მამულის გამგემ ქოხს წინ კედელი აუშენა, რომ სასახლის ბალკონზე მოსეირნე მეფე-დედოფალს არ შეჩხირებოდათ თვალში გლეხის ჩაფეხვილი ქოხი“.

არ ვიცი, არისღა თუ არა დღეს ის კედელი, მაგრამ დავით კლდიაშვილს კი თავისი თვალით უნახავს, თანაც, როგორც ეტყობა, გასაბჭოების შემდეგ - დღევანდელი სახალხო მამულის ეზოშიო,- ამბობს.

გ.გ.: მრავალმხრივ საინტერესო ფაქტია, ბატონო თამაზ; აი, ეს მომწონს, ერთიანად არ მოუწმენდია სინდისი იმ დალოცვილ გლეხკაცს თავისი ჩიტირეკია თანამემამულეებისათვის!

თ.ხ.: ჰო, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ამბავი იმ წინანდელი გლეხის ახირებულობით, უაზრო ჯიუტობითა და მიდეგაობით კი არ აიხსნება, არამედ გაღიზიანებული კაცის რეაქციაა, თავისებური პროტესტია პრაპორშჩიკობის თავგადაკლულად მოწადინე თანამემამულეთა საქციელისადმი.*

გ.გ.: უფრო მეტიც, ზნეობრივი მაგალითია, როგორც თანამედროვეთათვის, ასევე მომავალი თაობებისათვის. ეგეთი პიროვნება, კისერზე რა მძიმე უღელიც უნდა ედგას, ხომ უფრო თავისუფალია, ვიდრე საუცხოო თოფ-იარაღში ჩამჯდარი და ბედაურზე ამხედრებული პრაპორჩიკობის მაძიებელი. ასეთი კაცი საკუთარ ნებას ბატონად ხომ არც ფულსა და ქონებას დაუყენებს, არც შიშსა და მუქარას დაემორჩილება, ვერც ფერად-ფერადი დაპირებებით აცდუნებენ და ყველა ვითარებაში თავისი თავის უფალი იქნება. აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინ მეტი სამართალი და მეტი თავისუფლება ყოფილა, ვიდრე მის მომდევნო ხანაში.

თ.ხ.: ახლა, მთლად ერთი ფაქტის მიხედვითაც ნუ შევაფასებთ დროების სამართლიანობა-უსამართლობას. აქ პიროვნებაა უფრო მთავარი, თორემ, შორს რომ არ წავიდეთ, იგივე დავით კლდიაშვილი იგონებს: ერთი ნაყმევი, სიმონა აშოლტია, ცხოვრობდაო ჩვენს ოჯახში. სიმონას ვაჟი არა ჰყოლია, სამი ქალიშვილი ჰყავდა, სამივე გათხოვილი, მაგრამ ვერცერთს ვერ შეჰგუებია და კლდიაშვილების ოჯახში უცხოვრია, იქვე გარდაცვლილა ოთხმოცდაათ წელს მიტანებული.

დიდი ნაწვალები ჰყავდა საწყალი სიმონა ბაბუაჩემსო, იგონებს დავითი, სამივე მისი ქალიშვილი გატანებული ჰყავდა

* პროფ. გიორგი ჯავახიშვილმა მოგვაწოდა ცნობა, რომ ის წინანდელი გლეხი იყო ივანე ზურაბიშვილი.

მზითვად თავისი ქალიშვილებისათვის. ვერ მოითმინა ამაყმა სიმონამ ასეთი შეუბრალებლობა და რადგან ახლოს ვერ ელირსა შებრალებას, გასწია მეფის მოადგილესთან საჩივლელად. იმდენი მოახერხა, რომ ბორჯომში მყოფ ვორონცოვს ჩაუვარდა ფეხებში და მოუყვა თავის გამწარებას. ვორონცოვმა შეიბრალა სიმონა და ბრძანება გაუგზავნა ქუთაისის გუბერნატორს, სიმონასათვის დაებრუნებინათ მისი ქალიშვილები. ქალიშვილები კი დაიბრუნა, მაგრამ უფროსები ძალიან შემოუწყრნენ: - წამავლო ხელი ბოროჯომიდან დაბრუნებულს, - გამწარებული იტყოდა ხოლმე სიმონა, - მაზრის უფროსმა, მიზანდარი იყო, და ციხეში შემაგდო - რავა შეაწუხე მეფის მოადგილეო. შენისთანა კაცისაგან რას არ უნდა მოელოდეო. ორ თვემდე ვყავდი კარჩაკეტილშიო".

გ.გ.: ესე იგი, იმხანად სამართლიანობა თითქოს ყოფილა კიდეც და არცა ყოფილა, არა? მაგრამ იმაზე მეტი თავისუფლება კი არსებულა, ვიდრე ჩვენ მოვესწარით - თუ კაცი ივარგებდა, თავისას აუცილებლად გაიტანდა, როგორც ის წინანდელელი გლეხი. რა სამწუხაროა, რომ იმისი გვარ-სახელი არ შემონახულა.

თ.ხ.: ჰო, თავისუფლება ეტყობა, არც ქონებაზე ჰკიდია, არც სოციალურ ყოფასა და თანამდებობაზე, არც საზოგადოებრივ წყობილებაზე. ეს სულის მდგომარეობა უფროა. ვინ დამაჯერებს, რომ ცოტნე დადიანი, თავის საერისთავოში მორჭმული მჯდარი, უფრო თავისუფალი იქნებოდა, ვიდრე საკუთარი ნებით ხელფეხშებორკილი და თაფლწასმული, თანამოძმეების და თანამოაზრეთა გვერდით თაკარა მზის ქვეშ მწოლი.

გ.გ.: მაშინ სინდისის ქენჯნა იქნებოდა მთელი სიცოცხლე მისი ბატონი და ენდომებოდა თუ არა, ის სინდისის ქენჯნა განსაზღვრავდა ცოტნე დადიანის ფიქრსაც, საქნარსაც და საკეთებელსაც.

თ.ხ.: თავისუფალი ვერ იქნებოდა და რა მნიშვნელობა აქვს ვინ გიზის ბატონად, ვინ ან რა გმართავს - ადამიანი, ქონება, თანამდებობა, წოდება, ნარკოტიკი, სასმელი, სინდისის ქენჯნა, თუ სხვა რამე. თავისუფალი ვერასოდეს იქნები, თუ მართული ხარ.

გ.გ.: ამასთან დაკავშირებით, ერთ ამბავს გავიხსენებ, ისიც ალექსანდრე მესამის ჩამოსვლას ეხება და იმიტომ მომაგონდა, ცნობილ ენათმეცნიერს, ქეთევან ძოწენიძეს, ჩაუწერია საჩხერის რაიონის სოფელ ბაჯითში ეს დიალექტური ტექსტი: „მეფე ალექსანდრე ჩამევიდა ქუთაისში. ჩვენ პატარა მოწაფეები ვიყავით და წაგვიყვანეს. გაბრიელი (ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე იგულისხმება გ.გ.) შემოსილი ხვთებოდა.

ეპისკოპოსი გაბრიელი

მეფეს მოსვლა დააგვიანდა, გაბრიელი გაბრაზდა და გეიძრო შესამოსი. ერთი საათის შემდეგ მოვიდა მეფეც. გაბრიელმა მიიღო ტაძარში მეფე და უსაყვედურა, რატომ დაიგვიანა, რატომ შოუხვია გუბერნატორთან ჩაიზე და რისთვინ პირველად არ მივიდა ეკლესიაში სალოცავათ. მეფემ ბოდიში მოიხადა... ვინ გაბედამდა სხვა ამას?! გახთილი იყო, ისე შეხვთა.- თავის დროზე რომ არ მოხვედი აქა, გახთილი იმიტო შექხვთიო. გხვთებოდი, როგორც წესი იყო და არ მოხვედიო“... იგივე ინფორმატორი საკმაო სიზუსტით ჰყვება გაბრიელის გარდაცვალების ამბავს და აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცნობა სარწმუნოა.

თ.ბ.: აგაშენებს ღმერთი, გიორგი, მშვენიერი მაგალითია! მეც მაგას ვგულისხმობდი, როცა ვამბობდი, თავისუფლება არც სიმდიდრეზეა დამოკიდებული, არც თანამდებობაზე, არც სოციალურ მდგომარეობასა და წარმომავლობაზე, წინანდალში თუ გლეხი გვაძლევს ზნეობრივ მაგალითს, ქუთაისში ეს სა-

სულიერო პირი, ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძეა... როგორც ვაჟა იტყვის: რომ არ მოკვდეს ლამაზი არსი ჩვენის კაცობისა...

გ.გ.: - რა ართმევს თავისუფლებას პიროვნებას ან რა ანიჭებს მას? ვაჟა-ფშაველასა და ყაზბეგის შემოქმედებაში ამის ბევრი საინტერესო მაგალითია... ნების, მოქმედების თავისუფლების შეზღუდვა თავისთავად ხელს უშლის ადამიანის შინაგანი ბუნების წარმოჩენას. ჯოყოლასა და ალუდა ქეთელაურის შინაგანი ბუნების, პიროვნების წარმოჩენა მოხდა სწორედ მას შემდეგ, რაც მათ თემის ადათ-წესებისაგან გაითავისუფლეს თავი, გაემიჯნენ მას.

თ.ხ.: ჰო, თუნდაც „მტერს მოვკლავ, მაინც არ მოვჭრი მარჯვენას მაგათ ჯაბრითა", ანდა „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა, მითამც მე ვერ ვუღალატებ..."

გ.გ.: დიახ, ნებისა თუ თავისუფლების შეზღუდვა ხელს უშლის პიროვნების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებების წარმოჩენას... ასე რომ, თავისუფლების შეზღუდვის ცალსახად შეფასება არ გამოვა.

ამ თვალსაზრისით, ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯაშია" საინტერესო ფაქტები: გაგი და სვიმონ ჩოფიკაშვილები, თავის დროზე, თემის ადათ-წესების მოთხოვნათა შემსრულებლები იყვნენ. იმ დროს სხვაგვარად ვერც შეძლებდნენ. თემი არც დიდს აპატიებს და არც პატარას თავისი წესებისადმი დაუმორჩილებლობას. მაგრამ საჭიროა, თავისუფლებას ზურგი რაღაცამ გაუმაგროს. მოვიდა ძალა - რუსეთი, რომელმაც თემის გავლენისაგან გაათავისუფლა გაგი ჩოფიკაშვილი და თავის მოქმედებაზე დაუსჯელობის განწყობა შეუქმნა. შედეგი ამ თავისუფლებისა? გაგის ავკაცობას ზღვარი არა აქვს!

თ.ხ.: თავისუფლებას, ამ შემთხვევაში, სიკეთე არ მოაქვს - სჯობს, ჯინი ბოთლში იყოს გამომწყვდეული და არა თავისუფალი, ერთი სიტყვით, პიროვნება ღირსი უნდა იყოს თავისუფლებისა.

გ.გ.: აი, დავუკვირდეთ: გაგი უკვე არად აგდებს თემის ადათ-წესებს, თავისუფალია მათგან, „დიდი ხელმწიფე-იმპერატორის სამსახურში" შესული აღშფოთებულია ელგუჯას

მოქმედებით. ადრე რას იზამდა? „უწინდელი დრო რომ ყოფილიყო, ამგვარი შემთხვევისათვის გაგი შეჰყრიდა თემობას, ბჭეებს ამოირჩევდა და თემის დებულებასა და გადაწყვეტილებას უნდა დამორჩილებოდა. მაგრამ ეხლა ხომ უწინდელი დრო აღარ იყო? თემობას დაეკარგა თავისი ძალა, ხალხის ნების ასრულება შეუძლებელი შექმნილიყო... გაგიც ერთი ამ ძალის მქონეთაგანი შეიქმნა...“

თ.ხ.: ჰო, მაგრამ გაგის თავისუფლებას თავისუფლებას ვერ დავარქმევთ, რადგან მოჩვენებითია. წინანდლელი გლეხისაგან განსხვავებით, ის ვერასოდეს იქნება საკუთარი ნების მატარებელი - ადრე თუ თემის ადათ-წესებს ემონებოდა, ახლა რუსის ძალას არის დამორჩილებული.

გ.გ.: ამიტომაც შეურაცხყოფს ასე გამწარებული თავის ადრინდელ მმართველს, არად აგდებს თემს. გავიხსენოთ, ელგუჯა ეუბნება: „რაც თემობის წყობილებაა, გადაგიხდი ურვადს და ჩამოგვეხსენ“. გაგი: „ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და თემიც“.

თ.ხ.: ეს თავისუფლება გაგის ღუპავს კიდეც, რადგან დაუმსახურებელი თავისუფლებაა, ის არ არის ღირსი ამ თავისუფლებისა.

გ.გ.: ჰო, თავისუფლება სვიმონ ჩოფიკაშვილსაც შესძინა რუსის სამსახურში ყოფნამ, მაგრამ მისმა შინაგანმა ბუნებამ არ მისცა ნება, ეს თავისუფლება ბოროტად გამოეყენებინა. ის იქამდეც თავისუფალი იყო, თავისუფალი დარჩა და სიკვდილითაც თავისუფალი კვდება...

თ.ხ.: რადგან, კიდევ ვიმეორებ, თავისუფლება ფიზიკური კი არა, სულის მდგომარეობაა.

გ.გ.: სულ ახლახან წერდა მიხეილ ქვლივიძე თავის მოგონებებში: „თავისუფლებაზე უკეთესი რა უნდა იყოს? მაგრამ „თავისუფალმა“, ანუ საკუთარი თავის უფალმა კაცმა შენს თავს ყველაფრის უფლება არ უნდა მისცე! როცა შეგიძლია მოიქცე ისე, როგორც გინდა, ცხრაჯერ უნდა გაზომო და ერთხელ გაჭრა! თავისუფლება - ყველაზე დიდი პასუხისმგებლობაა, შენი საკუთარი თავისა და სხვების წინაშეც! ქართვე-

ლებს კი გვიჭირს ამის გაგება, რადგან თავდაჯერებული ინდივიდუალისტები ვართ, „თავისუფლებასა“ და „თავგასულობას“ ხშირად ვერ ვასხვავებთ...“

თ.ხ.: ბატონო გიორგი, ამ თემაზე ჩვენამდეც იმდენი თქმულა და დაწერილა, რომ ასეულობით ტომი არ ეყოფა გამოსაცემად და მოწადინებულ კაცსაც წლობით შეუძლია საუბარი ამაზე...

გ.გ.: მაგრამ ჩვენ ისეთ სიღრმეებში ნუ შევალთ, საიდანაც გამოსვლა გაგვიჭირდება, არა? თანაც მიზანს ნუ ავცდებით, წინანდლელ გლეხს ნუ დავივიწყებთ.

თ.ხ.: გეთანხმებით, მაგრამ, თქვენი ნებართვით, ერთ განყენებულ კითხვას მაინც დავსვამ: ეგებ თავისუფლებასაც თავისი დრო აქვს და ნაადრევი ხილივით ამანაც იცის კბილის მოჭრა? გახსოვთ, ალბათ, ბისმარკის ნათქვამი: თავისუფლება ისეთი განცხრომაა, რის უფლებასაც ყველა ვერ მისცემს თავსო. ან შორს რატომ მივდივართ, განა ქართველი კაცი არ ამბობს: უდროო დროზე ტირილი მკვდარს ფეხებს გააქნევინებსო?

გ.გ.: ვერ მიგიხვდით რის თქმა გინდათ...

თ.ხ.: კარგი, კიდევ ერთ ავტორიტეტს მოვიხმობ. ამ ამონარიდს სტალინის მიერ სტახანოველთა თათბირზე წარმოთქმული სიტყვიდან ერთგან ფოიხტვანგერიც იმოწმებს: „...სამწუხაროდ, მარტოოდენ თავისუფლება არ არის საკმარისი. თუკი გვაკლია პური, თუკი გვაკლია კარაქი და ცხიმი, გვაკლია მანუფაქტურა და საცხოვრებელი ბინებიც გვიჭირს, მარტოოდენ თავისუფლებით შორს ვერ წახვალ. ძალზე ძნელია, ამხანაგებო, ისუნთქო მხოლოდ თავისუფლებით. რათა ვიცხოვროთ კარგად და ხალისიანად, აუცილებელია, რომ პოლიტიკური თავისუფლების სიკეთეს ემატებოდეს მატერიალური კეთილდღეობა“.

გ.გ.: სიმართლე გითხრათ, ჩვენს საუბარს ბევრი ვერაფერი შესძინა ამ ციტატებმა. საკუთარ თავს, საკუთარ ნათქვამს ხომ არ ეწინააღმდეგებით, თამაზ, როდესაც ასეთ კითხვას სვამთ? აკი ვამბობდით, თავისუფლება ფიზიკური კი არა, სულიერი მდგომარეობაა. როგორ შეიძლება დავუშვათ, რომ თავისუფ-



ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲐᲚᲘ. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ

ლებისათვის განსაკუთრებული დრო, ადგილი ან ვითარება არსებობდეს?

თ.ხ.: კეთილი და პატიოსანი, ბატონო გიორგი, მართალი ბრძანდებით და რაც სადავო არ არის, იმაზე არც ვიდავებ. ჩემდა თავად, ვინ სულელმა თქვას, რომ ის დრო სჯობდა, როცა ყველას პირში ბურთი გვქონდა ჩაჩრილი და, სიმართლის დასაცავად, სიტყვის დაძვრას ვერავინ ბედავდა, მაგრამ მაშინ ნათქვამ სიმართლეს სულ სხვა ძალა ჰქონდა. ახლა? რა მოგვიტანა სიტყვის თავისუფლებამ? რამდენიც გინდა იქადაგე, ილაპარაკე, წერე - არავინ ყურს არავის უგდებს, თავისუფლებაა. თქვენ თქვით, რაც გსურთ - ჩვენ ვაკეთებთ, რაც ჩვენ გვინდაო! ასეთმა თავისუფლებამ სიტყვა გააუფასურა, ფასი დაუკარგა, აღარაფრად გვიღირს...

გ.გ.: ადვილი გასაგებია თქვენი გაღიზიანება. მაგრამ ეს ხომ დროებითია და ხელოვნურად არის გამოწვეული. დღეს ვიღაცებისთვის არის ხელსაყრელი თავისუფალი სიტყვის გაუფასურება... თუმცა, სხვა სფეროში ნუ გადავიჭრებით. ერთს კი გეტყვით, ვისაც გინდა ვკითხოთ, რა დონის სოციოლოგიური

ანდა ინტერაქტიური გამოკითხვაც გინდა ჩავატაროთ, ჩვენი საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელი გიპასუხებთ, რომ სიტყვის თავისუფლება ნებისმიერ დროში აუცილებელია, თითოეულ ჩვენგანს სჭირდება, მთელ ხალხს სჭირდება ნორმალური არსებობისათვის.

თ.ხ.: გიშველის ღმერთი! ბრმავ, რასა სჩივი და - ორთავ თვალსაო. თუკი სიტყვას თავისი ფასი დაედება, თუკი მართალ სიტყვას ანგარიშს გაუწევენ, მეც ეგ არ მინდა?

გ.გ.: თქვენ გამონაკლისი არა ხართ, ეგ ყველას გვინდა. ყოველ შემთხვევაში - უმეტესობას, მაგრამ ამას რომ მივაღწიოთ, საქმის კეთებაა საჭირო, რასაც თავს ვარიდებთ - სხვათა ხელით გვინდა ნარის გლეჯა. ის წინანდლელი გლეხი, ეპისკოპოსი გაბრიელი, ცოტნე დადიანი და მათი მსგავსნი არ უცდიდნენ, ჩვენი გასაკეთებელი სხვებმა გააკეთონო.

თ.ხ.: ამჯერადაც დაგეთანხმებით. ერთს დავამატებ მხოლოდ: რაც მეტია პიროვნულად თავისუფალი ადამიანი ქვეყანაში, აი, ისეთები, როგორიც ის წინანდლელი გლეხი იყო, მით უფრო თავისუფალია სახელმწიფო. უამისოდ, ყოველგვარი დამოუკიდებლობა ფიქციაა.

გ.გ.: აქ მეც გეთანხმებით. უნდა ვეცადოთ, თითოეული ჩვენგანი თავისუფალი იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი საშობლო იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი.

თ.ხ.: ამით დავამთავროთ.

მეოცე საუკუნე და ქართული უნივერსიტეტი

1918 წელი. დავით აღმაშენებლის ხსენების დღე. გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი.

გიორგი გოგოლაშვილი: ბატონებო, დღეს გავიხსენებთ ჩვენი კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და, ზოგადად, ერის ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას: 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი!...

თამაზ ხმალაძე: დიახ, და ეს მოხდა ძველი სტილით 26 იანვარს, ახალი სტილით - 8 თებერვალს; თუმცა, მაშინ დრო მხოლოდ ერთი სტილით აითვლებოდა.

გგ: ჩვენ გვაქვს ისეთი ძეგლები, რომლებითაც საუკუნე იწონებს თავს, უწინარესად: **XI საუკუნე და სვეტიცხოველი, XII საუკუნე და გელათი...** ამ რიგში, ჩემი ღრმა რწმენით, უნდა ჩავაყენოთ **XX საუკუნე** და **ქართული უნივერსიტეტი...**

დიახ, ქართული უნივერსიტეტი. ამას საინტერესო ისტო-

რია აქვს. იმ დროისათვის (ეს 1917 წელია) რუსეთის იმპერიაში არსებობდა კანონი კერძო, თავისუფალი სასწავლებლების, კლასებისა და კურსების შექმნის შესახებ. როცა დაიწყო კონკრეტულად ფიქრი და ზრუნვა ქართული უნივერსიტეტის შექმნაზე, უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების წესდების პროექტში „თავისუფალი უნივერსიტეტი" ჩაიწერა. 1917 წლის 22 ივნისის სხდომაზე ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, სიტყვა „თავისუფალი" შეიცვალა სიტყვით „ქართული";

თ.ხ.: უნივერსიტეტს ეწოდა „ქართული უნივერსიტეტი", ხოლო საზოგადოებას - „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება". მეტად საყურადღებოა ივანე ჯავახიშვილის არგუმენტი ამ ცვლილების თაობაზე: სიტყვა თავისუფალი კერძოობით ხასიათს აძლევს ამ დაწესებულებასო.

გ.გ.: მიზანი კი იყო არა კერძოობითი, არამედ საერთოეროვნული, ზოგადქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსება.

თ.ხ.: ბევრი თქმულა, დაწერილა ამის შესახებ. უპირველესად, პროფ. სერგო ჯორბენაძის ღვაწლი უნდა აღინიშნოს. მან ორი შესანიშნავი წიგნი დაგვიტოვა - „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია" და „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა". ძნელია ეპითეტების მოძებნა, განსაკუთრებით - ამ უკანასკნელისათვის, რომანივით იკითხება...

გ.გ.: მრავალი მოგონება, წერილი თუ სხვა სახის პუბლიკაცია არსებობს, ამ მოვლენას რომ ასახავს. თითქმის ყველა-

ფერს გადავხედეთ, კიდევ ერთხელ გავიაზრეთ და საუკუნის დასაწყისში მომხდარი ფაქტის მნიშვნელობის კიდევ ერთხელ გააზრება ვცადეთ საუკუნის მიწურულს.

თ.ხ.: ბატონო გიორგი, მოდით, კიდევ ერთხელ, ასე დავსვათ საკითხი: უნივერსიტეტის გახსნის დღედ რატომ შეირჩა 26 იანვარი - დავით აღმაშენებლის ხსენების დღე? შემთხვევითი იყო ეს ფაქტი თუ კანონზომიერი?

გ.გ.: თავად საკითხი, როდის გახსნილიყო უნივერსიტეტი, როდის დაწყებულიყო სწავლა, თითქმის ბოლომდე აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. რა თქმა უნდა, ამის გათვლა, ამის გაანგარიშება თავიდან, არ იყო იოლი. 1917 წლის 6 დეკემბერს გაიმართა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობისა და საფინანსო კომისიის გაერთიანებული სხდომა. ივანე ჯავახიშვილის მოხსენების მიხედვით იკარაუდებოდა, რომ უნივერსიტეტი იანვარში გაიხსნებოდა. მისი აზრით, „ჯერჯერობით საფილოლოგო ფაკულტეტი უნდა გაიხსნას, რაც შედარებით უფრო ადვილია და იაფიც, მერე საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და ამის შემდეგ - სამკურნალო ფაკულტეტი“...

თ.ხ.: ცოტა ხნით შევწყვიტოთ ამ ფაქტზე საუბარი და გავიხსენოთ, რა დროა, რა ვითარებაა იმჟამად საქართველოში: 1917 წლის დეკემბერია. რუსეთში ოქტომბრის რევოლუცია ჩავლილია. საქართველოში ეროვნული საბჭო მოქმედებს. უმძიმესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციაა; სახელმწიფოებრივი უშიშროების პრობლემაც დგას; სამხედრო ვითარება ძალზე დაძაბულია.

გ.გ.: უნივერსიტეტის საზოგადოებამ ეროვნული საბჭოსგან მატერიალური დახმარება ვერ მიიღო. მატერიალურად არც საზოგადოების მდგომარეობაა სახარბიელო... და, ივანე ჯავახიშვილის პრინციპული მოთხოვნით, უნივერსიტეტის გახსნა 1918 წლის იანვარში უნდა მოხდეს!...

თ.ხ.: თუმცა, 1917 წლის 3 დეკემბრის თათბირზე შექმნილი მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, გამოითქვა აზრი, უნივერსიტეტი 1918 წლის სექტემბერში გახსნილიყო; ყველა

დაბრკოლება, რაც იმჟამად არსებობდა, თავიდან იქნებოდა აცილებული. სერგო ჯორბენაძის აზრით, „უნივერსიტეტის საზოგადოება ამით, არსებითად, თვითდაშლას აწერდა ხელს“.

გ.ბ.: ბატონ სერგოს - პროფესიონალი იურისტის - ეს შეფასება ათეული წლების შემდგომი ანალიზის შედეგია... ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს დიდი ივანე ჯავახიშვილის გენიალობას, მის შორსმჭვრეტელობას, მოვლენების შეფასების უტყუარ ალღოს. როგორც ვთქვით, იმ შეკრებას ესწრებოდნენ ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის წევრები (კ. აფხაზი, ი. ლორთქიფანიძე, ე. თაყაიშვილი, ვ. ყიფიანი), საფინანსო კომისიის წევრები (ანასტ. წერეთელი, ანასტ. ვირსალაძე, ნინო ნაკაშიძე..) და უნივერსიტეტის კოლეგიის წარმომადგენლები - პეტრე მელიქიშვილი და ივანე ჯავახიშვილი; გამგეობის მდივანი ილია ზურაბიშვილი. ამას იმიტომაც ჩამოვთვლი, რომ თუ ჯავახიშვილის აზრმა ვერ გაიმარჯვა (გადაწყდა, უნივერსიტეტი სექტემბერში გახსნილიყო), ეს არ ნიშნავს, რომ, დანარჩენები ეროვნულ საქმეს დაუპირისპირდნენ, ასე ვთქვათ, მაგრამ დიდი ივანე ხედავდა და გრძნობდა იმას, რასაც ვერ ხედავდნენ სხვები...

ამ პერიოდისათვის ივარაუდებოდა, რომ უნივერსიტეტი უნდა გახსნილიყო 1918 წლის 14 იანვარს. მოვლენების განვითარებამ ეს თარიღი დააზუსტა: 1918 წლის 10 იანვრის პროფესორთა კოლეგიის სხდომაზე გადაწყდა: უნივერსიტეტი გაიხსნებოდა 1918 წლის 26 იანვარს - დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს.

თ.ხ.: და გავიხსენოთ ჩვენი კითხვა: რა სიმბოლური კავშირი უნდა დავინახოთ ამ დამთხვევაში, ის ხომ არა, რომ საუნივერსიტეტო განათლების ისტორიას საქართველოში დავით აღმაშენებელმა დაუდო სათავე გელათის აკადემიის გახსნით?

გ.ბ.: უმჯობესია, ამჯერად, ბატონ როინ მეტრეველს მოვუსმინოთ: „დავით აღმაშენებლის მოსახსენიებელი დღე შემთხვევით არ შეარჩია უნივერსიტეტის საზეიმო გახსნის დღეზე ივანე ჯავახიშვილმა. საქმე ის არის, რომ განათლებამ, კულტურამ დავით აღმაშენებლის პერიოდში მიაღწია ზენიტს: მწვერ-

ვალი მისი შემოქმედებისა იყო გელათის აშენება და გელათის უნივერსიტეტის დაარსება...“ ჩვენი კითხვის პასუხიც არის ამ ამონარიდში, ზუსტად არის ახსნილი და დახასიათებული მოვლენა, ჩავიკითხოთ ბოლომდე: „მე შემთხვევით არ ვამბობ უნივერსიტეტს,- განაგრძობს ბ-ნი როინ მეტრეველი, - აკადემია, ჩვენი საუკუნის შუა ხანებში, მკვლევარებმა უწოდეს მას; ეს პირობითი სახელია. ის იყო ამ ტიპის უმაღლესი დაწესებულება, როგორც იმდროინდელ მსოფლიოში არსებობდა, ვთქვათ, საფრანგეთში, იტალიაში, როგორიც იყო, დავუშვათ, იმდროინდელი სორბონის, სალამანკისა ან ბოლონიის უნივერსიტეტები“.

გელათის აკადემია

თ.ხ.: ბატონმა როინმა ეს აზრი თქვენს ჟურნალში გამოთქვა. ამ დიალოგს საინტერესო სათაური ჰქონდა: „ფუძედ დაედო გელათი“. იგულისხმება, რომ თბილისის უნივერსიტეტი ცარიელ ნიადაგზე არ შექმნილა, მისი ფუძე, შეიძლება ითქვას, XII საუკუნის გელათის უნივერსიტეტი იყო... და სწორედ ამ კავშირის სიმბოლური მინიშნებაა, რომ ქართული უნივერსიტეტის გახსნის დღედ 26 იანვარი შეირჩა, გელათის უნივერსიტეტის მესაძირკვლის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღე!

გ.გ.: ამ ფაქტით ქართული უნივერსიტეტის მიმართულებაც განისაზღვრა: ის უნდა ყოფილიყო ღირსეული მემკვიდრე წინაპარი უნივერსიტეტისა, ლოგიკური გაგრძელება ბედის უკულმართობით შეწყვეტილი საუნივერსიტეტო განათლებისა.

თ.ხ.: და რადგან მივიჩნევთ, რომ 1918 წლის 26 იანვარს

აღდგა საუკუნეების წინათ შეწყვეტილი დიდი ტრადიცია. იქნებ ისიც შეგვეხსენებინა მკითხველისთვის, რას წარმოადგენდა გელათის აკადემია. კვლავ როინ მეტრეველს მოვუსმინოთ: „გელათში იყო სწავლება კვადრიუმისა და ტრივიუმის წესით, რაც სავსებთი შეესაბამებოდა უნივერსიტეტს. დავით აღმაშენებლის მიზანიც ეს იყო, რომ საერთაშორისო სტანდარტების დონის სასწავლებელი შეექმნა“.

გ.გ.: რადგან ფუძე თბილისის უნივერსიტეტისა გელათი იყო, ისიც განვმარტოთ, რას გულისხმობდა სწავლება ტრივიუმისა და კვადრიუმის წესით: სასწავლო პროგრამაში შეტანილი იყო ტრივიუმის ციკლის საგნები - 1. „ქვეყნის საზომლოდ“ - ანუ გეომეტრია. 2. „რიცხუნი“ - ანუ არითმეტიკა. 3. - „სამუსოდ“ - ანუ მუსიკა; და კვადრიუმის ციკლის საგნები: 1. ფილოსოფია სამი სახისა -“ საქმითი, მხედველობითი და განმსიტყველობითი“, 2. რიტორიკა სამი სახის- „თანამზრახველობისა, მეპაექრობისა და დღესასწაულობისა“; 3. გრამატიკა; 4. ასტრონომია - „ვარსკვლავთმრიცხველობა“ . ასეთი იყო ძირითადი სასწავლო პროგრამა გელათის უნივერსიტეტისა.

თ.ხ.: მართლაც, უაღრესად საინტერესო პროგრამაა.... თავის დროზევე იცოდნენ მისი ფასი... არ იყო შემთხვევითი, რომ დავითის ისტორიკოსი წერდა გელათის შესახებ: „აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალემად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“. ე.ი. გელათი სხვა ათენად და მეორე იერუსალიმად მოევლინა ქვეყანასო;

გ.გ.: ძალზე საინტერესოდ მესახება ბ-ნი როინ მეტრეველის კომენტარი მემატიანის ამ ცნობაზეც: „მოგეხსენებათ, ათენი სიბრძნის ცენტრად იყო ცნობილი, ხოლო იერუსალიმი - რწმენისა. ე.ი. მემატიანე ხაზს უსვამს იმას, რომ გელათი უნდა ყოფილიყო ათენისა და იერუსალიმის ერთობლიობა - სიბრძნისა და რწმენის ერთობლიობა...“ და თუ ვინმეს ესმოდა მნიშვნელობა გელათისა, ესმოდა ივანე ჯავახიშვილსაც.

თ.ხ.: ამიტომაც ქართული უნივერსიტეტი, როგორც მემკვიდრე იმ უნივერსიტეტისა, სიბრძნისა და რწმენის ერთობლიობა რომ იყო, სწორედ დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა...

გ.გ.: და ქართული უნივერსიტეტის მიზანიც ასე ესახებოდა მის დამაარსებელს - ცოდნისა და რწმენის ერთობლიობა უნდა ყოფილიყო ჩვენი უნივერსიტეტი.

თ.ხ.: რა ხდება გელათის აკადემიიდან ქართულ უნივერსიტეტამდე? ანდა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, 1918 წლამდე? როდის ჩაისახა იდეა უნივერსიტეტის დაარსებისა და როდის მიეცა რეალური სახე ამ იდეას...

გ.გ.: ძნელია ამისთვის სრულად თვალის მიდევნება. ბევრი რამ, ეტყობა, ჟამთა სვლამ შეიწირა. მრავალი საინტერესო ცნობაც შემოგვრჩა. თუნდაც ის, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ერეკლეს დროს, მეტად აქტიურად დაისვა უმაღლესი განათლების ცენტრების აღდგენა-განახლების საკითხი. როგორც მიუთითებენ, შემუშავდა უმაღლესი სკოლის შექმნის კონკრეტული პროექტები, შეიქმნა ახალი ლიტერატურულ-საგანმანათლებლო კერები, ფილოსოფიური სემინარები...

თ.ხ.: ისიც ხომ გვახსოვს, ცნობილმა მოღვაწემ, იოანე ბაგრატიონმა გიორგი მეთორმეტის ძემ, 1799 წელს მამამისს, ქართლ-კახეთის მეფეს, მოხსენება რომ წარუდგინა სამეფოს რეფორმის შესახებ; ეს პროექტი ქართლ-კახეთში სამი უმაღლესი სასწავლებლის გახსნას ვარაუდობდა - თბილისში, გორსა და თელავში...

გ.გ.: თუმცა, ისევ ჩვენი ისტორიის ავბედობის გამო, ამ პროექტს ასრულება არ ეწერა და დროებით მიიძინა იდეამ ქართული უმაღლესი განათლების თაობაზე... მაგრამ დროებით... XIX საუკუნეში პირველად ეს იდეა 1832 წლის შეთქმულებმა გააცოცხლეს; მათ დასვეს თბილისში უნივერსიტეტის გახსნის საკითხი...

თ.ხ.: საოცარი ფაქტია, რუსეთის იმპერია ყოველნაირად ცდილობს, საფუძველი გამოაცალოს ამ იდეას. ქართველმა მოწინავე საზოგადოებამ იცის, რომ ქვეყნის გადარჩენის ერთ-ერთი გზა განათლების გზაა. ეროვნული განათლების სისტემა უნდა შეიქმნას, უმაღლესი განათლების ჩათვლით...

გ.გ.: 32 წლის შეთქმულთა იდეას განხორციელება არ ეწერა.... ამ იდეამ ახალი ძალითა და ენერგიით 60-იან წლებში

იფეთქა. ილია ჭავჭავაძის თაობა დაბეჯითებით მოითხოვს თბილისში უნივერსიტეტის დაარსებას. ეს გახდა კიდეც მიზეზი „მამათა და შვილთა ბრძოლის“ ახალი ეტაპის დასაწყისისა.

თ.ხ.: მკითხველს შევახსენებთ, 1871 წელს თბილისში იმპერატორი რომ ჩამოვიდა... ახალი თაობის პრინციპული მოთხოვნა თბილისში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ ძველმა თაობამ არ გაიზიარა და ამას ურთიერთობის გამწვავება მოჰყვა თაობათა შორის (გასაკვირია, მაგრამ ამ დროს უნივერსიტეტის გახსნის მოწინააღმდეგენი ისინი არიან, ვინც 32 წელს მოითხოვდა მის გახსნას) ძირითადი მოტივი იმპერიის იდეოლოგებისა ის იყო, რომ უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის ქვეყანა მოუმზადებელიაო...

გ.გ.: ცნობილია ილიას პასუხი ამ არგუმენტის გასაბათილებლად: „ახლა ვთქვათ, რომ ჩვენი ხალხი, ვითომ, მართლაც, მოუმზადებელია. მაშ, ვინც მოუმზადებელია, თავის დღეში აღარ უნდა მომზადდეს? ხალხს რა ამზადებს? სწავლა, ვარჯიშობა, გამოცდილება. იმ საქმეში ჩაყენება, რისთვისაც მომზადება საჭიროა. კაცს ხელფეხს ვუკრავთ და ვეუბნებით კი ჭიდილი ისწავლეო“.

თ.ხ.: სჭირდება კი იმპერიას განათლებული, მომზადებული პროვინციები?

გ.გ.: კარგად იცის რუსმა: რასაც ილია ამბობს - „სწავლა, ვარჯიშობა, გამოცდილება ამზადებს ხალხსო“. სწორედ ნასწავლი, გამოცდილი, მომზადებული „ინოროდცები“ არ სჭირდება იმპერიას. მას კარგად გათვლილი ვერაგული, იმპერიული ეროვნული პოლიტიკა აქვს.

თ.ხ.: დიახ, იცის რუსმა განათლების მნიშვნელობა და ფასი. ამიტომაც რუსეთში აფართოებს უმაღლეს სასწავლებელთა ქსელს. 1801 წლამდე იქ მხოლოდ ერთი უნივერსიტეტია - მოსკოვის.

გ.გ.: რომლის დამაარსებელთა შორის ვახუშტი ბაგრატიონიც არის!

თ.ხ.: ასეა... და 1802-1834 წლებში ექვსი უნივერსიტეტ

გაიხსნა - იურიევის, ყაზანის, ვილნიუსის, ხარკოვის, პეტერბურგის, კიევის...

გ.გ.: გავხაზავთ, ეს არის რუსული უმაღლესი სასწავლებლები. რუსეთში უნივერსიტეტი მიაჩნიათ ბუნტის მთავარ კერად. 1830-31 წლებში, ლიტვის აჯანყების შემდეგ, იმპერატორის განკარგულებით, დაიხურა ვილნიუსის „მეამბოხე" უნივერსიტეტი. მიაჩნიათ, რომ „ინოროდცებს" არ სჭირდებათ უმაღლესი სასწავლებლები. ყოველ ბუნტში „ინოროდცები" არიან აქტიურნი და ამიტომ რუსეთის უნივერსიტეტებში შეზღუდულია მათი მიღება...

თ.ხ.: ვილნიუსის უნივერსიტეტის დახურვა სამწუხარო ფაქტად აღიქვეს საქართველოშიც, ეს იყო რუსეთის დარტყმა „ინოროდცების" საუნივერსიტეტო განათლების სურვილზე. ამაში ქართველი მოღვაწეები თავიანთი მიზნების საწინააღმდეგო საქმეს ხედავდნენ, მათ ოცნებას რეალური საფუძველი ეცლებოდა.

გ.გ.: სწორედ ამიტომ გაცხოველდა აზრი ქართული უნივერსიტეტის შექმნისა 60-70-იან წლებში; სწორედ ამიტომ წააწყდა ის დიდ წინააღმდეგობას.

თ.ხ.: საუბედუროდ ჩვენდა, ამ საქმეში ქართველების ხელიც ერია. ილიას „გამოცანები" და „კიდევ გამოცანები" გვახსოვს...

გ.გ.: საუნივერსიტეტო იდეის წინააღმდეგ გამოსვლა ქვეყნისა და ქვეყნის ბედის ფეხზე დაკიდებად მიიჩნია ილიამ და არ შეუშინდა შინაური მტრების რისხვას.

თ.ხ.: ამ დღიდან, ფაქტობრივ, ქართული უნივერსიტეტის დაარსების იდეას აღარ მიუძინია.

გ.გ.: ისიც გავიხსენოთ, როცა ილიამ 1861 წელს ერს შეახსენა, მამაპათაგან სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩაო: მამული, ენა და სარწმუნოებაო, იაკობ გოგებაშვილმა ამ ტრიადას ეროვნული სკოლა დაუმატა და ოთხივე ერთად ეროვნულობის ბურჯად გამოაცხადა.

თ.ხ.: ჩვენი ეროვნულობა სწორედ ამ ოთხ ბურჯს ემყარება და მათს სიმყარეზეა დამოკიდებული ჩვენი ეროვნულობის სიმყარეცო...

გ.გ.: დიახ, მზადდება თეორიული და პრაქტიკული საფუძველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის. 1881 წელს ქართველ მოღვაწეთა ინიციატივით თბილისში გაიმართა რუსეთის არქეოლოგთა მე-5 ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ რუსეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მოღვაწე ქართველი მეცნიერები, ასევე - თბილისში მომუშავე მკვლევარებიც. ქართული საზოგადოებრიობა ამ ყრილობას უდიდესი ინტერესით შეხვდა. ქართველმა მოღვაწეებმა ყველაფერი იღონეს, რომ ეთქვათ, ეს ყრილობა თავისი მნიშვნელობით, შედეგებით სხვებისგან განსხვავებული იყოო. ეს ოფიციალურად გაცხადდა.

თ.ხ.: წინა ყრილობებთან შედარებით, მე-5 ყრილობას მონაწილეთა რეკორდული რაოდენობა ესწრებოდაო - ამასაც ამბობდნენ. წინა ყრილობები კიევსა და ყაზანში გაიმართა.

გ.გ.: ილია ჭავჭავაძემ ეს ფაქტიც საუნივერსიტეტო იდეის პროპაგანდისათვის გამოიყენა. აღნიშნავდა, რომ საუნივერსიტეტო ქალაქებში არ იყო ისეთი დაინტერესება, როგორც თბილისშიო.

თ.ხ.: იმპერიის მესვეურნი არათუ ნებას აძლევენ ეროვნული უნივერსიტეტის გახსნისა, არამედ, მაქსიმალურად ზღუდავენ რუსეთის უნივერსიტეტებში მათი სწავლის შესაძლებლობას, მიაჩნიათ, რომ საუნივერსიტეტო ბუნტის დროს „ინოროდცების" აქტიურობა აშკარა იყო.

გ.გ.: სხვათა შორის, კავკასიელი სტუდენტები ცენტრალური უნივერსიტეტებისათვის რომ ჩამოეშორებინათ, გამოითქვა ის აზრიც, რომ ვარშავაში პოლონელთათვის, ხოლო თბილისში ქართველებისა და სომხებისათვის გახსნილიყო უნივერსიტეტი... ეს საუკუნის მიწურულს ითქვა, მაგრამ „დროზე მიხვდნენ", რომ იმპერიისთვის ეს ნაბიჯი გაცილებით საშიში იქნებოდა და საკითხზე საუბარი შეწყდა.

თ.ხ.: ისიც ვთქვათ, რა ნებართვაზე იყო საუბარი: ეროვნულ უნივერსიტეტს ისინი არ ცნობდნენ. თვით უკრაინაში, პოლონეთსა თუ ესტონეთში არსებული უნივერსიტეტები რუსული იყო, არავითარი ეროვნული!

გ.გ.: ქართველთა ოცნება კი ყოველთვის ქართული უნივერსიტეტი იყო და ეს იდეა ცოცხლობს და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ - ფინიშისაკენ.

თ.ხ.: ფინიში კი ჯერ შორს იყო. 1918 წლის 26 იანვარია ეს ფინიში...

გ.გ.: ჯერ ილიას პერიოდია და ფინიშამდე მისი გზაა. ილია არ იყო ის კაცი, რომ მისთვის დაბრკოლებებს აზრი შეეცვლევინებინა. ისევ ს. ჯორბენაძეს დავიმოწმებთ: ილია და მისი თანამოაზრენი, „ანოყიერებდნენ იმ ნიადაგს, რომელზეც ხელსაყრელ მომენტში უნივერსიტეტი უნდა აღმოცენებულიყო“.

თ.ხ.: სწორედ ამგვარ ნიადაგად უნდა მივიჩნიოთ მაშინდელ თბილისში ყველაზე დიდი შენობის აგების იდეა; სათავადაზნაურო გიმნაზიაზე მოგახსენებთ, რომელიც იმთავითვე მომავალი უნივერსიტეტის შენობად იქნა ჩაფიქრებული.

გ.გ.: ექვთიმე თაყაიშვილმა თქვა კიდეც შემდეგ, რომ სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის აგებით სანახევროდ გადაწყდა უნივერსიტეტის გახსნის დიდი საქმეო.

თ.ხ.: კეისარს - კეისრისაო და როცა უნივერსიტეტის დაარსებაზე, საუნივერსიტეტო იდეის გამარჯვებაზე ვსაუბრობთ, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის ნიკო ცხვედაძის ღვაწლიც აღვნიშნოთ - დიდი ღვაწლი. მით უმეტეს, თუ ამ შენობის აგებით სანახევროდ გადაწყდა უნივერსიტეტის დაარსების საქმე. 1897 წელს ნიკო ცხვედაძე ჩაუდგა სათავეში მშენებლობის საქმეს. მან მოიწვია ახალგაზრდა არქიტექტორი სვიმონ კლდიაშვილი, რომელიც შემდეგ მშენებლობასაც მეთვალყურეობდა...

გ.გ.: როგორც ყველა დიდი ეროვნული საქმის წამოწყებისას, აქაც იჩინა თავი წინააღმდეგობამ...

თ.ხ.: სხვა რომ ვერა დააკლეს, ადგილი დაუწუნეს, ვარაზის ხევის გაღმა რად იყიდა მიწაო; ვერეს მელიებისა და ტურებისათვის უყიდნია სკოლის ადგილი; ქართველი ყმაწვილები ვერელი ლიბუა მენახშირესკენ და მეშეშეებისაკენ უნდა გარეკოსო - დასცინიან, საყვედურობენ... მოკლედ, ხელს



ნიკო ცხვედაძე

უშლიან...

გ.გ.: ნიკო ცხვედაძის თანამედროვენი აკი იგონებენ, რომ მისმა თავგანწირვამ და ჯიუტობამდე მისულმა პრინციპულობამ შეაძლებინა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.

თ.ხ.: ნახატი მახსენდება ერთი, ილია, იაკობი, ნიკო ცხვედაძე, სვიმონ კლდიაშვილი და სხვები ჯერ კიდევ ხარაჩოებში ჩასმული შენობის წინ დგანან და რაღაც შინაგანი სიამაყით შესცქერიან თავიანთ ქმნილებას.

გ.გ.: მოგებული ბრძოლის შემდეგ, სარდლები რომ ბრძოლის ველს გადაჰყურებენ, დაახლოებით, ეს შეგრძნებაა. არადა, დიდი ბრძოლა მოიგეს.

თ.ხ.: წინ ახალი ბრძოლებია. ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის დაწყებული დიდი ომი გრძელდება.

გ.გ.: და, რადგან გიმნაზიის შენობის აგებით, როგორც ექვთიმე თაყაიშვილმა თქვა, სანახევროდ გადაწყდა უნივერსიტეტის გახსნის საქმე, ეს საქმე სანახევროდ ილია ჭავჭავაძემ და მისმა თაობამ გადაწყვიტეს, მეორე ნახევარი იყო დარჩენილი საქმისა, მეორე ნახევარი - გაცილებით უფრო რთული, მძიმე და სახიფათო. სახიფათო იმდენად, რამდენადაც არასწორად გადადგმულ ნაბიჯს, გაუთვლელ მოქმედებას, შესაძლოა, იდეა დაეღუპა...

თ.ხ.: ასე ვთქვათ: საუნივერსიტეტო იდეის გამარჯვებისათვის წარმოებულ ომს ამ ეტაპზე სათავეში ივანე ჯავახიშვილი ჩაუდგა. სერგო ჯორბენაძე წერს: „უშუალო თადარიგი ქართუ-



თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია.

ლი უნივერსიტეტის გახსნისათვის 1907 წლიდან იწყება. ამ საშვილიშვილო წამოწყების მოთავე სახელოვანი მამულიშვილი, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილი და ამ უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი - ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილია".

გ.გ.: 1907 წელს დასრულდა ილიას ეპოქა და დაიწყო ივანე ჯავახიშვილის ეპოქა. არ არის ეს შემთხვევითი დამთხვევა თარიღებისა. ეს იყო დიდი ესტაფეტის გადაცემა დიდ მამულიშვილურ საქმეში... უფრო სწორად, ვერაგულად შეჩერებული ერთი მოღვაწის საქმიანობა, მეორე დიდმა კაცმა აიღო ხელში და ღირსეულად ატარა...

თ.ხ.: ფინიშამდე ჯერ დიდი და გრძელი გზაა გასავლელი... ფინიში 1918 წლის 26 იანვარია.

გ.გ.: უნივერსიტეტს ერთი კაცი არ აარსებს და ვერ აარსებს. და, მაინც, პირველი რექტორი ქართული უნივერსიტეტისა, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, პროფესორი პეტრე მელიქიშვილი იტყვის: „ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვე-

ნი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარება“.

თ.ხ.: მოსე ჯანაშვილი 1918 წლის 23 იანვრის გაზეთ „საქართველოში“ დაწერს: „ივანე ჯავახიშვილმა იკისრა ყველაზე დიდი ტვირთი - გუთნისდედობა თვით ქართულ, მძიმე, ღრმად მხვნელი გუთნისა!... ჯავახიშვილის მხნეობამ ყოველივე დაბრკოლება დასძლია და ახალი ლამპარი აგვინთო, ქართული გიმნაზიის შენობა გვიქცია ეროვნული დიდების ტაძრად“...

გ.გ.: ამ ეროვნული დიდების ტაძრის შენებას რომ ჩაუდგა სათავეში, დიდოსტატი 31 წლისა იყო; 11 წელი მუხლჩაუხრელად იღვაწა და 1918 წელს, 42 წლის რაინდი მილოცვებს იღებდა მის მიერ აგებული ტაძრის საკურთხეველთან. კვლავ ამონარიდი მოსე ჯანაშვილის პუბლიკაციიდან: „მივიდეთ ვაკეზე. იქ ჯავახიშვილმა აგვინთო სხივოსანი მზიანი კანდელი, რომელიც ამიერიდან შუქური ვარსკვლავივით გაგვინათებს გზა-კვალს სავალად გმირულ და მზიან ნაბიჯით წინ, წინ ადამიანური მარადისობისაკენ. ამასთანავე, მოვიგონოთ იქ ჩვენი ძველი მეცნიერები საუკუნო ხსენებით. ხოლო კანდელის ამნთებელ გმირს, ივანეს, ერთობლივ და გულმხურვალედ შემოვძახოთ ჩვენებური ქართველური ვაშა! გამარჯვება მარად და მარად!“

თ.ხ.: ივანე ჯავახიშვილს დაუმსახურებელ ქებას ვერავინ შებედავდა. დაუმსახურებელი ქება იგივე გინებაა, აკაკის უთქვამს. ვერავინ შებედავდა მით, უმეტეს, თუ დიდი ივანეს პიროვნებას გავითვალისწინებთ - მისთვის დამსახურებული ქების თქმაც კი ძნელი იყო. ასე რომ, რაც ითქვა, არ არის ეს სრულყოფილი დახასიათება მისი დიდი ღვაწლისა...

გ.გ.: როცა ივანე ჯავახიშვილზე ვფიქრობ, კონსტანტინე გამსახურდიას ნათქვამი მახსენდება გიორგი პირველის მიმართ: „ბალღობიდანვე მიყვარდა და მაოცებდა აფხაზი მეფე გიორგი პირველი. სიჭაბუკეში მომემატა პატივისცემა მისდამი, როცა გავიაზრე, თუ რამოდენა ვეშაპს შებმია ეს შესანიშნავი რაინდი“.

თ.ხ.: ჭეშმარიტად, რაინდული გამბედაობა იყო საჭირო იმ ვეშაპთან შესაბმელად, რუსული იმპერია რომ ერქვა...

გ.გ.: გავიხსენოთ, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში გააქტიურდა იდეა თბილისში კავკასიის უნივერსიტეტის შექმნისა. ეს იდეა ქართული უნივერსიტეტის შექმნის იდეას დაუპირისპირდა, რამდენადაც კავკასიის უნივერსიტეტი, ცხადია, რუსული უნივერსიტეტი იქნებოდა და იმავე რიგში ჩადგებოდა, იმპერიის სხვა კუთხეებში რომ იყო.

თ.ხ.: იდეა კავკასიის უნივერსიტეტის შექმნისა არაერთხელ განიხილეს თურმე იმპერიის უმაღლეს ეშელონებში.

პრობლემას მათთვის ის ქმნიდა, თუ რა სახისა უნდა ყოფილიყო სასწავლებელი - პოლიტექნიკური თუ უნივერსიტეტი და სად აგებულიყო - ნავთლუღსა თუ საბურთალოზე.

გ.გ.: მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, კავკასიის უნივერსიტეტის იდეის გააქტიურებამ მოამწიფა აზრი ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობისა და ივანე ჯავახიშვილი ადგენს საკმაოდ ხანგრძლივ სამოქმედო პროგრამას. უმთავრესი, იმ ეტაპზე, კადრები იყო. პეტერბურგის უნივერსიტეტში იგი თავად აარსებს და ხელმძღვანელობს ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეს. ეს არ იყო საუნივერსიტეტო წრე მხოლოდ, სხვა სასწავლებლების ქართველი სტუდენტებიც მოიზიდა და გაჩაღდა ინტენსიური მუშაობა...

თ.ხ.: მაშინდელი სტუდენტი, შემდეგში აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია იგონებს: „ეს წრე ხელმძღვანელობდა ყველა სხვა ქართულ წრეს რუსეთში და საზღვარგარეთ. სამეცნიერო მოხსენებები ქართულ ენაზე, საბიბლიოგრაფიო მუშაობა, სალექსიკონო მასალის შეგროვება, ტერმინების ამოკრეფა, სიძველეების რესტავრაცია, ძველი ხელნაწერების ჩხრეკა - წრის მუშაობის საგანს შეადგენდა“.

გ.გ.: სწორედ სტუდენტთა სამეცნიერო წრემ ჩაატარა 1911-1912 წლებში საანკეტო გამოკვლევა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უმაღლესი სასწავლებლების ქართველი სტუდენტებისა. როგორც სტუდენტთა სამეცნიერო წრის მაშინდელი ხელმძღვანელი, შემდგომში დიდი ივანეს ერთ-ერთი უპირველე-

სი თანამოაზრე, აკადემიკოსი აკაკი შანიძე იგონებს, გამოკითხვის შედეგებმა იმედები გაამართლა; ოპტიმისტურად განაწყო საუნივერსიტეტო იდეის გამარჯვებისთვის მებრძოლნი. თავად ბატონ აკაკის მოვუსმინოთ: „საანკეტო გამოკვლევამ ცხადყო, რომ ქართველ სტუდენტობაში დიდი ინტერესია მეცნიერებისადმი, რომ ეს ინტერესი მრავალფეროვანია... ამიტომ ნათელი გახდა, რომ ქართული უმაღლესი სასწავლებლის საქმე, ამ მხრივ, სავსებით უზრუნველყოფილი იყო“.

თ.ხ.: ამავე დროს, ივანე ჯავახიშვილი აზუსტებს და აგროვებს ცნობებს რუსეთისა თუ ევროპის უნივერსიტეტებში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა შესახებ.

გ.გ.: 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილი აარსებს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას“. კორნელი კეკელიძე დაწერს შემდეგ ამ საზოგადოების შესახებ: „ეს იყო მაშინ ჩვენში უნივერსიტეტიც, აკადემიაც და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტიც“. ესეც საუნივერსიტეტო იდეის გამარჯვების ერთ-ერთი პირობა იყო...

თ.ხ.: მაგრამ არსებობს უმთავრესი დაბრკოლება: კანონით არ არის დაშვებული ამგვარი უნივერსიტეტის არსებობა და იმპერიის ცენტრში იძულებული შეიქნენ 1914 წელს გამოეცათ კანონი კერძო სასწავლებლების, კლასებისა და კურსების შესახებ, რომლებიც არ სარგებლობდნენ მთავრობის სასწავლებლების უფლებით. ამ კანონმა, როგორც სერგო ჯორბენაძე იტყვის, ლეგალური საფუძველი მისცა ქართველ მოღვაწეთა ბრძოლას უნივერსიტეტის გახსნისათვის.

გ.გ.: მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება... არც არის გასაკვირი: თეორიულად, ყველაფერი გათვლილია, პრაქტიკული მოქმედებაა საჭირო.

თ.ხ.: 1917 წლის აპრილიდან ივანე ჯავახიშვილი თბილისშია. სარდალი ბრძოლის ველზე გავიდა. 1917 წლის 12 მაისს მოიწვიეს უნივერსიტეტის დამფუძნებლების პირველი კრება.

გ.გ.: მაისია, ფინიშამდე არც თუ დიდი დრო რჩება; ფინიში, როგორც ვთქვით, 1918 წლის 26 იანვარია და სხდომას სხდომა მოსდევს; წინააღმდეგობას - წინააღმდეგობა. არსდება „განსაკუთრებული საზოგადოება ქართული თავისუფალი უნივერსიტეტისა“ (12 მაისია).

თ.ხ.: საქართველოს მასშტაბით გაიშალა მოძრაობა. ქუთაისი ჩაება საქმეში. უამრავი რამ უნდა გაკეთდეს: შემოიკრიბოს კადრები; მოაგვაროს მატერიალური და ფინანსური საქმეები...

გ.გ.: შენობა გვაქვს. ამაზე ადრე იზრუნეს დიდმა ილიამ და მისმა თანამებრძოლებმა. დანარჩენ საქმეს დიდმა ივანემ უნდა მიხედოს... ისევ ამოქმედდა რუსული ვერაგული გეგმა ამიერკავკასიის რუსული სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისა, ურჩევდნენ ქართველებს, ხელი აეღოთ კერძო ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების იდეაზე, რადგან იგი კონკურენციას ვერ გაუწევდა რუსულ სახელმწიფო უნივერსიტეტს.

თ.ხ.: საფრთხე აშკარა იყო და სერიოზული. გაზეთ „სახალხო ფურცელში" კონსტანტინე გამსახურდია შეშფოთებული წერს: „კავკასიის უნივერსიტეტის გახსნა განზრახულ ქართულ უნივერსიტეტს ფუძეს გამოაცლის".

თ.ხ.: ხელს უშლიან ქართულ უნივერსიტეტს და რუსები ჩქარობენ რუსული უნივერსიტეტის გახსნას. უნდა იჩქაროს ქართულმა საქმემაც და დღედაღამ არ სძინავთ ქართველ რაინდებს. ბრძოლაა დაუნდობელი; უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის საქმე წყდება. თავგანწირვამდე მისული თავდადებაა საჭირო... და ასეც არის.

გ.გ.: 1917 წლის 14 ოქტომბერს აკაკი შანიძე გაზეთ „სახალხო საქმეში" აქვეყნებს წერილს „ორი უნივერსიტეტი". ქართველი მოღვაწისა და, ზოგადად, მთელი გუნდის მწარე გულისტკივილია მასში გადმოცემული. ჩავიკითხოთ, ცოტა ვრცელია ამონაწერი, მაგრამ საინტერესო: „პეტერბურგიდან პირდაპირი მავთულით სასწრაფოდ იტყობინებიან, რომ ტფილისში იანვრიდან რუსული უნივერსიტეტი გაიხსნება.

პეტერბურგიდან ნელ-ნელა ფოსტით მოდის და ჯერ ვერც კი ჩამოსულა ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულება შეწყნარებული და ორი მუხლის გამოკლებით, თითქოს დამტკიცებული დროებითი მთავრობის მიერ.

ვერ ჩამოსულა, მაგრამ როდესმე ჩამოვა და, მაშასადამე, ტფილისში იანვრიდან ორი უნივერსიტეტი იქნება, ერთი - რუსული, მეორე - ქართული; ერთი - მთავრობის, მეორე - კერძო, ერთი - უფლებრივი უპირატესობით აღჭურვილი და სახელმწიფოს მიერ ზურგგამაგრებული, მეორე - უფლებამოკ-

ლებული და პირადი თაოსნობის მოიმედე, ერთი - ხაზინის მიერ შენახული და ქონებრივად უზრუნველყოფილი, მეორე - კერძო პირთა გულშემატკივრობასა, დახმარებასა და მზრუნველობაზე დამყარებული... ქართველთა ეროვნული ტკივილების ცოტად მაინც დასაამებელი, ქართული მეცნიერების ტაძარი, ქართველთა და ქართულად მოუბართა წყარო ცოდნისა, ქართველთა საჭიროებაზე აღმოცენებული".

თ.ხ.: ეს ქართველებისადმი მოწოდება იყო - მხარდაჭერისთვის ცდა ქართული უნივერსიტეტის მნიშვნელობის გაცნობიერებისა და ასე, დაპირისპირებით, მიდის წინ საქმე... ფინალური ბრძოლები ჯერ გადასატანია. არ უნდა შეგვაშინოს უსახსრობამ, ცივმა აუდიტორიამ, რუსეთის უნივერსიტეტში თბილი და კარგი სამსახურის მიტოვებამ და პრობლემებით აღსავსე ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში ჩადგომამ...

გ.გ.: ზემოთაც ვთქვით, თუ 1918 წლის იანვარში უნივერსიტეტი არ გაიხსნებოდა, დგებოდა იდეის ჩაშლის საშიშროება და პროფესორთა საბჭო პასუხისმგებლობას კისრულობს... სხდომა სხდომაზე იმართება; ლაგდება, ჯერდება, ზუსტდება დეტალები და...

თ.ხ.: 1918 წლის 26 იანვარს ქართული უნივერსიტეტის დაარსების საზეიმო სხდომა გაიმართა. ასრულდა დიდი ხნის ოცნება ქართველი კაცისა!...

გ.გ.: ბრძოლა მოგებულია; 13 იანვარია; პროფესორთა კოლეგიის პირველ ოფიციალურ სხდომაზე მისმა მონაწილეებმა რექტორობა ივანე ჯავახიშვილს სთხოვა, მაგრამ მან კატეგორიულად იუარა და რექტორად პროფესორი პეტრე მელიქიშვილი დაასახელა. ექვთიმე თაყაიშვილი გაიხსენებს შემდეგ ამ ფაქტს. ივანე ჯავახიშვილს უთქვამს, პეტრე მელიქიშვილი დიდად ცნობილი მეცნიერია, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის ჩვენს უნივერსიტეტსო.

თ.ხ.: ეს იყო 13 იანვარს. 26 იანვარს უნივერსიტეტის გახსნის საზეიმო სხდომაზე ქართული უნივერსიტეტის პირველი რექტორი იტყვის: „ჩვენ ქართველები მცირე ხალხი ვართ; ჩვენ არ ვთამამდებით, შევადაროთ საკუთარი თავი დიდ ხალხებს. ჩვენი სწრაფვაც ასევე მოკრძალებულია, ჩვენ გვსურს იმ ენა-

ზე, რომელზედაც პირველად გავიგონეთ დედის ალერსი და პირველად ავლაპარაკდით, მოვისმინოთ მეცნიერული ჭეშმარიტებანი და ის ჰუმანიტარული ჭეშმარიტებანი და ის ჰუმანიტარული პრინციპები, რომლებიც ნამდვილი კულტურის საფუძვლებია, ჩვენ ვაფუძნებთ ქართულ უნივერსიტეტს იმისათვის, რომ საშუალება მივცეთ ჩვენს ხალხს, მშობლიურ ენაზე გაეცნოს და აითვისოს მეცნიერული ჭეშმარიტების საწყისები და, აგრეთვე, საშუალება მივცეთ ჩვენს მეცნიერულ ძალებს, შეისწავლონ ჩვენი სამშობლო - საქართველო და კავკასია"...

გ.გ.: სხვათა შორის, ამ გამოსვლაში მეტად საგულისხმო ფაქტზე მიაპყრობს მსმენელთა ყურადღებას საქვეყნოდ ცნობილი ქიმიკოსი: გერმანიაში გამოჩენილ ავსტრიელ ენათმეცნიერს ჰუგო შუხარდტს შეხვედრია. როდესაც შუხარდტმა გაიგო გერმანიაში ჩემი ჩასვლის მიზანი, ღიმილით მითხრაო: ქართველი, რატომ სწავლობ ქიმიას, მას ხომ სხვებიც შეისწავლიან. შენ რატომ უმდიდრეს ქართული ენის ბუნებას არ იკვლევო...

თ.ხ.: ქართველმა უპირველესად ქართულ ენასა და კულტურას უნდა მიხედოს, შეისწავლოსო, ეს იგულისხმებოდა, ცხადია.

გ.გ.: პეტრე მელიქიშვილს აქედან ასეთი დასკვნა გამოაქვს: „ეს ფაქტი ნათლად ადასტურებს, რომ ჩვენი უნივერსიტეტის მუშაობას ჰუმანიტარული მეცნიერებანი უნდა დაედოს საფუძვლად"...

თ.ხ.: გავიხსენოთ, ამას ქიმიკოსი რექტორი ბრძანებს და ეს პრინციპული პოზიცია იყო ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლებისა.

გ.გ.: ამიტომაც მიანიშნებენ, რომ ქართული უნივერსიტეტის დაარსებით ახალი ეტაპი დაიწყო ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში.

თ.ხ.: ჩვენ უკვე ფინიშთან ვართ. დაარსდა ქართული უნივერსიტეტი...

გ.გ.: ზეიმობს სრულიად საქართველო...

აი, ამონარიდი ერთ-ერთი ქუთაისური გაზეთიდან: „ქუთაისმა იუქმა ქართული მეცნიერების ტაძრის გახსნის დღე - 26 იანვარი. ამ დღეს ქუთაისში არსებულ სკოლებში სწავლა ყველგან შეწყდა; სასწავლებლებში გადაიხადეს პარაკლისი,

იყო მუსიკა, წარმოითქვა სიტყვები...“ პირველი ლექცია ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა 1918 წლის 30 იანვარს... დიდი ბრძოლა მოგებულია, მაგრამ თვითდამშვიდების დრო ჯერ კიდევ შორს არის, უმძიმესია პირველი სემესტრი. 1918 წლის გაზაფხულზე თბილისს ოსმალთა ოკუპაციის საფრთხე დაემუქრა...

თ.ხ.: და ახლად გახსნილ უნივერსიტეტს - დახურვის საშიშროება. საგანგებო სხდომა გაიმართა, შეწყვეტილიყო სწავლა თუ გაგრძელებულიყო...

გ.გ.: ეს პროფესორთა საბჭოს სხდომაა. სხდომამ დაადგინა: „უნივერსიტეტი არ დაიკეტოს და ლექციების კითხვა გაგრძელდეს. იმ სტუდენტთა და მსმენელთათვის, რომელნიც ომში წავლენ, გამოტოვებული ლექციები განმეორებული იქნეს... ეთხოვოს, ვისაც ჯერ არს, დაყენებული იქნეს საიმედო დარაჯები და ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული, რომ საომარ ასპარეზად არ გახდეს უნივერსიტეტისა და მუზეუმების ახლო-მახლო მიდამოები. საშიშროების მოახლოების დროს პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში უნდა დარჩნენ და ხელი შეუწყონ მის დაცვას“.

თ.ხ.: სერგო ჯორბენაძის თქმით, ამ ჭეშმარიტად რაინდულ გადაწყვეტილებაზე ხელს სამეცნიერო საბჭოს ცხრა წევრი აწერდა: პეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი და იოსებ ყიფშიძე...

გ.გ.: უნივერსიტეტის ეზოში მათს ძვირფას საფლავებს რომ ვხედავ, ისეთი განცდა მეუფლება, რომ ისინი დღესაც დარაჯად უდგანან დიდი გმირობის ფასად აგებულ ყველა ქართველისათვის უძვირფასეს ტაძარს...

თ.ხ.: მეოცე საუკუნის უპირველეს ტაძარს - ქართულ უნივერსიტეტს...

გ.გ.: ერთხელ საქართველოში, კერძოდ, 1918 წლის 26 იანვარს, დიდი ხნის ნაფერები და ნალოლიავები იდეის ხორცშესხმა მოხდა: გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„დე, იცოდეს ისტორიამ...“

1959 წელი. პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს დოქტორის ხარისხზე (**Honoris Kausa**) ვარი ეთხრეს...

თამაზ ხმალაძე: 1999 წლის 27 დეკემბერს შესრულდა 100 წელი XX საუკუნის ერთ-ერთი უთალსაჩინოესი ქართველი მოღვაწის, დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის დაბადებიდან. მართალია, საიუბილეო კომისიის გადაწყვეტილებით, ამ თარიღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მომავალი წლის მაისში გაიმართებაო, მაგრამ არ დაველოდეთ ამ საზეიმო დღეს და პოეტის დაბადების დღეს კიდევ ერთხელ გადავავლეთ თვალი მისი ცხოვრების არცთუ ხანგრძლივ, მაგრამ უაღრესად რთულ და შინაარსიან გზას. გამორჩევით დავფიქრდით ამ დიდი პიროვნების ცხოვრების ერთ ეპიზოდზე.

გიორგი გოგოლაშვილი: დაგვაფიქრა იმან, რამაც ჭარმაგ, ღვალწმოსილ გიორგი ლეონიძეს მწარედ ატკინა გული.

რისთვის და რატომ ხდებოდა და ხდება ასეთი რამ? რატომ არ ვუფრთხილდებით იმას, რაც ასე უშურველად გვიბოძა ღმერთმა - დიდი ადამიანები... ვის და რატომ აქვს უფლება ამგვარი დაუდევრობისა...

თ.ხ.: დიახ, სჯობს, მაინც დაუდევრობა დავარქვათ, ვიდრე წინასწარ გამიზნული ავი ქმედება. მაშ, ასე: ერთხელ საქართველოში, 1959 წელს, გადაწყდა, გიორგი ლეონიძეს დისერტაციის დაუცველად მინიჭებოდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

გ.გ.: არსებობდა და არსებობს ასეთი წესი Honoris causa, რაც ასე განიმარტება ლექსიკონებში: „დისერტაციის დაუცველად მინიჭებული დოქტორის სამეცნიერო ხარისხი განსაკუთრებული დამსახურებისათვის".

თ.ხ.: და მოხდა ის, რასაც, ალბათ, არავინ იფიქრებდა: თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ გიორგი ლეონიძის დოქტორობა არ დაამტკიცა. თუმცა, მოდით, ეს ფაქტი უფრო დეტალურად აღვადგინოთ.

გ.გ.: პროფესორ ივანე ლოლაშვილის მოგონება ჩავიკითხოთ: გიორგი ლეონიძეს, „ამ დიდ მეცნიერს და პოეტს, რომელმაც მოიპოვა პოეტ-აკადემიკოსისა და სახალხო პოეტის წოდებები, აგრეთვე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა, არ ჰქონდა სამეცნიერო ხარისხი..."

თ.ხ.: დავაკონკრეტოთ: გიორგი ლეონიძეს სახელმწიფო პრემიები მიენიჭა 1941 და 1950 წლებში. 1944 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია, 1959 წელს მიენიჭა სახალხო პოეტის წოდება. სწორედ 1959 წლის ამბებს ვყვებოდით ჩვენც...

გ.გ.: დავუბრუნდეთ ივანე ლოლაშვილის მოგონებას: სამეცნიერო ხარისხი არ ჰქონია. „უწინ მას არც არასდროს უზრუნია ამაზე, - განაგრძობს მოგონების ავტორი, - მაგრამ როდესაც 1957 წლიდან სათავეში ჩაუდგა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს, სამეცნიერო საბჭომ 1959 წელს კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რეკომენდაციებით აღძრა შუამდგომლობა უნივერსიტეტის

ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე, რათა გიორგი ლეონიძეს დაუცველად (Honoris causa) მინიჭებოდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი".

თ.ხ.: მივაქციოთ ყურადღება: ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს მიაჩნია, რომ გიორგი ლეონიძე ამას იმსახურებს.

გ.გ.: პატრიარქი ქართული ლიტერატურის ისტორიისა, აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე და მისი ერთგული მოწაფე, აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე, რეკომენდაციას აძლევენ, რათა მიენიჭოს დოქტორის ხარისხი და, რა თქმა უნდა, თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო ამ რეკომენდაციის საფუძველზე, ანიჭებს გიორგი ლეონიძეს დოქტორის ხარისხს.

თ.ხ.: ისევ ივანე ლოლაშვილი დავიმოწმოთ: „ფაკულტეტის საბჭოზე საკითხი დადებითად გადაწყდა, დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცა უნივერსიტეტის დიდ საბჭოს. გოგლა გახარებული იყო და მადლობას უთვლიდა ყველას, ვინც კი მისი მეცნიერული დამსახურება ჯეროვნად დააფასა"... თუ რა იყო ეს დამსახურება. ახლა ამაზე ვისაუბროთ.

გ.გ.: ჯერ იმ დროს (1959 წელია) არსებული წესის თაობაზე ვთქვათ: ხარისხს ანიჭებს ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან კათედრის გამგეები და ფაკულტეტის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები. ხოლო ამ გადაწყვეტილებას ადასტურებს უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭო, რომელიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია და წარმომადგენლობითი - უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტია მასში წარმოდგენილი.

თ.ხ.: გიორგი ლეონიძე კმაყოფილია და ბედნიერი, რომ ქართული ფილოლოგიის გრანდებმა აღიარეს მისი მეცნიერული დამსახურება.

გ.გ.: ისიც გავიხსენოთ, ვინ წყვეტს ამ საკითხს: კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, სიმონ ყაუხჩიშვილი, ილია აბულაძე, დიმიტრი მგელაძე და სხვები...

თ.ხ.: ამის შემდეგ, ერთი შეხედვით, რჩებოდა ფორმალური მხარე: ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება უნდა დაემტკიცებინა დიდ სამეცნიერო საბჭოს.

გ.გ.: ფორმალური იმდენად, რამდენადაც ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭებისას ფილოლოგთა აზრი უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი. მით უმეტეს, როგორც ვთქვით, იმ ფილოლოგებისა, რომელთა უმაღლესი პროფესიონალიზმი და უსყიდველი მსაჯულობა საეჭვო არავისთვის უნდა ყოფილიყო...

თ.ხ.: კვლავ დავუბრუნდეთ ი. ლოლაშვილის მოგონებას: „სწორედ იმ დღეს, როდესაც უნივერსიტეტის დიდ საბჭოზე, გოგლას დოქტორობის დამტკიცება უნდა მომხდარიყო, მე მოსკოვს მივემგზავრებოდიო,- განაგრძობს ივანე ლოლაშვილი,- და წინა დღით გოგლამ მთხოვა, საბუთები „ვაკში" წამეღო და კანცელარიისათვის ჩამებარებინა. მეორე დილას, 10 საათისთვის, დამიბარა კიდეც უნივერსიტეტის წინ, სადაც თავს იყრიდნენ ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლები ბოლნისში გასამგზავრებლად (იქ სამეცნიერო სესია უნდა ჩატარებულიყო). მე რომ მივედი, კეკელიძე და შანიძე მანქანაში სხდებოდნენ. გოგლამ დამინახა თუ არა, განზე გამიხმო, გადმომცა შალვა სააკაძის დეპეშა, რომელშიც გიორგი ლომიძის სახელზე ეწერა რუსულად: „ლეონიძის საკითხი გადაწყდა დადებითად. დოკუმენტებს ორშაბათს ჩამოიტანს ლოლაშვილი"; ამავე დროს მომცა სახელდახელოდ დაწერილი ბარათი.

გ.გ.: თუ გიორგი ლეონიძეს მანამდე არასოდეს უზრუნია ხარისხებისათვის, ახლა როცა სხვამ იზრუნა ამის თაობაზე და ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდა, გიორგი ლეონიძემ გადაწყვიტა, ამ ეტაპზე ჩარეულიყო, რომ მოსკოვის უმაღლეს საატესტაციო კომისიას შემოდგომისთვის არ გადაედო ეს საქმე (მოგეხსენებათ, უმაღლესი საატესტაციო კომისია მეტად ბიუროკრატიული აპარატი იყო). ამიტომაც აცნობებს ამ ამბავს მოსკოვში მოღვაწე ცნობილ ქართველ ლიტერატურათმცოდნეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ გიორგი

ლომიძეს დეპეშითაც, პირადი ბარათითაც.

თ.ხ.: აი, ის წერილიც: „ძმაო გიორგი, სალამი და გამარჯვება! გაიგებდი ჩემს ამბავს დოქტორობის შესახებ. თუ დამიჩქარებ ისე, რომ შემოდგომისთვის არ გადავიდეს, ძალიან მადლობელი დაგრჩები, შენი იმედი მაქვს ძალზე, როგორც ჩემი მეგობრის და ჩვენი წარმომადგენლის. ერთი სიტყვით, ვიდრე „ვაკი“ შვებულებაში წავა, გამიკეთე, თუ ძმა ხარ.

შენი გ. ლეონიძე“

გ.გ.: ორშაბათია. ტრადიციულად, უნივერსიტეტში დიდი საბჭოს სხდომების დღე. გ. ლეონიძე, სხვებთან ერთად, ბოლნისში მიემგზავრება სამეცნიერო სესიაზე. ივანე ლოლაშვილს საბჭოს სხდომის შემდეგ საბუთების გამოტანა და მოსკოვში წაღება სთხოვა... მაგრამ, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. ისევ ნაწყვეტი ხსენებული მოგონებიდან: „ორი საათისათვის უნივერსიტეტში მივედი დოკუმენტების მისაღებად, მაგრამ დამხვდა უცნაური ამბავი: საბჭომ გიორგი ლეონიძის დოქტორობა არ დაამტკიცა“...

თ.ხ.: მერე, მოკლე ხანში, თითქოს, საქმე გამოსწორდა: „ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ უკანონოდ ჩავარდნილი საკითხი ხელახლა დააყენა უნივერსიტეტის დიდ საბჭოზე, შედგა მეორედ კენჭისყრა და გოგლას ხმათა უმრავლესობით მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, რაც „ვაკმა“ დაადასტურა კიდეც, - წერს ი. ლოლაშვილი,- მაგრამ

გოგლა მაინც გულნატკენი იყო სიკვდილამდე იმ „გაშავებით“, რომელიც ყველასთვის მოულოდნელად მოხდა“...

გ.გ.: რატომ ატკინეს ასე მწარედ გული „ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლულ პოეტს“ (გვახსოვს, რა თქმა უნდა, ეს მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვებია). ეს უსამართლო გადაწყვეტილება, ადვილი წარმოსადგენია, რა მძიმე გასააზრებელი იქნება იმ კაცისათვის, რომელსაც თანამედროვენი ასე ახასიათებენ: „გოგლა ამაყი იყო და თავისი სახელის აუგად მოხსენიებას ვერ იტანდა. ყველაფერს ბრდღვნიდა, თუ ვინმე მას არაობიექტურად მოეპყრობოდა, ან თუ ვინმე გარეშე უსამართლოდ დაჩაგრავდა. თუ მოწინააღმდეგე ძლიერი ჰყავდა, უკან არ იხევდა; პირიქით, კამეჩის ლონეს გამოიჩენდა და იბრძოდა გამარჯვებამდე. დამარცხება რა იყო, არ იცოდა...“ (ი. ლოლაშვილი).

თ.ხ.: მაგრამ, ამჯერად, ცხადია, მისი ბუნების კაცი თავისი სამეცნიერო ხარისხისათვის ვერ იბრძოლებდა, მეკუთვნის და პატივი მომაგეთო, არ იტყოდა; სხვისთვის უფრო გამოიდებდა თავს.

გ.გ.: და სხვამაც იბრძოლა, როგორც ჩანს, სიმართლის გასატანად, მაგრამ რად გახდა საჭირო ეს ბრძოლა? რატომ ხდებოდა ასე?

თ.ხ.: ...1959 წელი დგას. თითქმის 45 წელია გიორგი ლეონიძე სამოღვაწეო ასპარეზზეა. რამდენიმე ათეული წელია, ქართული პოეზიის „მეწინავე დროშა“ უჭირავს და აურაცხელ სიკეთეს თესავს სიტყვით თუ საქმით. რა ვიფიქროთ, არ იცოდნენ საბჭოს წევრებმა, ვის „აშავებდნენ“?

გ.გ.: მე შემთხვევით არ ჩამომითვლია წელან, ვინ შედიოდა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოში. ქართული უნივერსიტეტის დამაარსებლების, ქართული ფილოლოგიის მესაძირკვლეთა გადაწყვეტილებას ვინ და რატომ აყენებს ეჭვქვეშ?!

თ.ხ.: იქნებ ფიქრობენ, რომ გიორგი ლეონიძე დიდი პოეტია, მაგრამ მეცნიერება სხვაა...

გ.გ.: არა მგონია, იმ საბჭოში უკეთესად სცოდნოდა ვინმეს, რა არის მეცნიერება, ვიდრე კ. კეკელიძეს, ა. შანიძეს, გ.

ახვლედიანს, არნ. ჩიქობავას, სხვებს... მოდით, მაინც გავიხსენოთ, რა დამსახურებისთვის გადაწყვიტეს გიორგი ლეონიძისთვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება: როგორც ჩანს, გიორგი ლეონიძეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისადმი ინტერესი ჯერ კიდევ სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს გასჩენია.

სემინარიელი გიორგი ლეონიძე

თ.ხ.: 1911-1917 წლებში იგი თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობს.

გ.გ.: გაზეთ „საქართველოს“ 1917 წლის ერთერთ ნომერში ამ სემინარიის შესახებ ვკითხულობთ: „დღეს ამ სასწავლებლის მეთაურია დეკანოზი კორნელი კეკელიძე, ცნობილი საეკლესიო მეისტორიე; დღეს აქ მასობრივად მუშაკობს საყვარელი ბელეტრისტი ვასილ ბარნოვი. აქ მასწავლებლობს ჩვენი მწერლობის მკვლევარი იპოლიტე ვართაგავა, აქ ტრიალებს ძვირფასი მემუსიკე ია კარგარეთელი; აქვე არიან სხვა ქართველებიც, რომელთაც გული შესტკივათ საქართველოს საქმისთვის“.

თ.ხ.: ამ ამონარიდიდან ჩანს, როგორი იყო მისი დამოკიდებულება იმ წრისადმი, სადაც იგი იზრდებოდა...

გ.გ.: ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი საღამო გამართულა სემინარიაში. კვლავ გაზეთი „საქართველო“: „ახალგაზრდა სემინარიელმა მგოსანმა გ. ლეონიძემ კარგი დეკლამაციით წაიკითხა ორიგინალური ესკიზი „დაჭრილი სული“, რომელშიც ისტორიულად განავითარა ის აზრი, რომ ბარათაშვილი არ

არის ციდან ჩამოტეხილი ფრაგმენტი. ანდა მასაც ჰყავდნენ წინამორბედნი ჩვენ პოეზიაშიო - თავისი განმარტება მან დაადასტურა თავისივე მოყვანილი სევდანარევი ციტატებით: გიორგი მთაწმინდელის, შოთა რუსთაველის, თეიმურაზ პირველის, ბესიკის და ხალხური პოეზიიდან".

თ.ხ.: 1917 წელია... ეს არ არის 17-18 წლის ყმაწვილის ნავარჯიშევი. ეს არის კვლევა, რომელსაც ვასილ ბარნოვი ხელმძღვანელობდა. და ისიც გავიხსენოთ, რომ სასწავლებელს კორნელი კეკელიძე უდგას სათავეში.

გ.გ.: როცა „დაჭრილი სული" იწერება, გიორგი ლეონიძე უკვე ავტორია არაერთი საინტერესო გამოკვლევისა: 1912 წელს წერს სტატიებს: „სამების მონასტერი კახეთში", „ნიკორწმინდის ეკლესია";

თ.ხ.: მივაქციოთ ყურადღება: გიორგი ლეონიძე, ამ დროს, 13 წლისაა.

გ.გ.: 1914 წელს იწერება სტატიები - „ქართველი ქალი", „კონსპექტი ქართული თეატრის ისტორიისა"; 1915 წელს - „პლატონ იოსელიანი", „ოსკარ უაილდი"...

თ.ხ.: გარდა ჩამოთვლილისა, სემინარიელი გიორგი ლეონიძე აქვეყნებს მიმოხილვითი ხასიათის წერილებს „მიქაელ მოდრეკილი", „ათონის ივერიის მონასტერი", „სამების მონასტერი", „ქართული წიგნის ისტორიისათვის", „ქართული მუსიკალური ინსტრუმენტების ისტორიისათვის"...

გ.გ.: როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, ამ წერილებში კარგად ჩანდა გ. ლეონიძის - მკვლევარის - ნიჭი, განსწავლულობა და ინტერესთა სფერო.

თ.ხ.: და ეს ინტერესი გიორგი ლეონიძეს სიცოცხლის ბოლომდე არ განელებია. შედეგი? უაღრესად შთამბეჭდავი.

გ.გ.: თუმცა, ალბათ, მაინც ისე უნდა ვთქვათ: რაც შემდგომ გიორგი ლეონიძემ გააკეთა ქართულ ფილოლოგიაში, ამის მყარი საფუძველი სწორედ სემინარიამ მოამზადა და ეს დიდად საგულისხმო ფაქტად მიმაჩნია დღევანდელი ჩვენი სკოლის შემყურეს. მარტო სათაურების დასახელებაც საკმარისია

იმისათვის, რომ გავიაზროთ, რა სერიოზული სახე ჰქონდა სწავლებას სემინარიაში. ეს ისე, შედარებისთვის.

თ.ხ.: რომ არ ავცდეთ ჩვენს ძირითად მიზანს, მოდით, ჩამოვთვალოთ და მთლიანობაში გავიაზროთ, როგორც მკვლევარმა, რა ღვაწლი დასდო გიორგი ლეონიძემ ქართულ კულტურას...

გ.გ.: 1920 წელს გამოსცა მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი". გამოცემას დაურთო ვრცელი გამოკვლევა ძეგლისა და მისი ავტორის თაობაზე.

თ.ხ.: 1928 წელს გამოსცა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა". წიგნს ახლდა ვრცელი გამოკვლევა, რომელშიც წარმოდგენილი იყო ძეგლის შექმნის დროინდელი ეპოქის სურათი: იქვე გაარკვია სულხან-საბას ძირითადი საბიოგრაფიო საკითხები, გააანალიზა იგავთ კრებულის ლიტერატურულ-მხატვრული მხარეები, გამოიძია ძეგლის ლიტერატურულ-ფოლკლორული წყაროები, დაადგინა „გასაოცარი ანალოგიები და პარალელები", მახვილგონივრულად მიუთითა „ქილილა და დამანას" ქართული რედაქციის ანდერძის კავშირზე სულხან-საბას შემოქმედებით ბიოგრაფიასთან.

გ.გ.: გიორგი ლეონიძეს პირველს მიუქცევია ყურადღება სულხან-საბას „სწავლანისათვის" და პირველს დაუხასიათებია ეს ძეგლი.

თ.ხ.: სოლომონ იორდანიშვილთან ერთად გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ფეშანგის საისტორიო პოემას „შაჰ-ნავაზიანი" (1935 წელს).

გ.გ.: გამოსცა და შეისწავლა იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი" (1939 წ.)...

თ.ხ.: შესანიშნავი გამოკვლევები უძღვნა დავით გურამიშვილს, ანთიმოზ ივერიელს...

გ.გ.: 1930 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა ლეონიძის ნაშრომი „მგოსანი საიათნოვა", ავტორმა ნათელი მოჰფინა მრავალ ბუნდოვან საკითხს...

თ.ხ.: საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გიორგი ლეონიძის დამ-

სახურება ბესარიონ გაბაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევისა თუ მისი ქმნილებების გამოცემის საქმეში.

გ.გ.: დიდია მისი დამსახურება რუსთველოლოგიაში... მონოგრაფია უძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს...

თ.ხ.: გვაპატიებს, ალბათ, ჩვენი მსმენელი, თუ მხოლოდ ჩამოვთვლით და ვრცლად ვერ ვისაუბრებთ თითოეულ მათგანზე. ერთს კი ვიტყვით: გიორგი ლეონიძის ნაშრომები - ეს არის მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული ფილოლოგიური გამოკვლევები; ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობის დიდმნიშვნელოვანი შენაძენი.

გ.გ.: ყოველივე ეს გაითვალისწინა 1959 წელს ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა და თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ, როცა დასვა საკითხი გიორგი ლეონიძისათვის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭებისა.

თ.ხ.: და ყოველივე ეს ვერ გაითვალისწინა იმან, ვინც კენჭისყრისას „შავი" ჩაუგდო სახელოვან პოეტს. მაინც ეს კითხვა მიღრღნის გონებას: რა იყო ეს - გამიზნული ავკაცობა თუ უგულისყურო დამოკიდებულება საქმისადმი...

გ.გ.: გამართლება არცერთს არა აქვს. სიცოცხლის ბოლომდე ტკივილად გაჰყვა ეს ამბავი გიორგი ლეონიძესო.

თ.ხ.: საქმის გამოსწორებამ ეს ტკივილი ვერ დაუყუჩაო...

გ.გ.: ალბათ, ესეც უნდა ითქვას: ხომ ფაქტია, რომ დიდია გიორგი ლეონიძე, როგორც მეცნიერი, მაგრამ ქართველი კაცის ცნობიერებაში იგი, უწინარესად, პოეტია და გიორგი ლეონიძემ - პოეტმა დაჩრდილა გიორგი ლეონიძე - მეცნიერი...

თ.ხ.: და ისიც ვთქვათ, გიორგი ლეონიძემ, როგორც მეცნიერმა და, ალბათ, როგორც პოეტმა, ისე ვერ უპატრონა საკუთარ თავს, როგორც სჩვეოდა სხვებისთვის ზრუნვა, თავგამოდება, თავდადება...

გ.გ.: თქვენ გამოცემებს გულისხმობთ, ალბათ, სამეცნიერო თუ მხატვრული ნაწარმოებების გამოცემებს...

თ.ხ.: დიახ, და ჩვენც, მისი ნიჭის დამფასებლებმა ვერ მივხედეთ მის მემკვიდრეობას, თუმცა, ეს სხვა საუბრის თემაა...

გ.გ.: და მაინც, იმ ფაქტს რომ დავუბრუნდეთ, რაც მოხდა საქართველოში ერთხელ, კერძოდ 1959 წლის გაზაფხულზე, გიორგი ლეონიძეს უმოწყალოდ რომ ატკინეს გული...

თ.ხ.: თუმცა, ეს მოღვაწისადმი უსამართლო, უგულო, არამოყვრული დამოკიდებულების კიდევ ერთი მაგალითია.

გ.გ.: სამწუხაროდ, ჩვენმა ისტორიამ ასეთი მაგალითები იცის, და არაერთი, მწარედ ატკინეს გული დიდ ბრძოლებსა და ქარტეხილებში გამოვლილ ილია ჭავჭავაძეს 1905 წელს, როცა ჟურნალ „მოგზაურში" ცილისწამებათა სერიალი დაიბეჭდა...

თ.ხ.: და ერის სულიერ მამას თავისმართლება დასჭირდა; იმის თავგამოდებით მტკიცება, რაც გულშიც არასოდეს გაუვლია, რაც მისი ბუნებისათვის უცხო იყო...

გ.გ.: 1912 წელს მწარედ ატკინეს გული აკაკი წერეთელს, როცა საჩხერეში, წარმომადგენელთა არჩევნებისას „გააშავეს".

თ.ხ.: მაშინ თქვა აკაკი წერეთელმა: არ მიკვირს, კენჭი ჭკუისა და სინდისის საქმეაო, ეს ნათქვამი ჩვენს დღევანდელ სასაუბრო თემასაც მიესადაგება. მეკენჭეს ან ჭკუა ღალატობს, ან სინდისი, ანდა ორივე ერთად, როცა ხელის აუკანკალებლად „აშავებს" აკაკის, გოგლას...

გ.გ.: უმადურობით გამოწვეული გულისტკივილის გარეშე არც ვაჟა გაგვიშვია... გაზეთ „კახეთის ხმაში" მწარე ცილისწამება იბეჭდება 1914 წელს... ამ ცილისწამების უარყოფა და საკუთარი სიმართლის მტკიცება სჭირდება ვაჟას...

თ.ხ.: რადგან, სამწუხაროდ, ჭორსაყოლილი საზოგადოება ასეთ ფაქტებს იოლად იჯერებს და აზვიადებს კიდეც.

გ.გ.: მსგავსი ტკივილის გარეშე არც გალაკტიონი გაგვისტუმრებია...

თ.ხ.: და არაერთი ასეთი ფაქტი შეიძლება გავიხსენოთ... რა მოგვდის, რა გვემართება? ასეთ მოღვაწეებს, როგორც მწერა-

ლი იტყოდა, „საიდანაც ქარი მოუბერავს, იქედან უნდა ჩამოეფარო, რომ ცივი ნიავი არ მიეკაროს, არ გაგრილდეს, ნაუჟმურევი არ შეეყაროს...“ ჩვენ კი...

გ.გ.: ჩვენ კი ვერ ვსწავლობთ რიგიანად წარსულის გაკვეთილებს. ისევ იმის იმედით უნდა ვიყოთ, რომ დიდსულოვნად მოგვიტევებს დიდი ადამიანი ჩვენს ცოდვებს, მისთვის მიყენებულ დაუმსახურებელ ტკივილს.

თ.ხ.: მაგრამ ამ იმედს მაინც ის სჯობს, ცოდვათა მისატევებლად ნუ გავიხდით საქმეს. სიცოცხლეში ვაამოთ, დავაფასოთ, ვინც ღირსია პატივისცემისა და დაფასებისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ი. ჯუმბურიძე, სამომავლო გაკვეთილები 3
„კენგი სინდისისა და ჭკუის საქმეა“ 5
„სინათლე დასავლეთიდან მოდის“ 15
„ქართველებს კაცი არ მოგეძებნებათ“ 25
რა შესძლებია ქართველთა ერთობას 33
„მე დროსა ვტირი...“ (ნაწილი პირველი) 43
„მე დროსა ვტირი...“ (ნაწილი მეორე) 55
პიროვნების თავისუფლება იმპერატორის ვიზიტის ფონზე 71
მეოცე საუკუნე და ქართული უნივერსიტეტი 83
„ღე, იცოდეს ისტორიამ...“ 103

ბ. ჯორბენაძის საზოგადოებამ გამოსცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 1995, 80 გვ.
ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995, 448 გვ.
საენათმეცნიერო ძიებანი, IV, თბ., 1995, 180 გვ.
ი. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები (რუკებითურთ), თბ., 1996, 48 გვ.
საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996, 325 გვ.
ბ. ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997, 204 გვ.
გ. გოგოლაშვილი, ფიქრები ლედაენაზე, თბ., 1997, 88 გვ.
საენათმეცნიერო ძიებანი, VI, თბ., 1997, 164 გვ.
ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. II, თბ., 1998, 674 გვ.
საენათმეცნიერო ძიებანი, VII, თბ., 1998, 196 გვ.
საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, თბ., 1999, 292 გვ.
საენათმეცნიერო ძიებანი, IX, თბ., 1999, 336 გვ.
ბ. ჯორბენაძე, ბიუზიის ენა, თბ., 1999, 104 გვ.
საენათმეცნიერო ძიებანი, X, თბ., 2000, 316 გვ.
გ. გოგოლაშვილი, თ. ხმალაძე, ერთხელ საქართველოში, თბ., 2000, 116 გვ.

აბიტურიენტებისა და უფროსკლასელთათვის

ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1997, 52 გვ.
ლ. გეგუჩაძე, ქართული ენა, ნაწილი II, თბ., 1999, 96 გვ.
იოვანე საბანის ძე, აბოს წამება, თბ., 1997, 80 გვ.
ა. ჭაჭავაძე, ლექსები (განხილვითურთ), თბ. 1998, 22 გვ.
გ. ორბელიანი, ლექსები (განხილვითურთ), თბ. 1998, 24 გვ.
ნ. ბარათაშვილი, ლექსები (განხილვითურთ), თბ. 1998, 24 გვ.
ნ. ბარათაშვილი, ბედი ქართლისა (განხილვითურთ), თბ. 1999, 24 გვ.
ი. ჭაჭავაძე, ლექსები (განხილვითურთ), თბ., 1997, 44 გვ.
ა. წერეთელი, ლექსები (განხილვითურთ), თბ. 1998, 60 გვ.
ვაჟა-ფშაველა, მოთხრობები (განხილვითურთ), თბ., 1998, 24 გვ.
ვაჟა-ფშაველა, ლექსები (განხილვითურთ), თბ., 1997, 30 გვ.
მ. ჯავახიშვილი, ჯილდო, მიწის ყივილი (განხილვითურთ), თბ., 1999, 40 გვ.
ნ. ლორთქიფანიძე, თავსაფრიანი დედაკაცი, ტრაგედია უგმირით (განხილვითურთ), თბ., 1997, 36 გვ.
ლ. ქიაჩელი, ქაკი აძბა (განხილვითურთ), თბ., 1998, 84 გვ.
გ. ლეონიძე, ლექსები (განხილვითურთ), თბ., 1997, 24 გვ.

ყოველთვიური გაზეთი **„ბურჯი ეროვნებისა“** (I ნომერი გამოვიდა 1995 წლის ივნისში, 29-ე – 1997 წლის დეკემბერში); 1998 წლის იანვრიდან გამოდის ყოველთვიური ჟურნალი **„ბურჯი ეროვნებისა“.**

ბ. ჯორბენაძის საზოგადოების სამეცნიერო კონფერენციის მასალები: I – 1994; II – 1995; III – 1996; IV – 1997; V – 1998; VI – 1999.

გიორგი გოგოლაშვილი
და
თამაზ ხვალაძე

1966 წლის ჩაირიცხნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის იმავე კურსზე...

გიორგი გოგოლაშვილი – ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი. 1975 წლიდან კითხულობს ლექციებს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამჟამად ახალი ქართული ენის კათედრის გამგის მოადგილეა. 1978 – 1999 წლებში მუშაობდა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტში. იყო მეცნიერი მუშაკი, სწავლული მდივანი, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში... არის ბ. ჯორბენაძის საზოგადოების დამაარსებელი და თავმჯდომარე; ჟურნალის „ბურჯი ეროვნებისა" დამაარსებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი; მრავალი სამეცნიერო, პუბლიცისტური ნაშრომისა და ექვსი წიგნის ავტორი; რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრი...

თამაზ ხვალაძე – 1967 წლიდან პარალელურად სწავლობდა თსუ სელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის კინოსელოვნება-ტელევიზიის განყოფილებაზე. პირველი მოთხრობა დაბეჭდა 1968 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში". ავტორია მოთხრობების რამდენიმე კრებულისა და რომანისა „დროის მკვლელები". არის საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის სიღნაღის განყოფილების თავმჯდომარე. 1978 წლიდან მუშაობს საქართველოს რადიოში; ამჟამად ლიტერატურულ-დრამატული პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორია; თბილისის დავით აღმაშენებლის სახ. უნივერსიტეტის ტელერადიოჟურნალისტიკის კათედრის გამგე. მიღებული აქვს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისა (1990 წ.) და რადიოჟურნალისტთა ასოციაციის (1996 წ.) პრემიები. დაჯილდოებულია ღირსების მედლით და ღირსების ორდენით...

1980 წლიდან მათ მიერ სხვადასხვა აქტუალურ თემაზე მომზადებული დიალოგები სშირად გადაიცემოდა საქართველოს რადიოთი და იბეჭდებოდა რესპუბლიკურ პრესაში. დიალოგების ერთი ნაწილი ამ კრებულშია წარმოდგენილი.